პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

9 ივნისი **ოთხშაბათი** 2010
№ 133 (13 121) ფასი 60 თეთრი



**მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე დარჩა**

**2**

**დღე**

# ინტერი რაფაზე შეჩერდა



გუშინ „ინტერის" ოფიციალურმა ვებგვერდმა თავად პრეზიდენტ მასიმო მორატის პირით დაადასტურა, რომ ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულს ახალ მწვრთნელად რაფაელ ბენიტესი დაუნიშნეს. 50 წლის ესპანელი სპეციალისტი „ნერაძურიში" ხელცარიელი არ მისულა. მიუხედავად „ლივერპულის" წლევანდელი ჩავარდნისა, ბენიტესს ზურგს უმაგრებს 2005 წლის მაისში მეორე მილანურ გრანდთან მოგებული სასწაულებრივი ფინალი. ჟოზე მოურინიოს წასვლის შემდეგ „ინტერის" ქომაგები აკი შეახსენებდნენ მორატის, რომ ახალი მწვრთნელი მოურინიოზე მეტი თუ არა, ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. ჟოზემ „ინტერის" სამწვრთნელო თამასა მეტისმეტად მაღლა ასწია. ამიტომაც ეცა მორატი ფაბიო კაპელოს, მაგრამ ამ უკანასკნელმა ზედ მუნდიალის წინ ინგლისურ ვალდებულებებს არ უგანა... სხვა კანდიდატურებს (სინიშა მიხაილოვიჩი, რომელიც უკვე დაინიშნა „ფიორენტინაში", როი ჰოჯსონი, გუუს ჰიდინკი...) შორის კი ბენიტესი მაინც ყველაზე თვალის მომჭრელი იყო. ახალი მწვრთნელის პრეზენტაცია დღეს შედგება. „სქაი იტალიას" ცნობით, სინიორ რაფა ხელს მოაწერს 2-წლიან კონტრაქტს, რომლის ძალითაც ჯამში 7 მილიონ გირვანქას მიიღებს.



# პორტუგალიამ ნანი დაკარგა

# ბოისა დაგვემტვრა



» გვერდი 14



## არა მგონია, ჩემპიონები გავხდეთ

ინტერვიუ მარიო გასლერთან



## რატომ ვერ იტანს კრუიფი იტალიას?

წინასამუნდიალო » გვერდი 4-8

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

მოსალოდნელი ტრანსფერები



შოთა კაშია



გურამ კაშია

# კაშიები: შოთა ისრაელში, გურამს სლავია უგვიანდება

## ეკუთვნის თუ არა დინამოს კომპენსაცია?

მძლავრი ფინანსური ზურგით გამხნევებულმა ქუთაისის „ტორპედომ“ თბილისის „დინამოდან“ ნახევარმცველ **შოთა კაშიას** გადაბირება გადაწყვიტა. ცხადია, ამის ინიციატორი ტორპედოელთა მთავარი მწვრთნელი **რამაზ მუმლაძე** იყო. ის კაშიას მშვენივრად იცნობს - **ივო შუშაკის** პერიოდში ხომ თავად დააწინაურა „დინამოში“, როცა ამ კლუბის დუბლშემადგენლობას ავარჯიშებდა. შოთაც არ მალავს, რომ ქუთაისში მისით დაინტერესებულნი არიან, მაგრამ კონკრეტულ მოლაპარაკებას უარყოფს:

*„პირადად არავინ დამკავშირებია, თუმცა მენეჯერმა მითხრა, რომ „ტორპედო“ ჩემით დაინტერესდა. ქუთაისში ძლიერი გუნდი ყალიბდება და იქ თამაში ცუდი ნამდვილად არ იქნებოდა. სხვა კლუბშიც მიწვევდნენ, იყო „ოლიმპის“ ვარიანტიც, მაგრამ ჯერ უცხოეთში გადასვლაზე ვფიქრობ. თბილისის „დინამოსთან“ კონტრაქტი დამიმთავრდა, თავისუფალი აგენტი გავხდი და ასეთი სტატუსით, ახალი გუნდის მოძებნა უცხოეთში უფრო ადვილია. კონკრეტული წინადადება თუ გაინტერესებთ, ამას ახლა ველი. ისე კი, დამაიმედეს ისრაელში გადასვლით და ვნახოთ, რა გამოვა ამ მოლაპარაკებისგან“.*

შოთა კაშიას ვკითხეთ იმაზეც, მიიღებს თუ არა „დინამო“ მასში კომპენსაციას: *„დინამოს“ კომპენსაცია არ ეკუთვნის, რადგან მე უკვე გავცდი იმ ასაკს, რომლისთვისაც კომპენსაციას იხდიან“.*

კლუბთან კონტრაქტი დაუმთავრდა შოთას უმცროს ძმას, თბილისის „დინამოს“ კაპიტანსა და საქართველოს ნაკრების წევრ **გურამ კაშიასაც**. მას კონტრაქტის გაფორმებას ჩეხეთის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კლუბი პრაღის „სლავია“ სთავაზობს. გურამი თავისუფალი აგენტი კი გახდა, მაგრამ საქმე არც ისე მარტივადაა, როგორც ამ სტატუსის მქონე ფეხბურთელის შემთხვევაში შეიძლება იყოს. საქმე ისაა, რომ უმცროსი კაშია თბილისის „დინამოს“ გაზრდილია, მან კონტრაქტი გააფორმა მანამ, ვიდრე 23 წლის გახდებოდა. გამომდინარე იქიდან, რომ ფეხბურთელი „დინამოში“ გაიზარდა, კლუბს კომპენსაცია ეკუთვნის. ჰოდა, კლუბებს შორის მოლაპარაკება ახლა სწორედ ამ თანხის თაობაზე მიმდინარეობს. როგორც შევიტყვეთ, „დინამო“ საკმაოდ სოლიდურ თანხას მიიღებს. მისი კონკრეტული ოდენობა მოლაპარაკების შედეგად გაირკვევა. რაც მთავარია, ჩეხები ქართული მხარის კანონიერ სურვილს ცნობენ და თანხის გადახდაზე უარს არ ამბობენ...

თუმცა დრო გადის და სადაცაა, „სლავია“ ახალი სეზონისთვის მზადებას შეუდგება. ბუნებრივია, კაშიას საკითხი დროულად უნდა გადაწყდეს, რათა ახალ კლუბს შეკრებამდე შეუერთდეს.

**მერაბ მამულაშვილი**

# ხიზანეიშვილი ალანიაშია

## ყველაფერი თურქეთში ან ავსტრიაში გადაწყდება

ამ ცოტა ხნის წინ 28 წლის ცენტრალურმა მცველმა **ოთარ ხიზანეიშვილმა** „ლელოსთან“ საუბარში აღნიშნა, რომ შესაძლოა, კარიერა რუსეთში ან თურქეთში გააგრძელოს. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, მან გასული სეზონის მიწურულს მეორე ბუნდესლიგური „აუგსბურგის“ შემადგენლობაში ჩემპიონატის დასკვნით ტურში ითამაშა და კარგი შეფასებაც მიიღო. ოთარს, რომელსაც ტრავმისა და ოჯახური პრობლემის გამო თითქმის ორი წელიწადი გაუცდა, აგენტი გერმანიის მეორე ბუნდესლიგაში მოასპარეზე კლუბებში შესაძლო გადასვლაზეც ესაუბრა...

თუმცა, როგორც ჩანს, ხიზანეიშვილმა აქცენტი რუსეთზე გააკეთა. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ ხიზანეიშვილი რუსულ პრემიერლიგაში დაბრუნებულ ვლადიკავკაზის „ალანიაში“ გამოჩნდა. ეს ცნობა „სპორტ-ექსპრესმა“ გაავრცელა. ხიზანეიშვილთან ერთად ვლადიკავკაზელთა გუნდში კიდევ ერთი პოტენციური ახალწვეულია - ბრაზილიელი თავდამსხმელი **არტურო**. გავიხსენოთ, რომ რუსულ პრემიერლიგაში ოთარი წლების წინაც ასპარეზობდა - 2000/01 და 2004 წლებში მოსკოვის „სპარტაკში“, 2001/02 წლებში „როსტოვში“, 2004 წელს კი მოსკოვის „დინამოში“ გამოდიოდა. აქვე დავძენთ, რომ ხიზანეიშვილს ეროვნულ ნაკრებში 20 მატჩი აქვს ჩატარებული და transfermarkt.de-ს მიერ 300 ათას ევროდაა შეფასებული. თუმცა ოთარის მსურველ კლუბს თანხის გაღება არ მოუწევს, რადგან ფეხბურთელს „აუგსბურგთან“ კონტრაქტი დაუმთავრდა და დღეს თავისუფალი აგენტია.

ვლადიკავკაზელებმა რუსეთის პრემიერლიგაში პაუზით ისარგებლეს და 6 ივნისს თურქეთში მოსამზადებელ შეკრებაზე გაემგზავრნენ. „ალანია“ იქ 19 ივნისამდე დარჩება. გრაფიკის მიხედვით, მეორე შეკრება უკვე ავსტრიაში, 24 ივნისიდან 7 ივლისამდე გაიმართება. ამ შეკრებების ფარგლებში ალანები რამდენიმე საკონტროლო შეხვედრას ჩატარებენ და პოტენციურ ახალწვეულთა გუნდში დარჩენა-არდარჩენის საკითხსაც ამ ტესტმატჩების შედეგად გაარკვევენ.

ცნობისთვის, „ალანია“, რომლის მთავარი მწვრთნელი **ვლადიმირ შევჩუკია**, 11 მატჩში აღებული 12 ქულით რუსულ პრემიერლიგაში მე-11 ადგილზეა. რუსეთში სეზონი 12 ივლისს განახლდება. ამ დღეს ვლადიკავკაზელები ლიდერ სანკტ-პეტერბურგის „ზენიტს“ უმასპინძლებენ და თუ ოთარ ხიზანეიშვილი „ალანიაში“ ჩაირიცხა, დებიუტიც, სავარაუდოდ, ნევისპირელებთან მოუწევს.

**დავით ცაგაძე**

ინტერვიუ

# ნოდარ მაჭავარიანი მცველი რომ მატაობას დაიწყებს, ის რა მცველია?!

## ყოფილი ოლიმპელი ტორპედოს შეთავაზებამ გაათოცა

**ნოდარ მაჭავარიანმა რუსთავის „ოლიმპში“ საქართველოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა და ქუთაისის „ტორპედოში“ ჩაირიცხა. მან კლუბთან პირად შეთანხმებას მიაღწია და მალე კონტრაქტსაც გააფორმებს. 23 წლის ცენტრალური მცველი გვესაუბრება იმ უცნობ და საინტერესო მიზეზებზე, რამაც მისი გადაწყვეტილება განაპირობა...**

**- ქვეყნის ჩემპიონიდან უმაღლესი ლიგის დებიუტანტში გადასვლა რატომ გადაწყვიტეთ?**

- „ვისოლის“ მეპატრონეებს, ძმებ ფხაკაძეებსა და მთავარ მწვრთნელ რამაზ მუმლაძეს შევხვდი და დავრწმუნდი, რომ სერიოზული ხალხია და ასეთივე მიზნები აქვთ. ისინი ამბიციურ გუნდს აყალიბებენ. რაც მთავარია, მათგან დიდი ნდობა დავინახე. გარდა ამისა, კარიერის შემდეგ დასაქმებაზეც მელაპარაკნენ. პირველად გავიგე, ფეხბურთელს ასეთ რამეს სთავაზობდნენ და ბუნებრივია, წინადადება მომეწონა. როცა იცი, რომ ფეხბურთის შემდეგ სამსახური გარანტირებული გაქვს, სულ სხვა იმედით თამაშობ.

**- ფინანსურად მართლა ასეთი მომხიბლავი წინადადებები აქვთ, როგორც ლაპარაკობენ?**

- ფინანსურადაც და მოსამზადებლადაც მშვენიერ პირობებს ქმნიან. ასე სერიოზული გუნდის ჩამოყალიბებაა შესაძლებელი.

**- შეგიძლიათ, თქვათ, რომ ფინანსურად „ტორპედო“ დღეს ყველაზე მდიდარი ქართული კლუბია?**

- „ოლიმპსა“ და „ზესტაფონთან“ ერთად, მართლაც ყველაზე მდიდარი კლუბია.

**- თუმცა „ტორპედო“ „ოლიმპსაც“ ამჯობინეთ და „ზესტაფონსაც“...**

- ფინანსურად ყველაზე კარგი წინადადება შემომთავაზეს და, რაც მთავარია, ფხაკაძეებისა და მუმლაძის ფაქტორმა ითამაშა თავისი როლი. მომეწონა საქმისადმი ამ ხალხის დამოკიდებულება, მუმლაძე პატიოსანი და მცოდნე მწვრთნელია და მივხვდი, რომ ამ გუნდში უფრო გავიზრდები. არანაკლებ მნიშვნელოვანია „ტორპედოს“ სახელი - ასეთ ტრადიციულ კლუბში ფეხბურთელი გაცილებით მეტს სწავლობს.

**- თქვენი აზრით, ახალჩამოყალიბებული და შეუთამაშებელი, თუმცა მდიდარი და ამბიციური „ტორპედო“ მოხვდება სამეულში?**

- წელს თასისა და სამეულისთვის იბრძოლებს, მომდევნო სეზონში კი - ჩემპიონობისთვის. ხელმძღვანელობის ჩანაფიქრი ძალიან მომეწონა.

**- თავად თქვით, ჩემ გარდა „ოლიმპში“ ფეხბურთელი 3 წელი არ გაჩერებულაო. იოლად შეგელიათ გუნდი?**

- გაუჭირდათ ჩემი გაშვება და მეც ძალიან გამიჭირდა წამოსვლა. ბევრი კარგი მოგონება დამრჩება, ამ გუნდში ყველამ კარგად გამიცნო და ყოველთვის „ოლიმპის“ გულშემატკივრად დავრჩები, რადგან ზურაბ ჯაფარიძესა და მთელ კლუბს ფეხბურთელად ჩემს ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვით. „ოლიმპში“ ვიგრძენი ის ნდობა, რამაც ამათამაშა.

**- თუ გიფიქრიათ, რას ნიშნავს ქუთაისელი გულშემატკივრის წინაშე თამაში?**

- ძალიან დიდ სიამოვნებას! ქუთაისში ფეხბურთი ძალიან უყვართ და უკვე იმაზეც ვფიქრობ, სტადიონი რომ გაივსება, ამდენი ხალხის წინაშე გამოსვლა სხვაგვარი სტიმული იქნება. ფეხბურთი ხომ გულშემატკივრის გარეშე არ არსებობს.

**- ყველაზე მეტად რომელ ქალაქში გსიამოვნებთ თამაში?**

- ზუგდიდსა და ზესტაფონში. სამტრედიაში მოედანი არ ვარგა, თორემ ტრიბუნები ყოველთვის სავსეა. ახლა დარწმუნებული ვარ, ქუთაისი ყველას გადაწონის.

**- მიუხედავად იმისა, რომ 23 წლის ხართ, უკვე საკმაოდ ბევრი გუნდი შეიცვალეთ. ეს რას უნდა მივაწეროთ?**

- მუდმივად ძიებაში ვიყავი, ძლიერ გუნდში თამაში მსურდა... ბავშვთა ფეხბურთის შემდეგ ჩემი პირველი გუნდი „ლოკომოტივის“ დუბლშემადგენლობა იყო. შემდეგ ჯონი ჯანელიძემ პირველ ლიგაში მოასპარეზე „თბილისის“ დუბლებში ამიყვანა და საკმაოდ კარგი სათამაშო პრაქტიკაც მომცა, იქიდან კი მთავარ გუნდში გოჩა ტყებუჩავამ გადამიყვანა, ხოლო ამის შემდეგ ზუგდიდის „მგლებში“ მოვხვდი. უმაღლეს ლიგაში პირველი სერიოზული სეზონი სწორედ ზუგდიდში ჩავატარე. ამის შემდეგ მიმიწვიეს „ოლიმპში“. სხვათა შორის, ერთადერთი ფეხბურთელი ვარ, ვინც ამ კლუბში სამი სეზონი გაჩერდა.

**- ასაკობრივ ნაკრებებზეც თქვით...**

- კახა ცხადაძესთან 19-წლამდელებში ვთამაშობდი. მასთან მუშაობით ძალიან კმაყოფილი ვიყავი. რომ არა ცხადაძისა და ჯანელიძის ნდობა, ვერც გავიხსნებოდი. ასეთი ფაქტორები ფეხბურთელის კარიერაზე ძლიერ მოქმედებს. კარგად დამამახსოვრდა „მგლებში“ ბესიკ შეროზიასთან და „ოლიმპში“ ვარლამ კილასონიასთან მუშაობა. ეს ხალხი მენდობოდა და სულ უფრო უკეთ ვთამაშობდი. მახსოვს, გასული სეზონის დასრულების შემდეგ, როცა თასის ფინალი წავაგეთ და ჩემპიონატში მესამე ადგილი დავიკავეთ, კილასონიას ჰკითხეს, ვის გამოარჩევდითო - ლონლაძე და მე დაგვასახელა. ამ სიტყვებმა ძალზე დადებითად იმოქმედა ჩემზე.

**- ქართველი მცველებისგან აბსოლუტურად განსხვავებული, სადა სათამაშო მანერა გაქვს... ბურთის მოგერიება და არა - „მატაობა“. „ავაზაში“ გაზრდილს ასეთი ფეხბურთი ვინ გასწავლათ?**

- ისევე, როგორც ნებისმიერი ჩვენგანი, ცნობილი გუნდებისა და ნაკრებების მატჩებს მეც ვუყურებ. რომელიმე მცველი სხვაგვარად თამაშობს? ევროპელებს მარტივი ფეხბურთი უყვართ და ბავშვობიდან ეს მეც ძალიან მომწონდა, რადგან ასეთი მცველი გაცილებით საიმედოა. მცველი რომ „მატაობას“ დაიწყებს, ის რა მცველია?! ეს გუნდისთვის დიდი რისკია?!

**- „ოლიმპში“ ბოლო ტურებში რატომ აღარ გათამაშებდნენ?**



- მწვრთნელი ასე მიიჩნევდა საჭიროდ. თუმცა მე არ ვიცი, რა იყო ამის რეალური მიზეზი. ბოლოს შანსი მხოლოდ „ზესტაფონთან“ მომცა და მგონი, თავი არ შემირცხვენია.

**- თქვენი აზრით, „ოლიმპის“ წარმატება რამ განაპირობა?**

- საქართველოში საუკეთესო შემადგენლობა გვყავდა. გარდა ამისა, ვარჯიშებზე ძალაუნებურად ყველას ვაკვირდებოდი და ვხედავდი, რომ შრომა არავის ეზარებოდა. ასეთი ფეხბურთელებით გუნდი ყველანაირ მიზანს მიაღწევს. გუნდური თამაშიც კარგად გამოგვდიოდა, კონტრშეტევები და „სტანდარტულები“ „ოლიმპის“ კოზირი იყო - გოლების 70-80 პროცენტი სწორედ ასეთ სიტუაციებში გავიტანეთ. გული კი მწყდება, ასეთი კარგი გუნდიდან ბევრი ფეხბურთელი რომ წავიდა. ახალ სეზონში „ოლიმპი“ სხვა გუნდი იქნება.

**- ქართველი მცველებიდან რომელი მოგწონთ?**

- გიორგი ონიანი, გამოცდილიცაა და ძალიან საიმედოც. ეს ვიცი, რადგან მის გვერდითაც მითამაშია და მის წინააღმდეგაც.

**- წლევანდელი პირველობის საუკეთესო ფეხბურთელად ვინ მიგაჩნიათ?**

- გამიჭირდება პასუხის გაცემა... ალბათ, იმედაშვილი, აფციაური, გურამ კაშია, ჩიკვილაძე... თითოეული მათგანი ძალიან მომწონს...

**მერაბ მამულაშვილი**

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX**. რეკლამა: **37 78 07**

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ხიზანიშვილი რედინგში გამოირიცხა

## თურქეთში, გერმანიასა თუ ისევ ინგლისში?

უკვე გადაწყვეტილია, რომ საქართველოს ნაკრების მცველი **ზურაბ ხიზანიშვილი** „რედინგში" აღარ ითამაშებს. გასულ სეზონში ხიზანიშვილმა, რომელიც ჩემპიონშიფის ბინადარ „რედინგში" ასპარეზობდა, გუნდის ლიგაში დარჩენაში თავისი წვლილი შეიტანა. **ბრაიან მაკდერმოტის** კრებულში ზურა იანვარში გადავიდა და ტრავმების მიუხედავად, 15 მატჩი ჩაატარა. სეზონის დასრულებასთან ერთად, ჩვენი ნაკრების მცველს „რედინგთან" საიჯარო კონტრაქტის ვადა ამოეწურა და კვლავ „ბლექბერნის" უფლებებში გადავიდა. შეგახსენებთ, რომ ბლექბერნელებთან ზურას კონტრაქტი მომავალი წლის ივნისის ბოლოს იწურება.

„რედინგის" თავკაცი ჩვენებურს ხშირად აქებდა და ამჯერადაც არ მალავს, რომ ქართველ მცველთან გამოთხოვების გამო გული სწყდება.

„ხიზანიშვილი კარგი ფეხბურთელია და ჩვენი გუნდის დაცვის სიმტკიცეს მნიშვნელოვანწილად განაპირობებდა. მას ჩვენს კლუბთან იჯარის ვადა ამოეწურა და „ბლექბერნს" დაუბრუნდა. ზურას საიჯარო ხელშეკრულებაზე „ბლექბერნთან" მოლაპარაკებას ვაწარმოებდით, მაგრამ შეთანხმებას ვერ მივაღწიეთ, არადა, მინდოდა, მას ახალი სეზონი ჩვენს გუნდში დაეწყო... გული მწყდება, რომ ხიზანიშვილის ნაცვლად სხვა საიმედო მცველის მოძიება მოგვიწევს", - „რედინგის" მთავარი მწვრთნელის ბრაიან მაკდერმოტის ეს სიტყვები ბრიტანულმა ვებგვერდმა readingchronicle.co.uk-მ გამოაქვეყნა.

ბუნებრივია, საინტერესოა, თუ სად გააგრძელებს კარიერას ეროვნული გუნდის მცველი. ავტორიტეტულ transfermarkt.co.uk-ს მიერ ზურაბი 1 მილიონ ევროდაა შეფასებული. ჩვენი ინფორმაციით, ხიზანიშვილი „ბლექბერნში" დარჩენას არ აპირებს და მისი აგენტი **ივან ბენეში** ინგლისურ კლუბთან მოლაპარაკებას აწარმოებს, რათა ჩვენებურის ტრანსფერი ანდაც განათხოვრება არ შეფერხდეს. შესაძლოა, ბენეშმა დაითანხმოს „ბლექბერნი" და ზურა კლუბიდან 1 მილიონ ევროზე ნაკლების საფასურად გაუშვან.

მაისის ბოლოს ხიზანიშვილის „სელტიკში" გადასვლაზე ვწერდით. ეს საკითხი მართლაც რეალურად განიხილებოდა და არც ამჟამად მოხსნილა დღის წესრიგიდან, მაგრამ ამ ეტაპისთვის აქტიურობა აღარ შეინიშნება. სარწმუნო წყაროს ინფორმაციით, წინა პლანზე სხვა ვარიანტებია. როგორც გავიგეთ, საუბარია თურქულ, გერმანულ და სხვა ინგლისურ კლუბში გადასვლაზე. დაინტერესებული ორი თურქული კლუბიდან ერთ-ერთი, სავარაუდოდ, „ისთანბულსფორია", რომელმაც თურქულ სუპერლიგაში 56ქულით მე-6 ადგილი დაიკავა. ვნახოთ, რა შედეგს გამოიღებს აგენტ ბენეშის მუშაობა.

**დავით ცაბაძე**

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ილია კანდელაკს მსურველები არ აკლია

სამი კვირის წინ გაცნობეთ, რომ ეროვნული ნაკრების მცველმა **ილია კანდელაკმა** კლუბის შეცვლა გადაწყვიტა. ჩვენებურმა გასული სეზონი ავსტრიულ ბუნდესლიგაში მოასპარეზე გრაცის „შტურმში" ჩაატარა. ილიას აქტივში 24 მატჩია, რითიც მან გუნდის შედეგებში საკმაო წვლილი შეიტანა. შეგახსენებთ, რომ „შტურმი" მე-4 ადგილზე გავიდა და ქვეყნის თასიც მოიპოვა. გრაცელთა გუნდის თავკაც **ფრანკო ფოდას** კანდელაკის შენარჩუნება დღესაც უნდა, მაგრამ ქართველს მისამართის შეცვლა აქვს გადაწყვეტილი.

როგორც ადრე ვწერდით, კანდელაკით მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებული ბერლინის „ჰერტაა" დაინტერესებული. **ლევან კობიაშვილის** გუნდში კანდელაკის შესაძლო გადასვლის საკითხი დღის წესრიგიდან ჯერაც არ მოხსნილა, თუმცა ამ ეტაპისთვის გარიგება ნაკლებად სავარაუდოა.

ჩვენი ინფორმაციით, დიდი შანსია, კანდელაკმა კარიერა უკრაინის ან რუსეთის უმაღლეს ეშელონებში გააგრძელოს. მოგეხსენებათ, მან 25 მაისს კამერუნთან ამხანაგურ მატჩში ითამაშა. ტესტმატჩის დასრულების შემდეგ კანდელაკი ან ავსტრიაში უნდა დარჩენილიყო, ანდაც სამშობლოში გამომგზავრებულიყო, მაგრამ ასე არ მომხდარა. სარწმუნო წყაროს ცნობით, ის უკრაინაში გაემგზავრა, სადაც რამდენიმე დღით დარჩა და ისევ ავსტრიაში დაბრუნდა.

ასევე ჩვენი ინფორმაციით, ქართველ მცველს უკრაინული კლუბები უმიზნებენ. მათ შორის ერთ-ერთი - კანდელაკის ყოფილი გუნდი ხარკოვის „მეტალისტია", რომელმაც გასულ სეზონში მესამე ადგილი დაიკავა. უკრაინული წყაროები და „მეტალისტის" ოფიციალური ვებგვერდი ამ ტრანსფერის შესაძლებლობაზე ჯერჯერობით არაფერს გვამცნობენ. როგორც გავიგეთ, ხარკოვის გუნდი ევროტურნირებისა და ახალი სეზონისთვის მზადებას 17 ივნისს იწყებს და შესაბამისად, ტრანსფერის საკითხიც მანამდე უნდა გადაწყდეს.

გავიგეთ ისიც, კანდელაკს აგენტი რუსულ პრემიერლიგაში შესაძლო გადასვლაზეც ესაუბრა. ლაპარაკია პერმის „ამკარზე", რუსეთის ჩემპიონატის მთავარ დივიზიონში 9 ქულით მე-13 ადგილზეა. უკრაინული და რუსული კლუბების გარდა, ილიას მიმართ ინტერესს ავსტრიული კლუბებიც იჩენენ. ჩვენი ინფორმაციით, ეს კლუბები „მატერსბურგი" და „რიდი" არიან. გასულ სეზონში ისინი, შესაბამისად, მე-6 და მე-9 ადგილებზე გავიდნენ.

ერთი სიტყვით, კანდელაკს, რომელსაც თავისუფალი აგენტის სტატუსი აქვს, მთხოვნელები არ აკლია და თუ რომელ კლუბს შეუთანხმდება კონტრაქტზე, წესით მალე უნდა გაცხადდეს.

**დავით ცაბაძე**



ილია კანდელაკი

ზესტაფონი



## ელიავა რჩება

სეზონის დასრულებისა და სატრანსფერო პერიოდის დაწყების შემდეგ „ზესტაფონმა" ჯერ მხოლოდ ორი ფეხბურთელი დაიმატა - ნახევარმცველი **შოთა ბაბუნაშვილი** და თავდამსხმელი **გოგი ფიფია**. გარდა ამისა, იმერულმა კლუბმა ცალკეულ ფეხბურთელებთანაც გაახანგრძლივა კონტრაქტები. თავდამსხმელ **ჯაბა დვალის** შემდეგ და მის მსგავსად, ზესტაფონელთა კლუბთან 3 წლით გააგრძელა კონტრაქტი მცველმა **ზაალ ელიავამაც**. შეგახსენებთ, რომ ელიავა მანამდე თბილისის „ლოკომოტივში", „დინამოსა" და რიგის „სკონტოში" ასპარეზობდა. ეროვნულ ნაკრებში მას 8 მატჩი აქვს ჩატარებული. ზესტაფონელთა გუნდის რიგებში კი გასულ სეზონში ყველა, 36-ივე მატჩი ჩაატარა და ერთი გოლიც გაიტანა.

რაც შეეხება „ზესტაფონს", **გია გეგუჩაძის** გუნდი თბილისში აგრძელებს მზადებას. ხვალ (10 ივნისი) გუნდი ორკვირიანი მოსამზადებელი შეკრების ჩასატარებლად ავსტრიას მიაშურებს. იმერლები იქ ოთხ საკონტროლო შეხვედრას ჩაატარებენ. ჩვენი ინფორმაციით, შესაძლოა, გეგუჩაძის კრებული ახალი ფეხბურთელებით გაძლიერდეს.

ავსტრიიდან დაბრუნების შემდეგ, ზესტაფონელები სამშობლოში გააგრძელებენ მზადებას. ევროპის ლიგაში ყვირილისპირელები სასტარტო მატჩებს 1-ელ და 8 ივლისს ჩაატარებენ.

**დავით ცაბაძე**

კოლხეთი

## თოდუა ბელარუსში, ქირია?

გასული სეზონის პირველი ლიგის გათამაშებაში მეორე ადგილზე გასული ფოთის „კოლხეთი" ქართული ფეხბურთის ელიტაში იასპარეზებს. ბუნებრივია, უმაღლეს ლიგაში დაბრუნებულ გუნდს გაძლიერება სჭირდება. თუმცა ქუთაისური კლუბისგან განსხვავებით, „კოლხეთი" სატრანსფერო ბაზარზე ჯერჯერობით არ აქტიურობს. პირიქით - ფოთელთა გუნდს ფეხბურთელები ტოვებენ. ჩვენთვის ცნობილი გახდა იმ ორი მოთამაშის ვინაობა, რომლებიც **ბესიკ შეროზიას** განკარგულებაში აღარ არიან - ლაპარაკია თავდამსხმელ **გია თოდუასა** და ნახევარმცველ **დავით ქირიაზე**, რომელთაც კონტრაქტები დაუმთავრდათ. არადა, ორივე მათგანმა კოლხების უმაღლეს ლიგაში დაბრუნებაში სერიოზული წვლილი შეიტანა. თოდუამ, რომელიც თავდასხმის ნაცვლად მარჯვენა ნახევარმცველის პოზიციაზე თამაშობდა, 7 გოლი და 11 საგოლე გადაცემა მიითვალა, ქირიას აქტივში კი 8 გოლი და ამდენივე საგოლე პასია.

ერთი სიტყვით, ისინი სხვა გუნდებში აპირებენ კარიერის გაგრძელებას. დავით ქირია, სავარაუდოდ, ზუგდიდის „ბაიას" მიაშურებს, ხოლო თოდუა ისევ გალეგიონერდება. ის უკვე ელოდება კონკრეტულ წინადადებას ბელარუსიდან, მაგრამ თუ მისაღები შეთავაზება არ ექნა, კარიერას ეროვნულ ჩემპიონატში გააგრძელებს. შეგახსენებთ, რომ სამშობლოში დაბრუნებამდე თოდუა სწორედ ბელარუსში ასპარეზობდა - ჯერ მინსკის „მტზ-რიპოში", მერე კი ბრესტის „დინამოში", ფოთის „კოლხეთამდე" კი ზუგდიდურ კლუბსა და რუსთავის „ოლიმპში" გამოდიოდა.

**დავით ცაბაძე**

ჩვენებური მწვრთნელები უცხოეთში

# დაუგავას მომავალის ქართველს ჩააბარეს

2009 წელს ლატვია გარიგებული მატჩების გარშემო აგორებულმა სკანდალმა შეაზანზარა. იქაური ფეხბურთის ფედერაციისა და უეფას ერთობლივმა გამოძიებამ დაადასტურა, რომ ლატვიის უმაღლესი ლიგის კლუბ „დინაბურგის" პრეზიდენტი გარიგებული მატჩების მონაწილე და ორგანიზატორი გახლდათ. სკანდალმა კინაღამ ხაზი გადაუსვა **თამაზ პერტიას** კარიერას, რომელიც მაშინ „დინაბურგის" მთავარი მწვრთნელი იყო. პრეზიდენტთან ერთად, მომხდარში ბრალი 34 წლის ქართველ სპეციალისტსაც დასდეს, ისევე, როგორც 13 ფეხბურთელს, მათ შორის - **ირაკლი ქორთუას,** რომელიც იძულებული გახდა, საქართველოში დაბრუნებულიყო და კარიერა „გაგრაში" გაეგრძელებინა. პერტიას კი ლატვიურ ფეხბურთში მუშაობა სამუდამოდ აუკრძალეს. არადა, მანამდე მცირე ხნით ადრე, დამწყები სპეციალისტი ამ ბალტიისპირული ქვეყნის ჩემპიონატის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელეს.

პერტიას იმედი არ ჰქონდა გადაწყვეტილების შეცვლის... პერტიას იმედი არ ჰქონდა გადაწურული და „ლელოსთან" ინტერვიუში გამოთქვა კიდეც ვარაუდი, რომ დისკვალიფიკაციას მალე მოუხსნიდნენ. ასეც მოხდა - 2 ივნისს ლატვიის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტის წევრებმა დისკვალიფიკაცია მოუხსნეს და 2011 წლის 1 ივნისამდე პირობითი სასჯელით შეუცვალეს.

როგორც ჩანს, ლატვიის საფეხბურთო წრეებში ეს წინასწარ იყო ცნობილი - სხვაგვარად, აუხსნელია, როგორ მოხდა, რომ ამ ვერდიქტიდან ზუსტად ერთ დღეში პერტიას უმაღლესი ლიგის კლუბი, პოპულარული „დაუგავა" ჩააბარეს? საინტერესო გამოდგა რეაბილიტირებული ახალგაზრდა მწვრთნელის პირველი ნაბიჯი - მისი რეკომენდაციით, „დაუგავას" საფეხბურთო სკოლის ხელმძღვანელად **შოთა მახარაძე** მიიწვიეს.

ამ უკანასკნელს ქართველი გულშემატკივარი ჯერ არ იცნობს. ის რუსთავის „ოლიმპის" მწვრთნელის **თემურ მახარაძის** ვაჟია, თუმცა ბუნებრივია, შორეულ ლატვიაში მხოლოდ მამის სახელის გამო არ მიიწვევდნენ. თავის დროზე ფეხბურთს შოთაც თამაშობდა, კერძოდ, ლანჩხუთის „გურიაში". კარიერას წერტილი ძალიან ადრე, 23 წლის ასაკში დაუსვა და მამის კვალს გაჰყვა.

ახლა შოთა მახარაძე 31 წლისაა. 6 წელია ის ბავშვთა ფეხბურთში საქმიანობს, ფლობს სამწვრთნელო ლიცენზიას, მწვრთნელობას ავსტრიაში სწავლობდა და ბოლო წლებში „ნორჩი დინამოელის" საფეხბურთო სკოლაში მუშაობდა და, სხვათა შორის - წარმატებითაც. შოთას ლატვიაში დავუკავშირდით და მოულოდნელ სიახლეზე კომენტარი ვთხოვეთ.

„დიდი ხანი არ არის, რაც საქართველოდან წამოვედი. ეს ყველაფერი თამაზ პერტიას ინიციატივა იყო. ის დამიკავშირდა და ლატვიაში მუშაობა შემომთავაზა, სამუშაო პირობებიც გამაცნო. დავინტერესდი, ლატვიაში ჩავედი და ნანახმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ლატვიელები მომავალი თაობების გაზრდაზე სერიოზულად ზრუნავენ, ძალიან მაღალი დონის ინფრასტრუქტურა აქვთ და ასეთ გარემოში მუშაობა სასიამოვნოა. შემიძლია გითხრათ, რომ „დაუგავას" ბავშვებს ევროპული დონის სავარჯიშო პირობები აქვთ და ცხადია, მუშაობას დავთანხმდი. „დაუგავას" პრეზიდენტ იგორ მალიშკოვის დავალებით, კლუბის საფეხბურთო აკადემიას ვხელმძღვანელობ. მალიშკოვი დიდი მასშტაბის ბიზნესმენია, ლატვიაში ცნობილი ადამიანია და ავსტრიაში საქმიანობს. პერტია მისი მარჯვენა ხელია და როცა ლატვიაში არ არის, კლუბის საქმეების მნიშვნელოვან ნაწილს თამაზი განაგებს. მუშაობას უკვე შევუდექი და ლიტვაში ტურნირზეც გავემგზავრეთ. „დაუგავას" 98-წლიანებმა იქ პირველი ადგილი დაიკავეს, 94-ანებმა კი - მეოთხე. თამაზი სულ ჩემთანაა და უცხო გარემოსთან შეგუებაში ყველანაირად მეხმარება. ყველა ამბობს, რომ ძალიან ნიჭიერი და პერსპექტიული სპეციალისტია. გასულ წელს ის სულ ტყუილუბრალოდ და სხვების გამო გახვიეს სკანდალში. დავესწარი „სკონტოსთან" მის პირველ მატჩს, რომელიც „დაუგავამ" მსაჯის მიერ მოგონილი პენალტის გამო 0:1 წააგო", - გვითხრა მახარაძემ.

შოთა მახარაძე პირველი ქართველი სპეციალისტი არ არის, რომელიც უცხოურ საფეხბურთო სკოლაში მუშაობს. ადრეც ვწერდით, რომ ინგლისური „კრისტალ პალასის" აკადემიის 15-წლამდელთა გუნდს **გიორგი მინაშვილი** ავარჯიშებს. ის წარსულში თბილისის „დინამოს" ფეხბურთელის **ამირან მინაშვილის** ვაჟი გახლავთ. ამას გარდა, რამენსკოეს „სატურნის" საფეხბურთო სკოლის დირექტორი იყო საქართველოს ნაკრებისა და თბილისის „დინამოს" ყოფილი მცველი **დიმიტრი კუდინოვი**. ბელგიაში ბავშვებთან მუშაობს ახლო წარსულში ასევე ცნობილი ფეხბურთელი **ზაზა რევიშვილი**... კიდევ ბევრი ისეთი სპეციალისტია, რომელთა შესახებ ამ ეტაპზე ზუსტ ინფორმაციას არ ვფლობთ, არადა, ეს ის ხალხია, რომელთაც ჩვენი ფეხბურთისთვის დიდი საქმის გაკეთება შეუძლიათ - ტურნირებში მონაწილეობით, ევროპელებთან კონტაქტებითა თუ პატნიორობით და ასე შემდეგ...

**მერაბ მამულაშვილი**

მოსალოდნელი ტრანსფერები

# დემეტრაძე და ბურდული კვლავ უცხოეთში

მოგეხსენებათ, საქართველოს ეროვნულ ნაკრებში არაერთგზის ნათამაშებმა **გიორგი დემეტრაძემ** და შემტევმა ნახევარმცველმა **ლადო ბურდულმა** ახლახან დასრულებული სეზონი ცხინვალის „სპარტაკში" ჩაამთავრეს. მათ უკვე დატოვეს გუნდი. ჩვენი ინფორმაციით, ისინი კარიერას კვლავ უცხოეთში გააგრძელებენ.

დემეტრაძისა და ბურდულის ტრანსფერებზე აგენტები უკვე მუშაობენ. გავიგეთ ისიც, რომ ცოტა ხნის წინ ბურდული უკრაინაში იმყოფებოდა. იქაურ უჟგოროდის „ზაკარპატიესთან" ლადოს კონტრაქტი აკავშირებდა, რომელსაც ყავლი უკვე გაუვიდა. როგორც უკრანული ვებგვერდები წერენ, ბურდული „ზაკარპატიეს" უკვე დაემშვიდობა. რაც შეეხება მის მომავალს, აზერბაიჯანულ და ყაზახურ კლუბებს ახლავე სურთ ბურდულისა და დემეტრაძის გადაბირება. თუმცა ისინი უკეთეს ლიგაში გადასვლის ვარიანტს ელოდებიან.

transfermarkt.de-ს მონაცემებით, 33 წლის თავდამსხმელი გიორგი დემეტრაძეს 600 ათას ევროდ ფასობს, ხოლო 29 წლის ნახევარცველი ლადო ბურდული - 250 ათას ევროდ. თუმცა ორივე მათგანი უკვე თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობს. ამით მათი ტრანსფერები უფრო გაიოლდება.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბერძნეთი

# რეჰაგელის მცველი ისევ ავადაა

საბერძნეთის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის პირველ მატჩს კვირას, პორტ ელიზაბეტში სამხრეთ კორეის ნაკრებთან გამართავს და დიდი შანსია, რომ ბერძნების მთავარმა მწვრთნელმა **ოტო რეჰაგელმა** ამ შეხვედრაში მცველი **ევანგელის მორასი** ვერ გამოიყენოს. იტალიური „ბოლონიას" უკანახაზელს მცირე ტრავმა აწუხებს და საბერძნეთის ნაკრების ექიმები რეჰაგელს ვერ აიმედებენ.

არადა, მორასი **სოკრატის პაპასტატოპულოსთან** ერთად, გუნდის დაცვის ცენტრს ამაგრებს. ბერძნული მხარის ოფიციალური განცხადებით, მორასს ბოლო დღეებში არ უვარჯიშია და თითქმის გადაწყვეტილია, რომ სამხრეთ კორეასთან მატჩში მოედანზე ვერ გავა. მას სავარაუდოდ ლივერპულელი **სოტირიოს კირიაკოსი** შეცვლის.

გოტფრიდ **ლენცი**

ამხანაგური მატჩი

# ყოფილი კოლონია გაანადგურეს

**პორტუგალია-მოზამბიკი 3:0**

**პორტუგალია:** ედუარდო, ბ. ალვეში, რ. კარვალიო, კოენტრაო, მიგელი, მენდეში (75. პეპე), მეირელეში (60. ველოზო) დეკუ (61. ტიაგო), სიმაო (63. რონალდო), ლიდსონი (46. ალმეიდა), დანი (86. დუდა).

**გოლები:** 1:0 დანი (52), 2:0 ალმეიდა (75), 3:0 ალმეიდა (83)

**მაყურებელი:** 28 000

იოჰანესბურგის მომცრო სტადიონ „ბიდვესტზე" **ნანისგან** დაობლებულმა პორტუგალიამ მუნდიალამდე გენერალური რეპეტიცია გამართა და ყოფილ კოლონია მოზამბიკს 3:0 მოუგო. სამივე გოლი ევროპელებმა მეორე ტაიმში გაიტანეს, მათი უპირატესობა აშკარა იყო, მოზამბიკის კარისკენ **კეირუშის** ფეხბურთელებმა 24-ჯერ დაარტყეს. ნანის ფლანგი **რაულ მეირელეშმა** ჩაიბარა, მარჯვნივ კი **დეკუმ** ითამაშა, **კრიშტიანო რონალდომ** კი პირველი 63 წუთი სულაც სათადარიგოთა სკამზე გაატარა.

მეორე ტაიმის დასაწყისში დეკუმ **დანის** გადააწოდა და „ზენიტის" ლეგიონერმა ახლო მანძილიდან გაუტანა **ოტშუდი ლამას**. 75-ე წუთზე დანიმ ასისტენტობა იკისრა, გოლი კი შეცვლაზე შესულმა **უგო ალმეიდამ** გაიტანა. 7 წუთში ალმეიდამ დუბლი გაიფორმა, კვლავ ახლო მანძილიდან დარტყმით.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ალმეიდას დუბლს რონალდო ულოცავს

28 მაისიდან

არსენალი



95 წლის ვეტერანის წერილი პრეზიდენტს

ყმაწვილო, გთხოვთ ყურად იღოთ ერთი ბეხრეკი კაცის რჩევა...

...განადგურებული და აღშფოთებული ვარ, არ მსურს ჩემი ქვეყანა ჩემზე ადრე მოკვდეს, მაგრამ ვხედავ, რომ თქვენ ტყავიდან ძვრებით ისე ცდილობთ, რომ ეს უბედურება რაც შეიძლება მალე მოხდეს...

...ვფიქრობ და ვერ გამიგია, რომელი ქვეყნის პრეზიდენტი ბრძანდებით? მთელ მსოფლიოში დაფრინავთ და ჩვენს მტერ-მოყვარესთან უბადრუკ აზრებს აფრქვევთ...

...სრულად იხილეთ ჟურნალში

ტანკები აფხაზეთის ომში

უცნაური პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი „გეკოს" ვაზნებით

რუსული არმიის ფსიქოლოგიური მზადება ახალი ომისთვის?

ვინ იყო ჰუგო შმაისერი?..

ყველაზე კაცური ჟურნალი
არა მარტო მამაკაცებისთვის

ესეც ჩვენი ისტორიაა...



1982 წლის 14 ივნისი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ბრაზილია-სსრკ 2:1. ზიკო და ალექსანდრე ჩივაძე

# ქართველები მსოფლიოს ჩემპიონატებზე

ორი დღეც და 2010 წლის უმნიშვნელოვანესი სპორტული ასპარეზობა - ფეხბურთში მსოფლიოს XIX ჩემპიონატი დაიწყება!

შესაძლოა, ვინმესთვის საკამათო იყოს, მაგრამ, ჩვენი აზრით, მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატს მასშტაბურობით, მხოლოდ და მხოლოდ, ზაფხულის ოლიმპიადა თუ გაუტოლდება...

11 ივნისიდან 11 ივლისის ჩათვლით საფეხბურთო სამყაროს ყურადღება სამხრეთ აფრიკის სტადიონებისკენ იქნება მიპყრობილი - 32 მონაწილე გუნდიდან ერთ-ერთი მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს მოიპოვებს. სამწუხაროდ, უკვე მივეჩვიეთ, რომ უმაღლესი დონის საფეხბურთო ფორუმმა... საქართველოს ნაკრების გარეშე უნდა ჩაიაროს; არადა, დრო იყო, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ოთხიხუთი ქართველი ფეხბურთელის ხილვა მართლაც „ჩვეულებრივ" ამბად აღიქმებოდა. რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირის ნაკრების სახელით მოასპარეზე ჩვენს ფეხბურთელებს ვგულისხმობთ, თორემ საქართველოს ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატების სამი შესარჩევი ციკლი ისე ჩაატარა, ფინალური ტურნირის საგზურის მოპოვების შანსი არასდროს ჰქონია...

## აშკარა რეგრესი

მსოფლიოს ჩემპიონატების შესარჩევ ტურნირში საქართველოს ნაკრების სადებიუტო ციკლი 1996-97 წლებში იყო; იმის მიუხედავად, რომ კენჭისყრის შემდეგ ურთულეს ქვეჯგუფში მოვხვდით, ქართველი გულშემატკივარი თავისი საყვარელი გუნდისგან... 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურს „მოითხოვდა!" ამის გამოც იყო, რომ ვერაფრით „წარმოგვედგინა" ქვეჯგუფის ორი სასტარტო შეხვედრის წაგება (ჯერ - პერუჯაში, იტალიელებთან, მერე - თბილისში, ინგლისთან); ამის გამოც იყო, ჩვენი ნაკრების მწვრთნელ-ფეხბურთელებს ობსტრუქცია რომ არ მოჰკლებიათ: „ეგ, როგორ, - იტალიასა და ინგლისს რატომ ვერ ამარცხებთო?!". ასეთი ზეწოლის გამო **ალექსანდრე ჩივაძე** ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გადადგა და მისი ადგილი **დავით ყიფიანმა** დაიკავა. საბოლოოდ, საქართველოს ნაკრებმა 10 ქულით მეოთხე ადგილი დაიკავა და მხოლოდ ერთი ბურთი დაგვაკლდა, თორემ პოლონეთს ჩამოვიტოვებდით და მესამე ადგილზე გავიდოდით.

სამაგიეროდ, მომდევნო მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში შევძელით და მესამე ადგილზე გავედით. თანაც, 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის დაწყების წინაც არსებობდა ზედმეტად ოპტიმისტური „ფონი": კორეა-იაპონიაში ჩასატარებელ მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრა საქართველოს ნაკრებს რეალურად ხელეწიფებაო! საბოლოოდ, ჩვენმა უპირველესმა გუნდმა (ჯერ ყიფიანი-ძოძუაშვილის „ტანდემი", შემდეგ კი - ჩივაძე რომ ხელმძღვანელობდა) ქვეჯგუფში ათი ქულით მესამე ადგილი დაიკავა.

არანაკლებ იმედიანი განწყობა კი არა, ლამის უკვე გერმანიის სასტუმროების დაჯავშნა დაიწყეს ქართველმა გულშემატკივრებმა 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის კენჭისყრის შემდეგ. თუმცა, შვიდგუნდიან ჯგუფში... ბოლოსწინა ადგილი დავიკავეთ და გერმანიის კეთილმოწყობილ სტადიონებზე ჩატარებული თამაშების დროს, როგორც „ტრადიციად" გვექცა, თბილისში სხვადასხვა ნაკრების ფან-კლუბები „შევქმენით" და იმათ ვქომაგობდით! აქვე, იმასაც შეგახსენებთ, იმ შესარჩევ ციკლშიც ორი მწვრთნელი გვყავდა: **ალენ ჟირესი** და **გაიოზ დარსაძე**. ჰო, თორმეტ შეხვედრაში მხოლოდ ათი ქულის მოგროვების გამო ვაკრიტიკებდით საქართველოს ნაკრების მწვრთნელ-ფეხბურთელებს და ამ დროს... ბევრად უარესი წინ გველოდა!

... არ დავმალავთ: ხშირად გვიფიქრია, რომ 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში საქართველოს ნაკრების კატასტროფულ ასპარეზობაზე უარესი მეტი რაღა უნდა მოხდეს. კი, ჩვენი ნაკრების უცხოელ თავკაცს **ექტორ რაულ კუპერს** წინამორბედი **კლაუს ტოპმიოლერისგან** განსხვავებით არ „დავუბოლებივართ", რომ, გინდა თუ არა, ქვეჯგუფიდან გავალთო. თუმცა, იმას ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდით, რომ ექვსგუნდიან ჯგუფში საქართველოს ნაკრები... სამი ქულით (!) ბოლო ადგილზე გავიდოდა...

...არადა, მართლაც იყო ის დრო, მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე ქართველ ფეხბურთელებს რომ გაუბრწყინავთ; ეგ კი არა, მსოფლიოს ჩემპიონატის პრიზიორებიც გვყავს!..

## ტკბილი მოგონებები

...არაფერს ვამტკიცებთ, უბრალოდ, გვგონია: საქართველოს ნაკრები (როგორც - ცალკე გუნდი) უფრო ადრე რომ გაწევრებულიყო ფიფა-უეფაში, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურს, სულ მცირე, ერთხელ მაინც მოიპოვებდა! ყოველ შემთხვევაში, 1962, 1966, 1970 და 1982 წლების მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალური ტურნირებიდან ერთ-ერთზე მართლაც მოვხვდებოდით. თუმცა, გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლომდე მსგავს რამეებზე ოცნებაც არ შეგვეძლო; სამაგიეროდ, ყველას გვახარებდა ის ფაქტი, რომ ამა თუ იმ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ტურნირზე საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში ქართველ ფეხბურთელებს არცთუ უმნიშვნელო როლი ჰქონდათ დაკისრებული.

სამწუხაროდ, 1958 წლამდე საბჭოთა კავშირის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატებზე არ მონაწილეობდა. არადა, პირიქით რომ ყოფილიყო, ქართული ფეხბურთის ორ ლეგენდას - **ბორის პაიჭაძესა და ავთანდილ ღოღობერიძეს** მთელი მსოფლიო აუცილებლად გაიცნობდა.

» მე-5 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესეც ჩვენი ისტორიაა...

# ქართველები მსოფლიოს ჩემპიონატებზე

« მე-4 გვერდიდან

...1958 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე საბჭოთა კავშირის ნაკრები ისე გაემგზავრა, შემადგენლობაში არც ერთი ქართველი არ ყოფილა. სამაგიეროდ, მომდევნო, 1962 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში ოთხი ქართველი ფეხბურთელი იყო! ჩილეში ჩატარებულ ამ მუნდიალზე საბჭოთა კავშირის ნაკრები გათამაშებას მეოთხედფინალში გამოეთიშა, როცა მასპინძლებთან დამარცხდა (1:2). საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში სამ-სამი მატჩი ჩაატარეს **გივი ჩოხელმა** და **მიხეილ მესხმა**, ხოლო თბილისის „დინამოს" კიდევ ერთი წარმომადგენელი **სერგო კოტრიკაძე** სათადარიგო მეკარე იყო და ჩემპიონატში მონაწილეობა არ მიუღია. კიდევ ერთი ქართველი კი იმ დროისათვის მოსკოვის „ტორპედოს" ფორვარდი **სლავა მეტრეველი** გახლდათ, ვინც მხოლოდ ერთ მატჩში ითამაშა.

მომდევნო მსოფლიოს ჩემპიონატს ინგლისმა უმასპინძლა და ძალიან დიდი შანსი იყო, რომ მუნდიალების ფინალურ ტურნირზე სარეკორდო რაოდენობის ქართველ ფეხბურთელებს ესასპარეზათ; სამწუხაროდ, ბევრისთვის მაშინაც გაუგებარი დარჩა და შემდეგაც ვერავინ ახსნა, რა მოტივით არ წაიყვანა საბჭოთა კავშირის ნაკრების იმდროინდელმა მთავარმა მწვრთნელმა **ნიკოლაი მოროზოვმა** ორი მართლაც გამორჩეული ქართველი ფეხბურთელი: მიხეილ მესხი და **ვლადიმერ ბარქაია**. არადა, ორივემ შესარჩევ მატჩებშიც მიიღეს მონაწილეობა, მაგრამ, საბოლოოდ, ნაკრებში მათი ადგილი სხვებმა დაიკავეს. საბჭოთა კავშირის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში ყველაზე საუკეთესო შედეგი სწორედ ინგლისში უჩვენა - მეოთხე ადგილი დაიკავა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ საბჭოთა კავშირის ნაკრებს ბრინჯაოს მედლები გადაეცემოდა: ჩემპიონი - დიდ ოქროს მედლებს იღებდა, ფინალისტი - მცირე ოქროს




მურთაზ ხურცილავა

მედლებს, ხოლო მესამეადგილოსანი - ვერცხლისას. ინგლისში ოთხმა ქართველმა ფეხბურთელმა ისპარეზა: **მურთაზ ხურცილავამ** სამი მატჩი ჩაატარა, **ანზორ კავაზაშვილმა, გიორგი სიჭინავამ** და **სლავა მეტრეველმა** კი - ორ-ორი. სწორედ ინგლისში გავიდა მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში პირველი ქართული გოლიც - სლავა მეტრეველმა მესამე ადგილისათვის შეხვედრაში პორტუგალიელთა კარი დალაშქრა.

ყველაზე მეტმა ქართველმა ფეხბურთელმა 1970 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ისპარეზა; მექსიკაში საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში ექვსი ქართველი გაემგზავრა, მაგრამ ვეტერან სლავა მეტრეველს თავისთვის მესამე (!) მსოფლიოს ჩემპიონატზე ერთი წუთიც არ უთამაშია. სამაგიეროდ, ოთხივე მატჩი ჩაატარეს ანზორ კავაზაშვილმა და **კახი ასათიანმა** (ერთი გოლიც გაიტანა), სამ-სამი - მურთაზ ხურცილავამ და **რევაზ ძოძუაშვილმა**, ხოლო **გივი ნოდიამ** - ერთი. საბჭოთა კავშირის ნაკრები მერვედფინალში ურუგვაისთან დამარცხდა და გათამაშებას გამოეთიშა.

მომდევნო, 1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონატს გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ უმასპინძლა, თუმცა საბჭოთა კავშირის ნაკრებს მონაწილეობა არ მიუღია. არადა, დიდი შანსი იყო, რომ მურთაზ ხურცილავას თავის მესამე მუნდიალზე ეთამაშა, ხოლო **დავით ყიფიანი** კი მსოფლიოს საფეხბურთო სამყაროს უფრო ადრე გაეცნო, ვიდრე, როგორც 70-იანი წლების ბოლოს მოხდა. სამწუხაროდ, აქ უკვე საბჭოური პროპაგანდა თუ კომუნისტური იდეოლოგია (როგორც გნებავთ, ისე დაარქვით) ჩაერია: საბჭოთა კავშირის ნაკრებმა შესარჩევ ტურნირში თავის ქვეჯგუფში გაიმარჯვა და პლეი ოფში ჩილეს ნაკრებს უნდა შეხვედროდა. პირველი მატჩი 1973 წლის 26 სექტემბერს მოსკოვში ჩატარდა და 0:0 დამთავრდა. განმეორებითი შეხვედრა კი 21 ნოემბერს სანტიაგოში იყო დანიშნული, მაგრამ საბჭოთა კავშირის ნაკრებს „პარტიამ უბრძანა" და ჩილეში სათამაშოდ არ გაუშვა!.. ფიფამაც, მხოლოდ და მხოლოდ, სპორტული პრინციპებით იხელმძღვანელა და განმეორებით მატჩში ჩილეს... გამარჯვება ჩაუთვალა; ეს კი, ავტომატურად 1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ტურნირის საგზურს ნიშნავდა...

არგენტინის მსოფლიოს ჩემპიონატზე საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ვერ იასპარეზა, არადა მეტად იოლ შესარჩევ ქვეჯგუფში (საბერძნეთი, უნგრეთი) მოხვდა. არადა, იმდროინდელი საბჭოთა კავშირის ნაკრები წარმოუდგენელი იყო დავით ყიფიანისა და **შოთა ხინჩაგაშვილის** გარეშე.

სამაგიეროდ, ოთხი წლის შემდეგ, ესპანეთში ჩატარებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე უკვე ოთხი ქართველი ფეხბურთელი ვიხილეთ! ეგ კი არა, ნაკრების კაპიტანი სულაც **ალექსანდრე ჩივაძე** გახლდათ! სხვათა შორის, 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე სსრკ-ის ნაკრები ერთ-ერთი ფავორიტის რანგში გაემგზავრა - იმდენად შთამბეჭდავად ჩაატარა შესარჩევი ტურნირი. ალექსანდრე ჩივაძე, **თენგიზ სულაქველიძე, ვიტალი დარასელია, რამაზ შენგელია** - შესარჩევ ეტაპზე ეს ოთხეული სსრკ-ის ნაკრების შეუცვლელ ფეხბურთელად მიიჩნეოდა; რამაზ შენგელიამ კი ხუთ შეხვედრაში ოთხი გოლი გაიტანა! შესარჩევ ეტაპზე თითო-თითო მატჩი ჩაატარეს დავით ყიფიანმა და **ვლადიმერ გუცაევმაც**, მაგრამ, სამწუხაროდ, ორი ეს მართლაც საერთაშორისო დონის ვარსკვლავი ესპანეთში არ წაიყვანეს...

...1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ტურნირზე ქართველებმა ჩინებულად იასპარეზეს: ალექსანდრე ჩივაძე და რამაზ შენგელია ხუთივე მატჩში მონაწილეობდნენ, ვიტალი დარასელიამ და თენგიზ სულაქველიძემ - ოთხ-ოთხი შეხვედრა ჩაატარეს. ამას გარდა, შოტლანდიასთან მატჩში მეტოქის კარში ორივე გოლი ქართველებმა გაიტანეს: ჩივაძემ და შენგელიამ. და კიდევ ამ ჩემპიონატზე: საბჭოთა კავშირის ნაკრებს მწვრთნელთა „ტრიო" ხელმძღვანელობდა, ამათგან ერთ-ერთი კი **ნოდარ ახალკაცი** გახლდათ...

1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატს მექსიკამ უმასპინძლა; საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ამ შემთხვევაშიც წარმატებით დასძლია შესარჩევი ტურნირი და ამაში არცთუ უმნიშვნელო წვლილი ალექსანდრე ჩივაძემ და თენგიზ სულაქველიძემ შეიტანეს. სამწუხაროდ, მექსიკაში მხოლოდ ჩივაძე გაემგზავრა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო ჩვენს ლეგენდარულ კაპიტანს თავისთვის მეორე მუნდიალზე არ უასპარეზია. ყველაზე უცნაური ის იყო, რომ მექსიკაში საბჭოთა კავშირის ნაკრების განაცხადში მყოფმა ყველა ფეხბურთელმა ითამაშა, გარდა მესამე მეკარისა (**სერგეი კრაკოვსკი**) და ჩივაძისა...

1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე საბჭოთა კავშირის ნაკრებში ქართველი ფეხბურთელის ხილვა უკვე წარმოუდგენელი იყო - ჩვენ უკვე დამოუკიდებელ ჩემპიონატს ვატარებდით და საერთაშორისო არენაზე დამოუკიდებლად ასპარეზობისკენ მივისწრაფოდით. თუმცა, 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში ქართული ფეხბურთის ერთი წარმომადგენელი მაინც იყო: **ახრიკ ცვეიბა!** ასევე ერთმა ჩვენებურმა ითამაშა მომდევნო მსოფლიოს ჩემპიონატზე, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა რომ უმასპინძლა: რუსეთის ნაკრების შემადგენლობაში ერთი შეხვედრა ჩაატარა **ომარ თეთრაძემ**. სხვათა შორის, „ისტორიული" მატჩი იყო - რუსებმა **ოლეგ სალენკოს** ხუთი (!) გოლით კამერუნი რომ გაანადგურეს (6:1)...

...მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი, გივი ჩოხელი, ანზორ კავაზაშვილი, მურთაზ ხურცილავა, გიორგი სიჭინავა, რევაზ ძოძუაშვილი, გივი ნოდია, კახი ასათიანი, ალექსანდრე ჩივაძე, თენგიზ სულაქველიძე, რამაზ შენგელია, ვიტალი დარასელია, ახრიკ ცვეიბა, ომარ თეთრაძე, - ჯერჯერობით, ამ თხუთმეტ ფეხბურთელს უთამაშია მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ტურნირზე. იმედი დავიტოვოთ, რომ ოთხი წლის შემდეგ ეს რიცხვი... 23 ფეხბურთელით გაიზრდება; ბოლო-ბოლო, წავიოცნებოთ მაინც და ვინ იცის, იქნებ, 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე... საქართველოს ნაკრებიც მოხვდეს!

**გია ტუხაშვილი**

სერბეთი



სერბეთის ნაკრების ლიდერები, ნემანია ვიდიჩი და მარკო პანტელიჩი პირველ ვარჯიშზე

# პურ-მარილით დახვდნენ

სერბეთის ნაკრები სამხრეთ აფრიკაში გამგზავრებამდე წმინდა სავას ტაძარს ესტუმრა. **დეიან სტანკოვიჩმა** და კომპანიამ მსოფლიოს ყველაზე დიდ მართლმადიდებლურ ეკლესიაში ილოცეს, შემდეგ კი სამხრეთ აფრიკისკენ აიღეს გეზი. იოჰანესბურგის ერთ-ერთ ფეშენებელურ სასტუმროში **რადომირ ანტიჩის** გუნდს ტრადიციული სერბული მუსიკა და ბევრი პური და მარილი დახვდა, რაც ტიპური სერბული რიტუალია.

*„მიხარია, რომ აქ ვართ. სამხრეთ აფრიკაში იმისთვის ჩამოვედით, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ძალიან კარგად ვიასპარეზოთ. ჩვენ ძალიან კარგად ვართ მომზადებულები, მაგრამ ფაქტია, რომ ყველა ნაკრები კარგად იქნება მომზადებული – ეს ხომ დიდი საფეხბურთო ზეიმია. იმედი მაქვს, რომ სამხრეთ აფრიკა, როგორც ქვეყანა, თავს საუკეთესო კუთხით წარმოაჩენს და ეს იქნება მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ჩემპიონატი,"* - განაცხადა ანტიჩმა იოჰანესბურგის აეროპორტში.

სამხრეთ აფრიკაში გამგზავრებამდე გამართულ ორ ამხანაგურ მატჩში სერბების დაცვის ბურჯმა **ნემანია ვიდიჩმა** ჯანმრთელობის პრობლემის გამო ვერ იასპარეზა, მაგრამ ჯგუფური ეტაპის პირველი ტურისთვის (კვირას, განასთან) სრულ მზადყოფნაში იქნება. ანტიჩის თქმით, ვიდიჩი პირველ მატჩში სავარაუდოდ ითამაშებს.

სერბები უაღრესად მოტივირებულები არიან, რაც მცველ **ბრანისლავ ივანოვიჩის** სიტყვებიდანაც ჩანს: *„ჩვენს უკან მთელი ქვეყანაა. პირველივე შეხვედრაში ასი პროცენტით კონცენტრირებულები ვიქნებით. დარწმუნებული ვარ, რომ განას დავამარცხებთ და საერთოდ, მჯერა, რომ მინიმუმ მერვედფინალში გავალთ."*

პროგრამა მინიმუმი სერბეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტ **ტომისლავ კარაჯიჩის** თქმითაც მერვედფინალში გასვლაა. გუნდის სლოგანი კი ასეთია: Igramo screm, vodimo osmehom! (ვთამაშობთ გულით, ვიგებთ ღიმილით)

**გოტფრიდ ლენცი**

www.britishcentre.ge

დაზოგეთ დრო ენერგია და ბიუჯეტი !
შეისწავლეთ ინგლისური ოთხჯერ უფრო სწრაფად !
ბრიტანული ცენტრის კარი ღიაა ნებისმიერი მსმენელისთვის !

BRITISH CENTRE

ირინა ონაშვილი:

„პირველივე გაკვეთილიდან მივხვდი, რომ ზუსტად იქ მოვხვდი, სადაც საჭირო იყო. საოცრად კარგი გარემოა, თბილი ატმოსფერო, ამასთან ერთად უმაღლეს დონეზეა დისციპლინა. ძალიან ხშირად მიწევს უცხოელ მეგობრებთან ურთიერთობა და ვატყობ, რომ ჩემი ინგლისური საოცრად დაიხვეწა. კომპლექსი არასდროს მქონია და რა დონეზეც ვიცოდი, ისე ვლაპარაკობდი, მაგრამ ახლა უკვე ვამაყობ ჩემი ინგლისურით. აუცილებლად ვაპირებ სწავლის გაგრძელებას ბრიტანულ ცენტრში და ამ დონეზე არ გავჩერდები".



ლელა მებურიშვილი:

„ბრიტანულ ცენტრში ენას კი არ გასწავლიან, აგალაპარაკებენო, მითხრეს და ეს სწორედ, ის იყო, რაც მე მჭირდებოდა. აღმოვაჩინე, რომ ბრიტანულ ცენტრში ინგლისური ენის მასწავლებლები, მოქმედი ლექტორები გადიან ენის შემსწავლელ მაღალ საფეხურებს, იმისთვის, რომ უფრო დახელოვდნენ და დახვეწონ თავიანთი ცოდნა. ერთი სიტყვით, მოვედი და დავრჩი. თვე-ნახევარია დავდივარ და ინგლისურად ლაპარაკის ყველანაირი კომპლექსი მომეხსნა".



დირექტორი დალი ლომიძე:

„თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ბრიტანული ცენტრი სავსებით აკმაყოფილებს ყველა ასაკისა და პროფესიის წარმომადგენელს".

რუსთაველის 36; ტელ: 933 878; 989 999; 934 000
აღმაშენებლის 189; ტელ: 941 111; 952 222
ფალიაშვილის 60; ტელ: 221 915
პეკინის 9; ტელ: 332 557; 514 143

www.britishcentre.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს საინტერესოა...

# მუნდიალი ოჯახური საქმეა

ეს მას სისხლში აქვსო - ცნობილი გამოთქმაა. მართლაც, ხშირად, დურგლის შვილი დურგალი ხდება, ხოლო მსახიობის შვილი სცენას ირჩევს. ასეა ფეხბურთშიც, ასე რომ, სულაც არ არის გასაკვირი, რომ მუნდიალის მონაწილე 736 ფეხბურთელიდან ნაწილს ერთმანეთთან სისხლით ნათესაობა აკავშირებს. მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაშიც მრავლად გვაქვს ასეთი ფაქტი. 1934 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელიც იტალიაში გაიმართა, ესპანეთის ნაკრების ღირსებას **მარტინ ვანტოლრა** იცავდა, ხოლო საფრანგეთის გუნდის შემადგენლობაში **როჟერ რიო** თამაშობდა. გავიდა 4 ათეული წელიწადი და მათმა შვილებმა, **ხოსე ვანტოლრამ** და **პატრის რიომაც** შეძლეს მუნდიალზე თამაში...

ეს ტრადიცია დღემდე გრძელდება. გაგაცნობთ სამხრეთ აფრიკაში გასამართი მუნდიალის მონაწილეთა ნათესაურ კავშირებს. ამერიკის ნაკრებს **ბობ ბრედლი** წვრთნის, გუნდის თავკაცს ნახევარდაცვაში სხვებთან ერთად შვილის, **მაიკლ ბრედლისაც** ეიმედება. F ჯგუფში კიდევ ერთი წყვილია მამაშვილური - სლოვაკეთის ნაკრებს **ვლადიმირ ვაისი** წვრთნის, ხოლო მისი თინეიჯერი შვილი (ასევე **ვლადიმირ ვაისი**) ნახევარდაცვაში ითამაშებს. პატარა ვაისი „მანჩესტერ სიტის" წევრია. მსოფლიოს ჩემპიონატებს 18 შემთხვევა ახსოვთ, როცა მამის შემდეგ მუნდიალზე თამაში შვილმაც შეძლო. ვაისების შემთხვევა ერთ-ერთი ასეთია.

ესპანელთა გოლკიპერის **ხოსე რეინას** მამა **მიგელ რეინა** 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ირიცხებოდა ეროვნულ გუნდში. ურუგვაის ნაკრების ბომბარდირის **დიეგო ფორლანის** მამა 1962 და 1966 წლებში თამაშობდა მუნდიალზე. ასე რომ, მამა-შვილის მხრებზე ოთხი მუნდიალია (დიეგოს დებიუტი 2002 წელს შედგა). 1982 წლის მუნდიალზე ესპანეთის ნაკრებში იყო **ჩაბი ალონსოს** მამა **მიგელ ანხელ ალონსო.**

მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიას ასეთიც ახსოვს - წინაპრის ტრადიცია შვილს კი არა შვილიშვილს გაუგრძელებია. პირველ მუნდიალზე, 1970 წელს **მარიო პერესმა** მექსიკის ნაკრების მაისურა მოირგო, ზუსტად 40 წლის წინ იგივე მისმა პაპამ გააკეთა.

მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიამ ძმების 47 წყვილი იცის. წლეულს ყველაზე დიდ ინტრიგას **ჟერომ ბოატენგისა** და **კევინ-პრინს ბოატენგის** გამოჩენა წარმოადგენს. საქმე იმაშია, რომ პირველი გერმანიის ნაკრების წევრია, მეორე კი - განის. 23 ივნისს იოჰანესბურგში გერმანიის ნაკრები და განა ერთმანეთის პირისპირ დადგებიან, ძმებს კი ერთმანეთის წინააღმდეგ მოუწევთ თამაში. როგორც 2006 წელს, კოტ დ'ივუარის ნაკრებში ითამაშებენ ძმები **კოლო** და **იაია ტურეები**.

მხოლოდ ორმა ძმამ შეძლო მუნდიალის ტიტულის მოგება - 1966 წელს ჟიულ რიმეს თასი ხელში **ჯეკ** და **ბობი ჩარლტონებმა** აიტაცეს, ოთხი წლის შემდეგ ისინი კვლავ თამაშობდნენ მუნდიალზე. თანამედროვეობის ყველაზე ცნობილი ძმები მსოფლიოს ჩემპიონატებზე დანიელი ლაუდრუპები არიან, 1998 წლის ჩემპიონატზე **მიქაელ** და **ბრაიან ლაუდრუპებმა** ითამაშეს. ორ მუნდიალზე ითამაშეს ჰოლანდიელმა ძმებმა **ფრანკ** და **რონალდ დე ბურებმა**, რომლებიც ტყუპები არიან...

განის ნაკრებში ითამაშებენ მცველი **იბრაჰიმ აიევი** და ნახევარმცველი **ანდრე აიევი**, რომლებიც გარდა იმისა, რომ ძმები არიან, წარსულში ცნობილი ფეხბურთელის **აბედი პელეს** შვილები არიან, რომელსაც მუნდიალზე თამაში აუხდენელ ოცნებად ექცა...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

---

ვიქტორინა

# ათიანში!

11 ივნისიდან ფეხბურთის დიდი დღესასწაული გვესტუმრება. აფრიკის კონტინენტის უკიდურეს სამხრეთში მდებარე სახელმწიფო - სამხრეთი აფრიკა მთელი თვის განმავლობაში უმასპინძლებს მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე 32 ნაკრებს. ტელემაყურებელთა ორმილიარდიან არმიას ჩვენი გულშემატკივარიც შეუერთდება. გულშემატკივარს კი, ზოგადად, პროგნოზები უყვარს და გამარჯვებულის ამოცნობას ეშურება...

„ათიანი" მკითხველს პროგნოზის გამოთქმის საშუალებას პირველად არ აძლევს. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში ხომ სწორედ ასე იტყვიან ხოლმე - ათიანში გაარტყაო! კონკურსში მონაწილეობა ყველას შეუძლია. ამისთვის, საკმარისია სამკაციანი გუნდის შედგენა და თქვენი პროგნოზების რედაქციაში გამოგზავნა მისამართზე:

**atiani_magazine@hotmail.com**

საკონკურსო კითხვებზე პასუხები წინასწარ, ჩემპიონატის დაწყებამდე (11 ივნისამდე) უნდა მოგვაწოდოთ. მკითხველები უნდა წარდგნენ 3-კაციან გუნდებად და გუნდებსაც შესაფერისი, სასურველია, სახალისო სახელი შეურჩიონ. ერთი გუნდის წევრთა პროგნოზები აუცილებელი არ არის, მეორდებოდეს, მთავარია გუნდის 3 წევრის მიერ ინდივიდუალურად მოგროვილი ქულების ჯამი. საკონკურსო კითხვა სულ ხუთია. თითოეულ კითხვაზე შესაძლებელია მაქსიმალური 32 ქულის მოგროვება. ხუთ საკონკურსო კითხვაზე მონაწილემ სწორი პასუხებით შეიძლება 160 ქულა მოაგროვოს, გუნდებისთვის კი მაქსიმუმი 480 ქულაა. საკონკურსო კითხვები ასეთია:

1. რომელი გუნდები გავლენ ქვეჯგუფებში პირველ და მეორე ადგილებზე? (ყოველ სწორად გამოცნობილ ადგილზე 2 ქულაა).
2. რომელი გუნდები გახდებიან ნახევარფინალისტები? (ყოველი ნახევარფინალისტის გამოცნობაზე 8 ქულაა).
3. რომელი გუნდები გავლენ ფინალში? (ყოველი ფინალისტის გამოცნობაზე 16 ქულაა).
4. ვინ გახდება მსოფლიოს ჩემპიონი? (ჩემპიონის გამოცნობაზე 32 ქულაა).
5. ვინ გახდება მსოფლიოს ჩემპიონატის ბომბარდირი? (სწორი პასუხისთვის 32 ქულაა. თუ რამდენიმე თავდამსხმელმა გოლების ერთნაირი რაოდენობა გაიტანა, ქულები გაიყოფა. კონკურსის მონაწილეს შეუძლია დაასახელოს ერთზე მეტი საუკეთესო ბომბარდირი).

---

პორტუგალია



# ნანი, მუნდიალის ახალი მსხვერპლი

ასეთი ტრავმიანობა არც ერთი მუნდიალის წინ არ გვახსენდება, დღე არ გავა, მსოფლიოს ჩემპიონატს ერთი კაშკაშა ვარსკვლავი მაინც არ დააკლდეს - გუშინ პორტუგალიის ნაკრებისა და „მანჩესტერ იუნაიტედის" შემტევი ნახევარმცველის **ნანის** ჯერი დადგა. ნანიმ რამდენიმე დღის წინ მხრის ტრავმა მიიღო, მან პირველად შაბათს გააცდინა ვარჯიში, თავიდან ტრავმა არ ჩანდა სერიოზული, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ამის გამო ნანი მუნდიალს დააკლდებოდა, მაგრამ დეტალურმა გამოკვლევამ სერიოზული დაზიანება გამოავლინა - ექიმთა დასკვნით, ნანისთვის მსოფლიოს ჩემპიონატი უკვე დასრულდა.

**კარლუშ კეიროშმა** უკვე ისარგებლა ფიფას წესით და, მიუხედავად იმისა, რომ 1 ივნისის დედლაინი კარგა ხნის გასულია, ნანის ნაცვლად ნაკრებში „ბენფიკას" შუახაზელ **რუბენ ამორიმს** დაუძახა, მანჩესტერელის 17-ნომრიან მაისურას ამორიმი მოირგებს, რომელსაც პორტუგალიის ნაკრებში აქამდე არასოდეს უთამაშია.

ნანი ბრწყინვალე ფორმაში იყო და მისი არყოფნა პორტუგალიელთა შანსებს G ჯგუფში ერთი-ორად ამცირებს. შეგახსენებთ, რომ კეიროშის გუნდი „სიკვდილის ჯგუფშია" ბრაზილიის, კოტ დ'ივუარისა და ჩრდილოეთ კორეის ნაკრებებთან ერთად.

რუბენ ამორიმი 25 წლისაა, ის ნაკრების სარეზერვო სიაში იყო. ამორიმი სამხრეთ აფრიკაში გუშინ გათ[illegible]. რუბენი ცენტრალური ნახევარმცველია, თუმცა მას დაცვის და ნახევარდაცვის მარჯვენა ფრთაზეც შეუძლია თამაში.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

---

ინგლისი

# ფერდინანდი ჰესკის არ ადანაშაულებს

## ტერი-კინგი ბავშვობაშიც წყვილი იყო



„ლელოს" მკითხველმა კარგად იცის, რომ ინგლისის ნაკრებს მუნდიალზე კაპიტანი **რიო ფერდინანდი** ვარჯიშზე **ემილ ჰესკისთან** შეჯახებისას მიღებული ტრავმის გამო დააკლდება. ფერდინანდი აცხადებს, რომ მომხდარში თანაგუნდელს ბრალს არ სდებს.

*„ემილმა პასი მიიღო, მე კი შევეცადე, მისთვის ბურთი უკნიდან წამერთმია. წონასწორობა ორივემ დავკარგეთ და ჰესკი მუხლზე დამეცა. ეს მისი ბრალი არ ყოფილა. ადგილი ჰქონდა შემთხვევით ინციდენტს, რომელიც შეიძლება, ნებისმიერ დროს მოხდეს და ნებისმიერს დაემართოს. აქვე იმასაც ვიტყვი, რომ ეს ტრავმა ჩემს წინა დაზიანებებთან კავშირში არაა. როგორც კი დავშავდი, მივხვდი, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ველარ ვითამაშებდი. სამედიცინო გამოკვლევას კი იმიტომ ველოდი, რომ უბრალოდ, ამაში დავრწმუნებულიყავი. რასაკვირველია, ეს უდიდესი იმედგაცრუება იყო, მაგრამ სხვა რა გზა მქონდა, შევეგუე. ამ ამბის შემდეგ პირველი ღამე ჩემთვის ნამდვილი კოშმარი იყო. გათენებამდე ვფიქრობდი, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩემი ქვეყნის ღირსების დაცვას ვერ შევძლებდი და ვცდილობდი გონებაში წარმომედგინა, რა მოხდებოდა ჩემი მუნდიალზე თამაშის შემთხვევაში. ეროვნული ნაკრების კაპიტნის რანგში მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობა ხომ ნებისმიერი ფეხბურთელის ოცნებაა, და მე ეს ოცნება თვალსა და ხელს შუა გამიფრინდა. მოგვიანებით საკუთარ თავს ვუთხარი, რომ ეს როგორმე უნდა გადამეტანა. მსოფლიოში ხომ უამრავი ადამიანია, რომლებიც ჩემზე გაცილებით მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან. მე ხომ არ მოვმკვდარვარ და არც ეს ტრავმა ნიშნავს იმას, რომ ჩემთვის ფეხბურთი დამთავრდა. მწყობრშიც ჩავდგები და ფეხბურთსაც ვითამაშებ"*, - ამბობს რიო, რომელიც 12 ივნისს ინგლისი-აშშ-ის მატჩს დაესწრება და სამხრეთ აფრიკიდან სამშობლოში ამის შემდეგ დაბრუნდება.

მის არყოფნაში ინგლისის ნაკრების დაცვის ცენტრში **ჯონ ტერის ლედლი კინგი** შეუწყვილდება. ამ დუეტმა გვერდიგვერდ „პლატინუმ სტარზთან" 3:0 მოგებულ შეხვედრაში ითამაშა და თამაშის შემდეგ ტერიმ ახალი მეწყვილე შეაქო:

*„მოედანზე ერთად 45 წუთი გავატარეთ და მოხარული ვარ, რომ ერთმანეთს შესანიშნავად გავუგეთ. ალბათ, ბევრმა არც კი იცის, რომ მე და ლედლის ერთად ბავშვობაში გვითამაშია. ვარჯიშებზეც და განვლილ მატჩშიც შევატყვე, რომ ინგლისის ნაკრებს დაცვის ცენტრში ყველაფერი რიგზე აქვს".*

ტერიმ იქვე მსოფლიოს ჩემპიონატის ბურთსაც გაჰკრა კბილი და თქვა, „ჯაბულანი" მეკარეებთან ერთად, დამატებით თავსატეხს მცველებსაც გაუჩენს.

სხვათა შორის, ზემოთ ნახსენებ „პლატინუმ სტარზთან" მატჩს მცირე ინციდენტიც მოჰყვა. შეხვედრის სამხრეთაფრიკელმა არბიტრმა **ჯეფ სელოგილვემ** პრესასთან დაიჩივლა, რომ მთელი თამაშის განმავლობაში **უეინ რუნი** მას და მის ასისტენტებს სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა.

*„რუნიმ თავის შეკავება უნდა ისწავლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მსოფლიოს ჩემპიონატზე წითელ ბარათს აუცილებლად გამოჰკრავს ხელს. როცა მას ტელევიზორში უყურებ, ნორმალური ადამიანი გგონია, მოედანზე კი საპირისპირო ხდება. თუკი მე მაგინებდა, მსოფლიოს ჩემპიონატზეც იმავეს გაიმეორებს. მოკლედ, რუნიმ იმედები გამიცრუა. არადა, უნდა გამოვტყდე, რომ იგი ჩემი უსაყვარლესი ფეხბურთელია"*, - ამბობს სელოგილვე. თავად რუნი მსაჯის სიტყვებს არ გამოხმაურებია, მხოლოდ ის თქვა, საკუთარ თამაშს ნორმალურად ვაფასებო.

ორიოდე სიტყვით **ფაბიო კაპელოს** გუნდის სხვა მცირე სიახლეებზეც: „ასტონ ვილას" ნახევარმცველ **ჯეიმს მილნერს** ტემპერატურამ აუწია, რის გამოც ნაკრების გუშინდელი ვარჯიში გამოტოვა. სამაგიეროდ, სრულად დაიტვირთა „მანჩესტერ სიტის" შუახაზელი **გარეთ ბერი**, რომელსაც ფიზიკური კონდიციები ბოლომდე არ აღუდგენია და ამის გამო ამერიკელებთან დაპირისპირებას გამოტოვებს. ჩელსელებმა, **ეშლი** და **ჯო კოულებმა** ლედლი კინგთან ერთად სატრენაჟორო დარბაზში ივარჯიშეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

### ინგლისელი ფანები ციხეში

ცუდი არაფერი იფიქროთ, ინგლისის ნაკრების გულშემატკივრებს ჯერ ისეთი არაფერი ჩაუდენიათ, რომ სამხრეთაფრიკულ საპყრობილეში ამოჰყონ თავი. ისინი უბრალოდ, კულტურული პროგრამის ფარგლებში ქეიფთაუნთან ახლოს მდებარე პატარა კუნძულ რობენს ეწვევიან, სადაც იმ ციხეს მოინახულებენ, რომელშიც აპარტეიდის რეჟიმის დროს ლეგენდარული **ნელსონ მანდელა** იჯდა.

ამ ტურის ორგანიზატორის თქმით, სამხრეთ აფრიკაში ჩასული ადამიანი, სტადიონების გარდა, სხვა საინტერესო ადგილებსაც უნდა ესტუმროს. სავარაუდოდ, მუნდიალზე 25 ათასი ინგლისელი ფანი ჩავა, არადა, ორ ამდენს ელოდნენ...

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოზიცია

# კრუიფი იტალიას ვერ იტანს

## ლეგენდარულ ჰოლანდიელს იმედი აქვს, რომ კაპელოს ინგლისი მუნდიალს ვერ მოიგებს



საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჩრდილოევროპელები ორგანიზებულ და პრაგმატულ ფეხბურთს თამაშობენ. ნაკლებია ტექნიკა, იმპროვიზაცია, თუნდაც უბრალო ფინტი, რომელმაც გულშემატკივარი შეიძლება ალტაცებაში მოიყვანოს. სამაგიეროდ, ყოველთვის კარგად არიან მომზადებულნი ფიზიკურად და მატჩის ბოლო წუთამდე თავგამოდებით იბრძვიან. სამხრეთულ გუნდებს აბსოლუტურად განსხვავებული სტილი აქვთ, რაც ყველამ ძალიან კარგად ვიცით და აღარ დავკონკრეტდებით. სად ხდება ამ ყველაფრის? - იდეალური ფიზიკური მომზადების, ორგანიზებულობის, ტექნიკის და იმპროვიზაციის სინთეზი? ეს ყველაფერი ერთად შეგიძლიათ ჰოლანდიურ ფეხბურთში იხილოთ. დიახ, ჰოლანდია ამ მხრივ მართლაც უნიკალური ქვეყანაა, შეიძლება ითქვას, ზესაფეხბურთო ქვეყანა. როდესაც ტოტალურ ფეხბურთს, შეგიძლია სექსუალური ფეხბურთი შეუთავსო, სრულიად ნათელია, რომ განსაკუთრებულ მოვლენასთან გვაქვს საქმე.

ყველაზე გამორჩეული ჰოლანდიელი ფეხბურთელი **იოჰან კრუიფია**, რომელსაც ყოველთვის თავისი პრინციპები ჰქონდა და ამ პრინციპებს დღესაც არ ღალატობს. ის ვერ იტანს გუნდებს და ქვეყნებს, სადაც შედეგზე ორიენტირებულ ფეხბურთს თამაშობენ. დიახ, ვერ იტანს, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. მაგალითად, როდესაც კრუიფი იტალიურ ფეხბურთსა და გნებავთ, ზოგადად იტალიაზე საუბრობს, მის თვალებში და ხმაში აშკარად ზიზღი იგრძნობა. ამბობენ, რომ ეს 1994 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალიდან ილებს სათავეს. მისი „ბარსელონა", რომელიც რომანტიკულ ფეხბურთს თამაშობდა, **ფაბიო კაპელოს** „მილანთან" 0:4-ზე განადგურდა და სანუკვარი ტროფეის გარეშე დარჩა. მაშინდელ „ბარსელონაში" მართლაც რომ განუმეორებელი ფეხბურთელები თამაშობდნენ, თუმცა ვერაფერი გააწყვეს **დეიან სავიჩევიჩის, დანიელე მასაროს, მარსელ დესაის** და მსგავსი ტიპის ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ „როსონერისთან".

კრუიფი დღესაც „აცრილია" იტალიურ ფეხბურთსა და პერსონალურად კაპელოზე, რაც მასსა და ინგლისელ ჟურნალისტს შორის გამართული დიალოგიდან კარგად ჩანს. კითხვაზე, არის თუ არა კაპელოს გუნდი მუნდიალის მთავარი ფავორიტი, კრუიფი ასე პასუხობს:

*„ალბიონელების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ ვიტოვებ იმედს, რომ ამ ფორმაციის ინგლისი მსოფლიოს ჩემპიონი ვერ გახდება. მთელი ბრიტანეთი და პირადად მე, დიდ გაუგებრობაში ვართ - ჩვენ ვიცით, რას უნდა ველოდოთ ინგლისისგან. ჩემი აზრით, აი ეს არის ყველაზე ცუდი ამბავი და შეიძლება ითქვას, ტრაგიკულიც კი. ინგლისის უმთავრესი გუნდი ყოველთვის გამოცანა იყო და ყოველთვის გულშემატკივარზე ორიენტირებულ ფეხბურთს თამაშობდა, კაპელოს ხელში კი ყველაფერი სხვაგვარად არის. თანაც, ვატყობ, რომ ფაბიომ მთელი ქვეყანა შეცვალა. თვითონ ინგლისელები არიან ბედნიერნი იმით, რომ მათი გუნდის თამაში ძალიან პროგნოზირებადია".*

და ვის უგულშემატკივრებს კრუიფი? - თუ ჰოლანდიას არ ჩავთვლით, ესპანეთს, ბრაზილიას და არგენტინას. მოვუსმინოთ იოჰანს: *„დიდი იმედი მაქვს, რომ ჩემპიონი ის გუნდი გახდება, რომელიც შემტევ ფეხბურთს ითამაშებს. დღევანდელი გადასახედიდან, ასეთი ან ესპანეთი იქნება, ან არგენტინა, ანაც ბრაზილია. მართალია, დუნგას გუნდზე ამბობენ, ზედმეტად ჩაკეტილ ფეხბურთს თამაშობსო, მაგრამ მე ამის არ მჯერა. მაინც ვიტოვებ იმედს, რომ ბრაზილიელები ტრადიციულად საფეხბურთო სპექტაკლებს შემოგვთავაზებენ. თუ ესპანეთმა პოტენციალი სრულად გამოავლინა, ჩემპიონობის უმთავრესი პრეტენდენტი იქნება. ვისენტე დელ ბოსკეს განკარგულებაში არაერთი ბრწყინვალე ფეხბურთელია, რომლებსაც ყველაფრის მოგება შეუძლიათ. ხომ ხედავთ, ხშირად ტექნიკური და გულშემატკივრებზე გათვლილი თამაში სულაც არ ეწინააღმდეგება რეზულტატის მიღებას. ევროპის 2008 წლის ჩემპიონატმა ეს ნათლად დაადასტურა. ვგულშემატკივრობ არგენტინას, რადგან ამ გუნდში ისეთი ფეხბურთელები ასპარეზობენ, რისთვისაც საერთოდ გვიყვარს სპორტის ეს სახეობა. ვნახოთ, იმედია, ჩამოთვლილ ნაკრებებს ნახევარფინალში ვიხილავ".*

აი, რას ამბობს კრუიფი ჰოლანდიის ნაკრებზე: *„რამდენიმე ძალიან კარგი ფეხბურთელი გვყავს, მაგრამ მათგან მხოლოდ ერთია ნამდვილი ვარსკვლავი. სამწუხაროდ, ისიც არ ვიცით, ითამაშებს თუ არა მსოფლიოს ჩემპიონატზე. ამიტომ, გამიჭირდება პროგნოზის გაკეთება და იმის მტკიცება, რომ მუნდიალზე აუცილებლად წარმატებით ვიასპარეზებთ. მიხარია, რომ ახალგაზრდული გუნდი გვყავს, რომლებსაც მომავალში დიდი მიზნების მიღწევა შეუძლიათ - ამჯერად კი უბრალოდ ვუგულშემატკივროთ და დავიტოვოთ იმედი, რომ მაქსიმალურად შორს წავლენ".*

კრუიფმა ერთადერთ ვარსკვლავში რომ **არიენ რობენი** იგულისხმა, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს. გუშინ, ჰოლანდიამ ძალიან კარგი ამბავი შეიტყო - რობენი უკეთ გრძნობს თავს და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ნაკრებს პირველივე თუ არა, მეორე შეხვედრიდან მაინც დაეხმარება. ჰოლანდიის უმთავრესი გუნდი უკვე რამდენიმე დღეა, რაც სამხრეთ აფრიკაშია, არიენი კი შავი კონტინენტის გზას გუშინ დაადგა. გაფრენამდე ჟურნალისტებს კომენტარი მისცა და შემდეგი განაცხადა:

*„ორი წლის განმავლობაში, ბევრი ენერგია შევალიე იმას, რომ ჩვენს ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატზე ეასპარეზა და ნამდვილად ტრაგედია იქნებოდა, ტრავმის გამო, მუნდიალი რომ გამომეტოვებინა. ექიმებმა დიდი სამუშაო გასწიეს და დღეს იმედით ვარ აღსავსე. სამხრეთ აფრიკაში მივდივარ, სადაც გუნდს უნდა შევუერთდე. მალე შევიტყობთ, შევძლებ თუ არა პირველ შეხვედრაში მონაწილეობის მიღებას".*

იტალია



ანტონიო დი ნატალე და ანჯელო პალომბო

# დი ნატალეს ერთგულება

იტალიურ პრესაში არაერთხელ გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ **ანტონიო დი ნატალე** „უდინეზედან" სხვა გუნდში გადაბარგებას აპირებს. მისი მომავალი ჯერ „ნაპოლის" დაუკავშირეს, შემდეგ „ჯენოას", ბოლოს კი სულაც „მანჩესტერ სიტის". პრინციპში, ამაში გასაკვირი არაფერია, რადგან სერია A-ს საუკეთესო ბომბარდირი და იტალიის ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი მოკრძალებული ამბიციების მქონე გუნდში ასპარეზობს. მიუხედავად ამისა, ტოტო კლუბის გამოცვლას არ აპირებს, რაც მისი კომენტარიდან შევიტყვეთ:

*„ძალიან ნორმალურია ის, რომ ჩემით არაერთი ევროპული გუნდია დაინტერესებული. სერია A-ს განვლილ გათამაშებაში მართლა კარგად ვიასპარეზე და გოლიც უხვად გავიტანე. ძალიან სასიამოვნოა, რომ ჩემი სამსახურით რამდენიმე გრანდიც კი დაინტერესდა. თუმცა, აქედანვე მინდა აღვნიშნო, რომ არსად წასვლის სურვილი არ მაქვს. უდინეში თავს ძალიან კომფორტულად ვგრძნობ და იმ ასაკშიც აღარ ვარ, აქეთ-იქით ვიხეტიალო. თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, კარიერას სწორედ „უდინეზეში" დავასრულებ".*

# კანავარო: სასაცილო ხალხი ვართ

## ...ანუ დავა პრემიალურების გამო

იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ რომ ეროვნულ ნაკრებს სამუნდიალე პრემიები დაუწესა, უკვე გაცნობეთ. ისიც გითხარით, რომ თასის შენარჩუნების შემთხვევაში, „სკუადრა აძურას" თითოეული ფეხბურთელი 240 000 ევროს მიიღებს. ზუსტად ამდენი შეხვდათ იტალიელ ფეხბურთელებს 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ, რომელიც **მარჩელო ლიპის** გუნდის ტრიუმფით დასრულდა.

თითქოს განსაკუთრებული არც არაფერი მომხდარა, ფედერკალჩომ პრემიალურები დაადგინა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ იტალიაზე ვლაპარაკობთ, სადაც ნებისმიერი ნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხიც კი შეიძლება სკანდალში გადაიზარდოს. გადავიდეთ საქმეზე - გაცხადდა თუ არა პრემიალურების შესახებ, იტალიის ერთ-ერთ რეიტინგულ ტელეშოუს **სილვიო ბერლუსკონის** პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი, **რობერტო კალდერონი** ესტუმრა და ხმაურიანი განცხადებები გააკეთა. მისი თქმით, ეკონომიკური კრიზისის დროს, როდესაც ქვეყნის მოსახლეობას ძალიან უჭირს, ამხელა თანხების პრემიის სახით დაწესება გაუმართლებელი იყო. კალდერონი აღშფოთებული გახლდათ და კატეგორიულად მოითხოვა ფედერკალჩოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმება.. ამ ამბავს აპენინებზე დიდი რეზონანსი მოჰყვა - პოლიტიკოსთა დიდმა ნაწილმა მკაცრად გააკრიტიკა კალდერონი, თუმცა გამოჩნდნენ ისეთებიც, ვინც მისი პოზიცია გაიზიარა.

ამ ყველაფერმა მოთმინება დააკარგვინა „სკუადრა აძურას" კაპიტან **ფაბიო კანავაროს**, რომელმაც შემდეგი განაცხადა: *„ასეთ რამეს სხვაგან ნამდვილად ვერ გაიგონებთ, სასაცილო ხალხი ვართ. ისეთი რამეებისგან ვქმნით პრობლემას, რომელიც საერთოდ არ არის სალაპარაკო და გასარჩევი. მსოფლიოს ჩემპიონები ვართ და ტიტულის შენარჩუნებისთვის ვიბრძვით, ამ დროს კი რაღაც პრემიალურ თანხებზე ერთი ამბავი ავტეხეთ. ძალიან სამწუხაროა ეს ყველაფერი".*

კალდერონის განცხადებას **ჯანლუიჯი ბუფონიც** გამოეხმაურა. კანავაროს მსგავსად, „აძურას" კიპერიც აღშფოთებულია: *„გვითხრან, სად წავა ის ფული, რომელიც ჩვენი პრემიალურების გაუქმებით დაიზოგება და ჩემი ნებით ვიტყვი უარს ყველანაირ თანხაზე. 240 000 ევროს სიამოვნებით შეველევი, თუკი მეცოდინება, რომ თანხა კარგ საქმეს მოხმარდება. მაგრამ, როდესაც კორუმპირებული პოლიტიკოსები პრემიალურების მიზანშეუწონლობაზე საუბრობენ, ნამდვილად სასაცილო და სამარცხვინოა. უმჯობესია, თავიანთ ჯიბეებს მოაკლონ და იმ თანხებით ებრძოლონ მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს".*

აი, ასეთი ამბები ატყდა იტალიაში. ეტყობა, მსოფლიოს ჩემპიონატის წინ აპენინელები სკანდალის გარეშე ვერ ძლებენ. გაზაფხულის შუა წელს „კალჩოპოლის" ახალი ტალღის აგორებაც კი სცადეს, მაგრამ არაფერი გამოვიდა და ალბათ, ასე შეეცდებიან ამ დანაკლისის ცოტათი მაინც ანაზღაურებას.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**




ფაბიო კანავარო და კლაუდიო მარკიზიო

გერმანია

# არნე და პერი უკან

## ფრიდრიხი: მერტეზაკერი ჩემი შეფი არ არის!



გერმანიის ნაკრების ცენტრალური მცველები პერ მერტეზაკერი და არნე ფრიდრიხი

2006 წლის მუნდიალზე (მესამე ადგილი), გერმანიის ნაკრების დაცვის ცენტრში **კრისტოფ მეტცელდერი** და **პერ მერტეზაკერი** თამაშობდნენ, უფრო ადრე, კერძოდ კი 2002 წლის მუნდიალზე (მეორე ადგილი), ბუნდესგუნდის დაცვის ცენტრში **თომას ლინკე** და **კარსტენ რამელოვი** იდგნენ. მართალია, ეს უკანასკნელი საყრდენი ნახევარმცველი იყო, მაგრამ რაკი მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე **იენს ნოვოტნი** დაშავდა, იმჟამინდელმა ბუნდესმწვრთნელმა **რუდი ფიოლერმა** კორეასა და იაპონიაში დაცვის ცენტრში რამელოვი ათამაშა. ლინკემ და რამელოვმა კარიერა დიდი ხანია, დაასრულეს, მეტცელდერი „გაფუჭდა", აი, მერტეზაკერი კი, კვლავ თამაშობს და ამ მუნდიალზე ბუნდესგუნდის დაცვის ბურჯობა უნდა ითავოს - **არნე ფრიდრიხთან** ერთად, რომელიც ოთხი წლის წინ ბუნდესგუნდის მარჯვენა მცველი იყო...

რამდენად საიმედო იქნება მერტეზაკერ-ფრიდრიხის დუეტი ბუნდესგუნდის უკანა ხაზის ცენტრში? მთავარი მწვრთნელი **იოახიმ ლიოვი** დარწმუნებულია, რომ არნე და პერი ბუნდესგუნდის ისტორიაში ერთ-ერთ საუკეთესო ტანდემს შექმნიან - მიუხედავად იმისა, რომ მაგალითად ფრიდრიხს სულაც არ ჰქონდა შესანიშნავი სეზონი, მისი „ჰერტა" ხომ ბუნდესლიგიდან გავარდა.

სამხრეთ აფრიკაში ჩასვლის შემდეგ გამართულ პირველივე პრესკონფერენციაზე იოგიმ ჟურნალისტებს სწორედ მერტეზაკერი და ფრიდრიხი წარუდგინა. ექსპერტები ხშირად აღნიშნავენ, რომ დაცვის შეფი მერტეზაკერია, რასაც ფრიდრიხი არ ეთანხმება. *„მე არ ვფიქრობ, რომ პერი ჩემი შეფია. დაცვის ცენტრში ორივეს ძალიან დიდი პასუხისმგებლობა გვაკისრია, ორივეს მოვალეობაში შედის, როგორც შეტევების ორგანიზება, ისე ჩვენ წინ განლაგებული ფეხბურთელებისთვის რჩევა-დარიგებების მიცემა,"* - განაცხადა ფრიდრიხმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე. არნეს გერმანიის ნაკრებში 72 მატჩი აქვს ჩატარებული და ზოგადად, მარჯვენა მცველია, თანაც, მემარჯვენე ფეხბურთელია და მიუხედავად ამისა, მიაჩნია, რომ მისთვის პრობლემა არ იქნება დაცვის ცენტრში, მემარცხენე მცველის პოზიციაზე თამაში. ფრიდრიხი: *„თავიდან ვფიქრობდი, რომ ეს პრობლემა იქნებოდა, მაგრამ ამხანაგურ მატჩებში გამოჩნდა, რომ მერტეზაკერის გვერდით, მემარცხენე ცენტრალური მცველის პოზიციაზე თავს კარგად ვგრძნობ."*

ფრიდრიხი და მერტეზაკერი ბუნდესგუნდში ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი ფეხბურთელები არიან და რაკი ლიოვის გუნდში აღარც **ტორსტენ ფრინგსია** და აღარც **მიხაელ ბალაკი** (ტრავმა), პერის და არნეს როლმა და ფუნქციებმა დამატებითი მნიშვნელობა შეიძინა.

*„იენს ლემანი ასი პროცენტით მართალია, როცა ამბობს, რაკი გუნდში ჩამოყალიბებული სტრუქტურა და იერარქია აღარ არსებობს, ესეც მშვენიერი შანსია, რომ გუნდმა სერიოზულ წარმატებებს მიაღწიოსო,"* - ამბობს მერტეზაკერი, რომელიც ფრიდრიხის მოსაზრებას ეთანხმება და მიაჩნია, რომ პასუხისმგებლობა ყველა მოთამაშეზე უნდა გადანაწილდეს.

აღსანიშნავია, რომ ფრიდრიხის საკლუბო მომავალი ჯერ კიდევ გაურკვეველია. ფაქტი ის არის, რომ არნე „ჰერტაში" არ დარჩება და მეორე ბუნდესლიგაში არ ითამაშებს. მისი გადაბირება რამდენიმე კლუბს უნდა, მათ შორის „ვოლფსბურგს", „ჰამბურგს" და „ლევერკუზენს".

ფრიდრიხი: *„ჯერ არაფერი გადაწყვეტილა. ახლა მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონატზე ვარ კონცენტრირებული და საკლუბო მომავალზე საუბარი არ მინდა. ჩემი მენეჯერი ტრანსფერზე მუშაობს და როგორც კი რამე გაირკვევა, მაშინვე გავახმაურებთ. შეიძლება, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ჩემით სამჯერ და ოთხჯერ მეტი კლუბი დაინტერესდეს."*

ინტერვიუ

მარიო ბასლერი

# არა მგონია, ჩემპიონები გავხდეთ

## ამ გუნდისთვის მეოთხედფინალი მაქსიმუმია, თუ გაგვიმართლა, ნახევარფინალშიც გავალთ



მარიო ბასლერი სკეპტიკურადაა განწყობილი

**მარიო ბასლერი ექსპერტების იმ კატეგორიას განეკუთვნება, რომლებიც არასდროს ჰყვებიან ეიფორიას და ყოველთვის ცდილობენ, რომ მედლის მეორე მხარეც დაინახონ. ამიტომაც, არავის გაჰკვირვებია, ტელეკომპანია DSF-ის პირდაპირ ეთერში მიწვეულმა სუპერმარიომ პირდაპირ რომ თქვა, მსოფლიოს ჩემპიონატზე გერმანიის ნაკრებისგან გრანდიოზულ შედეგებს არ ველიო...**

**- ჰერ ბასლერ, ბევრი გერმანელი ექსპერტი ფიქრობს, რომ მსოფლიოს ჩემპიონობის ჩინებული შანსი გვაქვს. საინტერესოა, თქვენ როგორ აფასებთ ბუნდესგუნდის შანსებს?**

- მე არც ისე ოპტიმისტურად ვარ განწყობილი, როგორც სხვები. პირიქით, გერმანიის ნაკრების შანსებს სკეპტიკურად ვუყურებ და ამას არც ვმალავ. პირდაპირ ვიტყვი: არა მგონია, რომ მსოფლიოს ჩემპიონები გავხდეთ. ვფიქრობ, მეოთხედფინალში გასვლა სავსებით რეალურია და თუ გაგვიმართლა, შეიძლება ნახევარფინალშიც ვითამაშოთ. ამაზე შორს წასვლა კი, ფაქტობრივად გამორიცხულია, რადგან სხვა ქვეყნებს ჩვენზე გაცილებით ძლიერი გუნდები ჰყავთ.

**- მუნდიალის პირველი მატჩი გერმანიას ავსტრალიასთან უწევს. „კენგურუების" დამარცხება რეალურია?**

- საერთოდ, ასეთ ტურნირებზე ყველაზე მთავარი სტარტია. დაუწერელი კანონია: ევროპის ან მსოფლიოს ჩემპიონატს როგორც დაიწყებ, ისე გააგრძელებ და სავარაუდოდ, ისევე დაამთავრებ. ყველა დამეთანხმება, რომ პირველი მატჩის მოგება ძალიან მნიშვნელოვანია. ჩემი აზრით, არ არსებობს მიზეზი, რის გამოც ავსტრალიის ნაკრებს ვერ უნდა მოვუგოთ. ის ფაქტი, რომ „კენგურუებთან" აუცილებლად სამი ქულა უნდა მოვიპოვოთ, საერთოდ არ უნდა იყოს განსჯის საგანი. მე მჯერა, რომ ავსტრალიას მოვუგებთ, რადგან ფაქტია, ჯერ ისე არ დავსუსტებულვართ, რომ ავსტრალიასაც ველარ მოვუგოთ.

**- მიხაელ ბალაკის დაშავების შემდეგ, გერმანიის ნაკრების კაპიტნის სამკლავური ფილიპ ლამს მოარგეს. როგორ ფიქრობთ, რამდენად შეძლებს ეს უკანასკნელი პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებას და იქნება თუ არა ის ღირსეული კაპიტანი?**

- ფილიპი ვალდებულია, ღირსეული ლიდერი იყოს. ცხადია, კაპიტნობა პრესტიჟთან ერთად, უმძიმეს წნეხსაც ნიშნავს, მაგრამ ფილიპი საკმარისად გამოცდილია იმისათვის, რომ ზეწოლას გაუძლოს და არც პასუხისმგებლობას გაექცეს. ყველაფერთან ერთად, ლამი შესანიშნავი ფეხბურთელია და ვფიქრობ, პრობლემები არ შეექმნება. ამ შემთხვევაში მისი პლუსი ის არის, რომ გარშემო ფაქტობრივად სულ ახალგაზრდა ფეხბურთელები ჰყავს. ჩემი აზრით, ლამს ამ გუნდის მართვა შეუძლია.

**- იოახიმ ლიოვმა სამხრეთ აფრიკაში ძალიან ახალგაზრდული გუნდი წაიყვანა. მიუხედავად ბალაკის, როლფესის, ვესტერმანისა და ტრეშის ტრავმებისა, მაინც არ უხმო ტორსტენ ფრინგსს, რომელმაც ეს სეზონი ძალიან კარგად ჩაატარა. გერმანიას მსოფლიოს ჩემპიონატებზე 1934 წლის შემდეგ ასეთი ახალგაზრდა გუნდი არ ჰყოლია...**

- ფაქტია, რომ თუ ჯგუფიდან ვერ გავალთ ან მერვედფინალიდან გავვარდებით, ყველა იტყვის, რომ გუნდი ზედმეტად ახალგაზრდული იყო, ნებისმიერი დაიყვირებს, მსოფლიოს ჩემპიონატზე ფრინგსიც უნდა წაგვეყვანა და სხვა გამოცდილი ფეხბურთელებიცო. ხოლო, თუ ბუნდესგუნდი მუნდიალზე კარგად იასპარეზებს, ყველა იტყვის, ლიოვი მართალი იყოო. ან ერთი იქნება, ან მეორე. მე კი ვფიქრობ, რომ ფრინგსის დარი გამოცდილი მოთამაშე გუნდს ძალიან წაადგებოდა.

**- როგორც ჩანს, თომას მიულერმა პიოტრ ტროხოვსკი ძირითადი შემადგენლობიდან ამოაგდო...**

- სხვათა შორის, მე არ ვფიქრობ, რომ ბოსნიასთან ტროხოვსკიმ ცუდი შთაბეჭდილება დატოვა. პრესამ აშკარად გადაამეტა, „ტროხეს" ასე ცუდად ნაღდად არ უთამაშია. აი, მიულერმა კი მეორე ტაიმში მართლა კარგად იასპარეზა და ამაში ყველას დავეთანხმები. მიმაჩნია, რომ ლიოვმა სწრაფად უნდა გადაწყვიტოს, რომელ მათგანს ანიჭებს უპირატესობას - მიულერს თუ ტროხოვსკის. თორემ ხომ იცით, მსოფლიოს ჩემპიონატს ექსპერიმენტები არ უყვარს. მუნდიალზე გუნდის ძირითადი შემადგენლობა ჩამოყალიბებული და ცნობილი უნდა იყოს.

**- კითხვის ნიშნებია თავდასხმაშიც...**

- აი, ამ საკითხზე კი მართლაც ძალიან ბევრია სალაპარაკო. გაოცებული ვარ: ლიოვი ძირითად შემადგენლობაში არ ათამაშებს კაკაუს, რომელმაც, როცა ათამაშა, იმედები ყოველთვის გაამართლა. იოგიმ ამხანაგურ შეხვედრებში არ გამოიყენა შტეფან კისლინგიც და როგორც ჩანს, მასაც არ ენდობა - არადა, ეს უკანასკნელი გასულ სეზონში გერმანელ თავდამსხმელებს შორის ყველაზე შედეგიანი იყო. კევინ კურანი კი, რომელმაც ასევე ძალიან ბევრი გოლი გაიტანა, იოგიმ სამხრეთ აფრიკაში საერთოდ არ იახლა. გადახედეთ სხვა ნაკრებებს და დააკვირდით: განა ბევრი მწვრთნელი აძლევს თავს იმის უფლებას, რომ ასეთი შედეგიანი თავდამსხმელები არ ათამაშოს? ამრიგად, ლიოვს რჩება სამი ფორვარდი, რომლებმაც ერთად არცთუ ისე ბევრი გაიტანეს - პოდოლსკი, კლოზე და გომესი. ამ ფეხბურთელებმა უნდა გახადონ გერმანია მსოფლიოს ჩემპიონი? მაპატიეთ, მაგრამ ეს არ მჯერა.

**- და, თქვენი აზრით, რომელი ნაკრები გახდება მსოფლიოს ჩემპიონი?**

- მე ვფიქრობ, რომ ლოგიკურად ესპანეთმა უნდა იზეიმოს. ესპანელებს საუკეთესო გუნდი ჰყავთ, რომელიც ყველა პოზიციაზე იდეალურადაა დაკომპლექტებული და რაც მთავარია, ესპანეთი გრანდიოზულ ფეხბურთს თამაშობს. არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ ესპანეთი ყველაზე ძლიერია, მაგრამ თავს ვერ დავდებ, რომ ვისენტე დელ ბოსკეს გუნდი მსოფლიოს ჩემპიონი გახდება. როგორც წესი, ასეთი აშკარა ფავორიტები სადღაც მაინც ჩერდებიან ხოლმე...

**გოტფრიდ ლენცი**

მუნდიალის მიღმა

# ბარიოსი: ბორუსია მიყვარს, მაგრამ...

პარაგვაის ნაკრების მაისურით გატანილი თითოეული გოლი მის ფასს მინიმუმ 2 მილიონით ზრდის: მას მერე, რაც დორტმუნდის „ბორუსიას" არგენტინელმა თავდამსხმელმა **ლუკას ბარიოსმა** პარაგვაის ნაკრების ფორმა მოირგო (არგენტინაში არ იძახებდნენ), სამ ტესტმატჩში სამი გოლი გაიტანა და ახლა მისი გადაბირებით უკვე ოთხი კლუბია დაინტერესებული: „მანჩესტერ სიტი", „ფიორენტინა", „ნაპოლი" და „მილანი". საკმარისია, მსოფლიოს ჩემპიონატის პირველ მატჩში მოქმედ ჩემპიონ იტალიასაც (14 ივნისს) გაუტანოს, რომ დაინტერესებულთა რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება. ბარიოსს ჩვენი გერმანელი კოლეგები შეეხმიანენ და კომენტარი სთხოვეს, მან კი ასეთი რამ თქვა: *„ბორუსია" ძალიან მიყვარს, მაგრამ..."*

ლუკასი განმარტავს: *„ცხადია, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ დორტმუნდში დავბრუნდები. „ბორუსიასთან" კონტრაქტი 2014 წლამდე მაქვს გაფორმებული, მაგრამ ვიცი, ერთხელაც დადგება მომენტი, როცა დორტმუნდელები ჩემს გაყიდვას დათანხმდებიან. ეს კლუბი ძალიან მიყვარს, ამ გუნდმა ჩემში საკმაოდ დიდი ინვესტიცია ჩადო, მაგრამ თუ მუნდიალზე ძალიან კარგად ვითამაშებ და რომელიმე კლუბი „დორტმუნდს" დიდ ფულს შესთავაზებს, ალბათ გამყიდიან."*

„ბორუსიას" შეფი **მიხაელ ცორკი** ამბობს, სპეკულაციები არ მაინტერესებს, კონკრეტული წინადადებით კი ჯერ არავის მოუმართავსო. *„მეის მიხარია, რომ ერთი წლის წინ ლუკას ბარიოსი შევიძინეთ. ეს ასი პროცენტით სწორი გადაწყვეტილება იყო,"* - ამბობს „შავ-ყვითლების" სპორტული დირექტორი. მისი საუბრიდანაც ჩანს, რომ „დორტმუნდი" ბარიოსის მსურველებთან მოლაპარაკებისთვის მზად იქნება.

ჩვენი გერმანელი კოლეგების ვარაუდით, „ბორუსია" ბარიოსს ამ ეტაპზე მინიმუმ 25 მილიონ ევროდ აფასებს...

# შვაინი და ჩელსი, რა ხდება?

„მიუნხენერ თაგესცაიტუნგის" ცნობით, ლონდონი „ჩელსი" „ბაიერნისა" და გერმანიის ნაკრების ნახევარმცველ **ბასტიან შვაინშტაიგერს** არ ეშვება. ზემოთ ხსენებული გაზეთი გუშინ წერდა, რომ ლონდონური კლუბის მესვეურები ამ დღეებში მიუნხენში იმყოფებოდნენ და ბავარიელ კოლეგებს შვაინიზე სიტყვა ჩამოუგდეს.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა „ჩელსი" შვაინშტაიგერის გადაბირებისთვის ნიადაგის მოსინჯვას ცდილობს. შეგახსენებთ, რომ ბასტიანს „ბაიერნთან" კონტრაქტი 2012 წლამდე აქვს გაფორმებული და მას არაერთხელ უთქვამს, რომ ოდესმე გერმანიის საზღვრებს გარეთაც სურს თამაში. ამას წინათ შვაინიმ თქვა, არავინ იცის, რა მოხდება მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგო.

ვვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრანსფერები


ივან მარკანო მადრიდში მიდის

# ვილიარეალის პირველი შენაძენი და დანაკარგი

„ვილიარეალმა“ ზაფხულის სატრანსფერო სეზონის პირველი შენაძენი გააკეთა - 22 წლის არგენტინელი **გონსალო პაბლო კასტელანი**, რომელსაც სამშობლოში ყველა „ბონის“ სახელით იცნობს. კასტელანი B დივიზიონის „ფერო კარილ ვესტე-ში“ თამაშობდა, თუმცა „ურაკანის“ აღზრდილია. მან ბოლო 6 წელი გაატარა „ფერო კარილ ვესტეში“. ნახევარმცველს იტალიის მოქალაქეობაც აქვს. „ელ სუბმარინოს“ ხელმძღვანელობას არგენტინელის ყიდვა ჯერ კიდევ ზამთრის პაუზისას სურდა, სატრანსფერო თანხის ოდენობა ჯერჯერობით არ გახმაურებულა.

სამაგიეროდ, „ვილიარეალი“ შეელია **ივან მარკანოს** - 22 წლის მცველი მომავალ სეზონს იჯარის წესით „ხეტაფეში“ გაატარებს, გუნდში, რომელმაც ევროპის ლიგის საგზური მოიპოვა. ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების წევრი ყოველთვის ვერ ხვდებოდა „ვილიარეალის“ ძირითადში (სეზონში 16 მატჩი ითამაშა), პრობლემები მას სეზონის მეორე ნახევარში გაუჩნდა, როცა მწვრთნელმა 19 წლის არგენტინელი **მუსაჩიო** არჩია.

ბოლოს კი ზაფხულის ესპანური ტრანსფერები:

| ფეხბურთელი | საიდან | სად | თანხა |
|---|---|---|---|
| გასტონ სანგოი (არგ) | აპოლონი (კვიპ) | სპორტინგი | 1 მლნ. ევრო |
| სოფიანე ფეგული (საფრ) | გრენობლი (საფრ) | ვალენსია | თავისუფალი აგ. |
| მეჰმეთ თოფალი (თურქ) | გალათასარ. (თურქ) | ვალენსია | 4,2 მლნ. |
| აიოსე გარსია | ტენერიფე | სპორტინგი | თავ. |
| რიკარდო კოშტა (პორტ) | ლილი (საფრ) | ვალენსია | თავ |
| ფრანსისი | ხერესი | რასინგი | თავ. |
| დომინგო სისმა | ალმერია | რასინგი | თავ. |
| დავიდ ვილია | ვალენსია | ბარსელონა | 40 მლნ. |
| ბორხა ფერნანდესი | ვალიადოლიდი | ხეტაფე | თავ. |
| ფერნანდო სორიანო | ალმერია | ოსასუნა | თავ. |
| ნაჩო ნოვო | რეინჯერსი (შოტლ) | სპორტინგი | თავ. |
| მუჰამადო დაბო (საფრ) | სენტ-ეტიენი | სევილია | თავ. |
| ფრან მერიდა | არსენალი (ინგლ) | ატლეტიკო | თავ. |
| მიჩელ ერერო | ვალენსია | დეპორტივო | იჯარა |
| იგორ მარტინესი | ალავესი | ბილბაო | 0,2 მლნ. |
| ნიკოლა ჟიგიჩი (სერბ) | ვალენსია | ბირმინგ. (ინგლ) | 7 მლნ. |
| ფელიპე მატიონი (ბრაზ) | ეშპორტე (ბრაზ) | მალიორკა | 1 მლნ. |
| იბაი გომესი | სესტაო | ბილბაო | თავ. |
| მარიო სუარესი | მალიორკა | ატლეტიკო | 1,8 მლნ. |
| რენანი (ბრაზ) | ხერესი | ვალენსია | იჯარა დასრ. |
| რენანი (ბრაზ) | ვალენსია | ინტერნას. (ბრ) | იჯარა |
| გონსალო კასტელანი (არ) | ფერო (არგ) | ვილიარეალი | უცნობი |
| ივან მარკანო | ვილიარეალი | ხეტაფე | იჯარა |

ნიკოლოზ ნეფარიძე

ბარსელონა

# მუნდიალი, არჩევნები და ახალი კონტრაქტები

მას შემდეგ, რაც სამუნდიალე განაცხადებიდან, მოულოდნელად, „ჩელსის“ 8 ფეხბურთელი „გაქრა“, ესპანური „ბარსელონა“ გახდა ის კლუბი, რომელსაც ყველაზე მეტი წარმომადგენელი ეყოლება კარს მომდგარ მსოფლიოს ჩემპიონატზე - 14. ისინი 6 სხვადასხვა ნაკრებში გადანაწილდნენ, აქედან 8 ფეხბურთელს „ბარსელონას“ ახალგაზრდული აკადემია აქვს გამოვლილი. ეს რიცხვი უფრო შთამბეჭდავი იქნებოდა, მექსიკის ნაკრებში ბოლო წამს, რომ არ დაეწუნებინათ **ჯონათან დოს სანტოსი**. „ბარსელონას“ 8 წარგზავნილი ესპანეთის ნაკრების ფორმას მოირგებს: **ვიქტორ ვალდესი, ჟერარდ პიკე, კარლეს პუიოლი, სერხიო ბუსკეტსი, ჩავი ერნანდესი, ანდრეს ინიესტა, პედრო როდრიგესი** და ახალწვეული **დავიდ ვილია. ერიკ აბიდალი** და **ტიერი ანრი** საფრანგეთის ნაკრების ღირსებას დაიცავენ, **ლიონელ მესი** კი არგენტინის ნაკრების ლიდერობას იტვირთებს, ასევე თითო ბარსელონელი ჰყავს ბრაზილიას (**დანი ალვეში**), კოტ დ'ივუარს (**იაია ტურე**) და მექსიკას (**რაფაელ მარკესი**).

ამასობაში „ბარსელონაში“ ხელმძღვანელობის ცვლილების დროა, კლუბში პრეზიდენტის არჩევნები მოახლოვდა. ორშაბათს გაიმართა პირველი დებატები კლუბის პრეზიდენტობის ოთხ კანდიდატს შორის, ეს დებატები „კატალუნია რადიომ“ პირდაპირ ეთერში გადასცა. **ჟოან ლაპორტას** სავარძელს ერთმანეთს **აგუსტი ბენედიტო, ჟაუმე ფერერი, მარკ ინგლა** და **სანდრო როსელი** ეცილებიან. დებატები ოთხ ნაწილად შემოგვთავაზეს: სპორტული, ეკონომიკური, სოციალური საკითხები და ლაპორტას საქმიანობის შეფასება.

ბენედიტომ განაცხადა, რომ მას სურს **ხოსეპ გვარდიოლამ** გააგრძელოს მუშაობა გუნდთან, მაგრამ ის მომხრეა სპორტული დირექტორის **ჩიკი ბეგირისტაინის** გათავისუფლების, ისევე როგორც „ბარსელონას“ აკადემიის შეფის **ხოსე რამონ ალეჩანკოსი**. მან კიდევ ერთი საგულისხმო საკითხი დააყენა, თუ მე ამირჩევენ კლუბის საპატიო პრეზიდენტად, **იოჰან კრუიფის** დანიშვნას ხელახლა განვიხილავო. ბენედიტოს არ მიაჩნია, რომ კლუბის ვალი 489 მილიონი ევრო პრობლემატურია. ბენედიტო არ აპირებს ან კლუბის აქციების ნაწილის გაყიდვას, ან საკლუბო გადასახადის გაზრდას. უკანასკნელ საკითხზე კანდიდატმა აღნიშნა, რომ ჟოან ლაპორტა კლუბის ისტორიაში საუკეთესო პრეზიდენტი იყო, მაგრამ მან დაუშვა შეცდომები. ასეთად კი ბენედიტომ უზბეკებთან გაფორმებული ხელშეკრულება მიიჩნია. დაბოლოს, ბენედიტომ აღნიშნა, რომ გენერალური მენეჯერი **ჟოან ოლივერი** მის გუნდში არ მოიაზრება.

**ჟაუმე ფერერმა** კბილებით დაიცვა „ბარსას“ სპორტული პოლიტიკა ბოლო 7 სეზონის განმავლობაში. *„ჩვენ ბევრი ტიტული მოვიგეთ, გულშემატკივარი კი ბედნიერია. არ მსურს, დავმარცხდე და სხვა პრეზიდენტმა რამე შეცვალოს ამ კუთხით“*, - განაცხადა ფერერმა. მან ჟოან ოლივერი შეაქო და აღნიშნა მის მიერ გაწეული დიდი საქმე.

**მარკ ინგლამ** აღნიშნა, რომ „ბარსელონას“ სპორტული პოლიტიკის ერთგული დამცველი იქნება. მან მოიწონა თავი იმით, რომ ერთადერთია კანდიდატებს შორის, რომელსაც ბეგირისტაინთან და გვარდიოლასთან ერთად უმუშავია 7 წლინადი. ინგლა „ბარსას“ შემოსავლების გაორმაგებას „უახლოეს წლებში“ გეგმავს. მან პირობა დადო, რომ ნაკლებად იქნება პოლიტიკურად ანგაჟირებული, ვიდრე მისი წინამორბედი. იქვე, მის პატრიოტობაში ეჭვი, რომ არავის შეჰპარვოდა, ინგლამ საზოგადოებას შეახსენა, რომ სწორედ მისი ინიციატივით დაემატა „ბარსას“ მაისურს მნიშვნელოვანი დეტალი - კატალონიის დროშა.

გვარდიოლა დარჩება გუნდის მთავარ მწვრთნელად, რადგან ოთხივე კანდიდატმა მას სრული მხარდაჭერა აღუთქვა, ამავე აზრზეა სანდრო როსელიც. ჩიკი ბეგირისტაინის საკითხში კი ფერერი და ინგლა მომხრეები არიან, ბენედიტო კი მოწინააღმდეგე. რაც შეეხება როსელს, მან ამ საკითხზე საუბარი გამარჯვების შემდეგ ისურვა. ის ასევე ეჭვქვეშ აყენებს კრუიფის საპატიო პრეზიდენტობას და საზოგადოებას ამ საკითხზე დებატებს ჰპირდება. როსელმა ოთხი ძირითადი პრინციპი ასე ჩამოაყალიბა: „კლუბის წევრები, კატალონია, სოლიდარობა და მასია (ანუ აკადემია). ჟოან ოლივერს არც როსელი გააჩერებს თანამდებობაზე თუკი გაიმარჯვებს არჩევნებში.

სანამ არჩევნები გაიმართება, ჟოან ლაპორტა ბოლო საქმეებს აგვარებს კლუბში, ის **დანი ალვეშსა** და **სეიდუ კეიტას** ხელშეკრულებას უგრძელებს. ორივე მათგანს 2012 წლის ზაფხულში უმთავრდება კონტრაქტი. ჩიკი ბეგირისტაინი მუნდიალზე მყოფი 27 წლის ალვეშის აგენტს 2-წლიან გახანგრძლივებას სთავაზობს და ალბათ ბრაზილიელი მცველი 2014 წლამდე ბარსელონელი იქნება. კონტრაქტამდე ჯერ არ მისულა საქმე მალელის შემთხვევაში, თუმცა მხარეები დიალოგის დაწყებაზე შეთანხმდნენ, კეიტა 2012 წელს 32 წლის იქნება, ამიტომ აფრიკელს მხოლოდ ერთი წლით შესთავაზებენ კონტრაქტის გახანგრძლივებას, რომელშიც ჩადებული იქნება პუნქტი, რის თანახმადაც თუკი კეიტა სასტარტოში ადგილს არ დაკარგავს, ხელშეკრულება კიდევ ერთი სეზონით ავტომატურად გაუხანგრძლივდება.

**სესკ ფაბრეგასის** არ იყოს „ბარსელონა“ კიდევ ერთი ყოფილი აკადემიელის დაბრუნებას აპირებს - საუბარია „ესპანიოლის“ 18 წლის ფორვარდ **კრისტიან ტელოზე**. ტელო „ესპანიოლის“ სარეზერვო გუნდში შედეგიანად ასპარეზობს, მას ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთ ყველაზე იმედისმომცემ ფორვარდად მიიჩნევენ.

ნიკოლოზ ნეფარიძე


დანიელ ალვეში



ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

იუვენტუსი

# პეპე აქ არის, კრასიჩი გზაშია

ერთ-ერთ წინა ნომერში გაცნობეთ, რომ „იუვენტუსის“ მესვეურები აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ **სიმონე პეპესთან**. „გაძეტა დელო სპორტის“ ინფორმაციით, მხარეებმა შეთანხმებას მიაღწიეს და ხელშეკრულებას უახლოეს დღეებში მოეწერება ხელი. მართალია, ამჟამად პეპე სამხრეთ აფრიკაშია, მაგრამ ეს პრობლემას არ ქმნის. ტურინელებმა თავიანთი ექიმები და წარმომადგენლები გაგზავნეს „აძურას“ ბანაკში, სადაც პეპეს გუშინ გვიან საღამოს სამედიცინო შემოწმება უნდა გაევლო. ანუ, შეგვიძლია პირდაპირ ვთქვათ, რომ პეპე უკვე „ბიანკონერის“ ფეხბურთელია. „გაძეტას“ ცნობით, ტურინელებს პეპეს სანაცვლოდ 10 მილიონი ევროს გადახდა მოუწევთ.

ჯერჯერობით, პიემონტელები მხოლოდ ძლიერდებიან, თუმცა ორი აზრი არ არის იმაში, რომ ამ ზაფხულს რამდენიმე ფეხბურთელს შეელევიან. ყველაზე ხშირად **მაურო კამორანეზიზე**, **დავიდ ტრეზეგესა** და **დიეგოზე** საუბრობენ, თუმცა გუშინ არანაკლებ საინტერესო ინფორმაცია გავრცელდა. თურმე, **კარვალიო ამაურის** გადაბირებით „რომას“ მესვეურები არიან დაინტერესებულნი და უახლოეს დღეებში, ტურინელ კოლეგებს წინადადებითაც მიმართავენ. ამაური ცნობილი ფორვარდია, თუმცა ბოლო სეზონი ჩაუვარდა და დიდია შანსი, ტურინელები განსაკუთრებული პრობლემების გარეშე შეელიონ.

რაც შეეხება **მილოშ კრასიჩს**, ისიც ახლოსაა „იუვენტუსთან“. 25 წლის სერბი თავის „ფუნდამენტური ნაბიჯისთვის“ (მისი სიტყვებია) ემზადება. ის იმედოვნებს, რომ ცსკა-სა და „იუვენტუსს“ შორის მოლაპარაკებები, რომელიც პროგრესის გზით მიდის, მალე დამთავრდება. კრასიჩი პრესას უკვე **ლუიჯი დელ ნერის** ტაქტიკურ სქემაზეც ესაუბრა. 4-4-2 მისთვის უცხო არ არის და დარწმუნებულია, რომ „იუვენტუსშიც“ არ ექნება პრობლემები.

**ლაშა წიკლაური**



სიმონე პეპე

ვაკანსია

# დანიშნეთ დალგლიში!

## რედნაპი ტოტენჰემის ერთგულია



კენი დალგლიში

„ტოტენჰემის“ თავკაცი **ჰარი რედნაპი** „ლივერპულში“ გადასვლას კატეგორიულად გამორიცხავს. „ლივერპულის“ წინადადებაზე უარს არ ვამბობ, მაგრამ საქმე ისაა, რომ გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება და ამ კლუბისგან შეთავაზება საერთოდ არ მიმიღია. თუმცა ასეც რომ მოხდეს, დანამდვილებით ვიცი, რომ მაინც უარს ვიტყვი, რადგან „ტოტენჰემთან“ კონტრაქტის ამოწურვამდე კიდევ ერთი წელი დამრჩა და ერთადერთი, რაზეც ვფიქრობ, ისაა, რომ მომავალ სეზონშიც „უაით ჰართ ლეინზე“ უნდა ვიმუშაო. „ტოტენჰემიდან“ წასვლას არ ვაპირებ და თუ აქ ხელშეკრულების გახანგრძლივებას შემომთავაზებენ, დიდი სიამოვნებით დავთანხმდები“, - აცხადებს რედნაპი, რომელმაც „დეზები“ პრემიერლიგაში მეოთხე ადგილზე გაიყვანა და ამით გუნდს ჩემპიონთა ლიგის საგზური მოუპოვა.

„ლივერპულის“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე კი იგი რეკომენდაციას **კენი დალგლიშს** უწევს: „ეს თანამდებობა მას უნდა ჩააბარონ, დალგლიში იდეალური კანდიდატია. დარწმუნებული ვარ, კენი ამაზე თანხმობას იტყვის. მას ხომ „ლივერპულთან“ ბევრი რამ აკავშირებს და ამ კლუბის განუყოფელი ნაწილია, ულრესად გამოცდილია და ზუსტად იცის, რა სჭირდება „ლივერპულს“. თანაც, დარწმუნებული ვარ, ფეხბურთელთა მხრიდანაც უდიდესი მხარდაჭერა ექნება“.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ამბები

### სიტიმ სამი გაუშვა

„მანჩესტერ სიტიმ“ გადაწყვიტა, კონტრაქტი აღარ გაუგრძელოს სამ მოთამაშეს. კლუბის დატოვება მცველ **სილვინიოს**, ნახევარმცველ **მარტინ პეტროვსა** და თავდამსხმელ **ბენჯანი მვარუვარის** მოუწევთ. 35 წლის სილვინიომ „ქალაქელთა“ შემადგენლობაში 10 მატჩი ჩაატარა, პეტროვის აქტივში 57 მატჩი და 10 გოლია, მვარუვარიმ კი „სიტის“ მაისურით 27 შეხვედრა გამართა და 7 ბურთი გაიტანა.

სამივე მათგანი უკვე თავისუფალი აგენტია და მსურველ კლუბებთან მოლაპარაკების წამოწყება თავისუფლად შეუძლიათ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

### თუ საჭიროა, დავხარჯავთო...

*„ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში ჩვენი პრიორიტეტი მცველების შეძენა იქნება, თანაც ისე, რომ ეს ძალიან ძვირი არ დაგვიჯდეს. წინასწარ ხომ ყოველთვის არ იცი, რამდენს დაგიფასებენ შენთვის საინტერესო ფეხბურთელს. თუმცა კი თუ ხარჯი აუცილებელი იქნება, არც ამას მოვერიდებით“*, - ეს არსენ **ვენგერის** სიტყვებია, რომელიც „არსენალის“ ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

მანჩესტერ იუნაიტედი

# ლიგას მისტირის და ახალგაზრდებს აწინაურებს...

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ბოსი გასული სეზონის ყველაზე დიდ წარუმატებლობად ჩემპიონთა ლიგაში განცდილ მარცხს მიიჩნევს. *„მეოთხედფინალში „ბაიერნთან“ დამარცხების უფლება არ გვქონდა, რადგან მეტოქეზე გაცილებით უკეთესი გუნდი გვყავდა. ვალდებულნი ვიყავით, ფინალამდე მიგვეღწია“*, - აცხადებს სერ **ალექს ფერგიუსონი**.

მან ინგლისის ჩემპიონატზეც ისაუბრა და აღიარა, რომ „ჩელსი“ ღირსეულად გაჩემპიონდა: *„მეტოქემ ეს პატივი დაიმსახურა და ქვეყნის უძლიერესი კლუბის წოდების მოპოვებას კიდევ ერთხელ ვულოცავ. კარგად ვიცი, რაოდენ ძნელად მოდის ჯილდოები და ამიტომ მარცხს ღირსეულად უნდა შევხვდეთ. ჩანაფიქრის ბოლომდე განხორციელება ყოველთვის არ გამოგდის და ასე დაემართა „მანიუს“ წინა სეზონში. გადამწყვეტი „სტემფორდ ბრიჯზე“ განცდილი მარცხი აღმოჩნდა“.*

ფერგიუსონი მომავალ სეზონსაც შეეხო: *„გაისად ინგლისის ჩემპიონის ტიტულს აუცილებლად დავიბრუნებთ. დღეისთვის გუნდში ასაკოვან და ახალგაზრდა ფეხბურთელებს შორის ბალანსი იდეალურადაა დაცული, მაგრამ მომავალ სეზონში ახალი ჭაბუკებისთვისაც ვაპირებ შანსის მიცემას. „მანჩესტერ იუნაიტედის“ აღზრდილების დიდი იმედი მაქვს“.*

**ლევან ჯანეზაშვილი**



სერ ალექს ფერგიუსონი

ამბები

### ადრიანო უკვე რომაელია

როგორც მოსალოდნელი იყო, რამდენიმედღიანი მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა და **ადრიანომ** გუშინ „რომასთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ბრაზილიელმა ფორვარდმა „ფლამენგო“ დატოვა და სამშობლოდან იტალიაში გუშინ ჩაფრინდა, სადაც ხელმოსაწერად გამზადებული ხელშეკრულება დახვდა. კონტრაქტის გაფორმებამდე კი მან დედაქალაქური კლუბის ექიმების მეთვალყურეობით სამედიცინო შემოწმება გაიარა, რასაც სამი საათი დასჭირდა.

ოფიციალური პროცედურების მოგვარების შემდეგ კი ადრიანომ „რომას“ ბაზა კლუბის პრეზიდენტ **როზელა სენსისთან** ერთად დატოვა, მასმედიასთან კი არც ერთ მათგანს კომენტარი არ გაუკეთებია. პრესკონფერენცია, სადაც ადრიანო და სენსი ტრანსფერის შესახებ ვრცლად ისაუბრებენ, დღეისთვისაა დანიშნული.

ახალ ამბავზე კი გუშინ მხოლოდ „რომას“ სპორტულმა დირექტორმა **ბრუნო კონტიმ** თქვა რამდენიმე სიტყვა: *„ადრიანო ძალიან მოტივირებულია და ამასთანავე, კარგ სპორტულ ფორმაშია. მოხარული ვართ, რომ ასეთი მაღალი დონის ფეხბურთელი დავიმატეთ“.*

**ლევან ჯანეზაშვილი**

### გამაოგნებელი წინადადება

თუკი **ფერნანდო ტორესი** „მანჩესტერ სიტიში“ გადავა, არც მეტი, არც ნაკლები, კვირაში 200 ათას გირვანქას გამოიმუშავებს! აი, ასეთი ნაბიჯი გადადგეს ისტლენდელებმა ესპანელი ფორვარდის ხელში ჩასაგდებად. თუმცა ბრიტანული პრესა ვარაუდობს, რომ ტორესი ამ წინადადებაზე უარს იტყვის, მაგრამ განა იმიტომ, რომ „ლივერპულის“ ერთგულია, არამედ იმიტომ, რომ არჩევანს „ჩელსის“ სასარგებლოდ გააკეთებს. მართალია, „არისტოკრატები“ მას ამხელა ხელფასს არ შესთავაზებენ, მაგრამ ალბათ, ბევრად ნაკლებსაც არ დაუნიშნავენ. რაც მთავარია, „ჩელსი“ სპორტული თვალსაზრისითაა „სიტიზე“ გაცილებით მიმზიდველი - კარლო ანჩელოტის გუნდი ხომ ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს და ევროტიტულის ერთ-ერთი ფავორიტიც იქნება. ამას გარდა, ფერნანდო „ჩელსიში“ იბრძოლებს ინგლისის ჩემპიონობისთვის, რასთანაც „ლივერპულში“ ახლოსაც კი არ ყოფილა.

„ლივერპული“ ტორესს 70 მილიონ გირვანქად აფასებს, „ჩელსის“ შეფობა კი იმედოვნებს, რომ ესპანელის „სტემფორდ ბრიჯზე“ ჩაყვანას 50 მილიონადაც შეძლებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ფერნანდო ტორესი

### დი მარიამ, უკვე რეალელი ვარო...

*„ბიჭებო, მომავალი სეზონიდან მადრიდის „რეალში“ ვითამაშებ!“* - არგენტინის ნაკრების ნახევარმცველი ბენფიკელ თანაგუნდელებს გამოუტყდა, რომ კლუბის შეცვლა და მადრიდის „რეალთან“ კონტრაქტის გაფორმება მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი.

მართალია, **ანხელ დი მარიას** სამეფო კლუბთან კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებია, მაგრამ განვითარებული მოვლენები ცხადყოფს, რომ ამას წინ მართლაც ვერაფერი დაუდგება. არგენტინელს „ბენფიკა“ 40 მილიონ ევროდ აფასებს. ჯერჯერობით, უცნობია, ამ თანხას გადაიხდიან მადრიდელები თუ ლისაბონელები ფასის დაკლებას დათანხმდებიან. დი მარიას აგენტის, **ხორხე მენდესის** თქმით, ამ ტრანსფერის საკითხი, ფაქტობრივად, **ჟოზე მოურინიოს** „რეალში“ დანიშვნისთანავე გადაწყდა.

საინტერესოა ტრანსფერის სხვა დეტალებიც. მოარული ხმებით, შესაძლოა, ამ გარიგების მონაწილეები გახდნენ და „ბენფიკაში“ აღმოჩნდნენ „რეალის“ ფეხბურთელები, ჰოლანდიელი **როისტონ დრენტე** და დი მარიას თანამემამულე **ესეკილ გარაი**.

არც ისაა გამორიცხული, დი მარიამ „რეალთან“ კონტრაქტი მსოფლიოს ჩემპიონატის სტარტამდე გააფორმოს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

### უარი ვესტ ჰემს

ფრანგული „ეკიპის“ ცნობით, „ვესტ ჰემი“ „ლიონის“ ნახევარმცველის, **სიდნი გოვუს** გადაბირებით იყო დაინტერესებული, მაგრამ საფრანგეთის ნაკრების 30 წლის წევრისგან უარი მიიღო. გოვუ გასული სეზონის დასრულებისთანავე თავისუფალი აგენტი გახდა და იმედოვნებს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულების შემდეგ უკეთეს წინადადებებს მიიღებს. „ვესტ ჰემის“ გარდა, მისი დამატება „ბირმინგემსა“ და „სანდერლენდსაც“ სურთ.

გოვუს მთელი პროფესიული კარიერა „ლიონში“ აქვს გატარებული. ამ კლუბის ღირსებას იგი 1999 წლიდან იცავს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ბრაზილია

**ყველაზე სანახაობრივი, ყველაზე ტექნიკური, ყველაზე შთამბეჭდავი - ეს ბრაზილიის ნაკრებია. ამ გუნდს ყოველთვის მიიჩნევდნენ მსოფლიოს ჩემპიონატის მთავარ ფავორიტად. გამონაკლისი არც წლევანდელი ტურნირია.**



ბრაზილია - ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონატის ყველა ფინალურ ეტაპზე მიუღია მონაწილეობა. ასევე ერთადერთია ხუთჯერ მოპოვებული ტიტულის მიხედვით. ბრაზილიელებს მიანიჭეს მეტსახელი - „სელესაო" („რჩეულნი"), მათ აგრეთვე პენტაკამპეონებსაც უწოდებენ, რაც ხუთგზის ჩემპიონს ნიშნავს.

ამ გუნდმა პლანეტის პირველობაზე საკმაოდ გვიან მიაღწია წარმატებას. 1930 და 1934 წლებში ბრაზილიამ პირველი ეტაპი ვერ გადალახა, 1938 წელს შესამჩნევი პროგრესი ჰქონდა და ბრინჯაო მოიპოვა. 1950 წელს ბრაზილიამ პირველად გაჩემპიონების ბრწყინვალე შანსი გაუშვა ხელიდან - შინ ფრე სჭირდებოდა ურუგვაისთან, მაგრამ წააგო და ტიტული დაკარგა. 1954 წელს შვეიცარიაში მეოთხედფინალი დათმო მთავარ ფავორიტ უნგრეთთან - 2:4.

პირველი წარმატება ოთხი წლის შემდეგ შვედეთში მოვიდა, სადაც ბრაზილიამ ყველასთვის მოულოდნელად ბრწყინვალე სტილში მოიგო ტურნირი. იმ გუნდში ბრწყინავდნენ ისეთი ფეხბურთელები, როგორებიც იყვნენ **პელე, გარინჩა, ვავა, დიდი**, რომლებიც ფეხბურთის ისტორიაში შევიდნენ. იმ ჩემპიონატის აღმოჩენა გახდა 17 წლის პელე, რომელიც დღემდე ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად ითვლება.

1962 წელს ჩილეში ბრაზილიელებმა წარმატება გაიმეორეს. პელემ ტურნირის სტარტზე მძიმე ტრავმა მიიღო და თანამემამულეთა ტრიუმფში წვლილი არ შეუტანია. 1966 წელს ინგლისში ჩემპიონებს სრული კრახი ელოდათ. „სელესაო" ვერ გაუმკლავდა უნგრელებსა და პორტუგალიელებს. ბრაზილია ჯგუფიდან გავარდა, რაც ეროვნულ კატასტროფად მოინათლა.

მაგრამ უკვე შემდეგ ჩემპიონატზე ბრაზილიელებმა საუკეთესო გუნდი ჩაიყვანეს მექსიკაში, რომელსაც კვლავ პელე მიუძღოდა წინ. მათ ყველა შეხვედრა მოიგეს, ფინალში კი იტალია 4:1 გაანადგურეს და სამუდამოდ მოიპოვეს ნიკეს თასი.

ამის შემდეგ კი ხანგრძლივი წარუმატებელი სერიის დრო დადგა: 1974 წელი - ბრაზილიამ ისტორიაში ერთ-ერთი უსუსტესი შემადგენლობით მეოთხე ადგილი დაიკავა; 1978 წელი - „სელესაომ" ფინალში გასასვლელ ჯგუფში მასპინძელ არგენტინასთან ბურთების სხვაობით წააგო; 1982 წელს - ბრაზილიას დაუმარცხებელ გუნდს უწოდებდნენ, მაგრამ მოულოდნელად მეორე ჯგუფურ ეტაპზე 2:3 წააგო მომავალ ჩემპიონ იტალიასთან და ტურნირის გამოეთიშა. 1986 წელი - ამჯერად მარცხი მეოთხედფინალში საფრანგეთთან (პენალტებით სერიაში); 1990 წელი - მერვედფინალში არგენტინასთან დამარცხება. მთელი მატჩი ბრაზილია შემტევ ფეხბურთს აჩვენებდა, მაგრამ ბოლო მომენტში **კანიჯას** კონტრშეტევა გამოეპარა და 0:1 წააგო.

24-წლიანი პაუზის შემდეგ, 1994 წელს აშშ-ში ბრაზილია ისევ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. უმძიმეს ფინალში იტალიასთან სამხრეთამერიკელებმა პენალტების სერიაში გაიმარჯვეს. იმ გუნდში გამორჩეული ფეხბურთელები იყვნენ **რომარიო, ბებეტო, ტაფარელი**, კაპიტანი **კარლოს დუნგა, კაფუ, ბრანკო**... 1998 წელს ბრაზილიას შემადგენლობაში „ფენომენი" **რონალდო** ჰყავდა. მან ისევ გააღწია ფინალში, მაგრამ მასპინძლებთან განადგურდა - 0:3. ეს ყველაზე დიდი ანგარიშით მარცხი იყო ამ გუნდის ისტორიაში.

2002 წელს, იაპონია-კორეაში ბრაზილია ზედიზედ მესამედ გავიდა ფინალში და მეორედ მიაღწია გამარჯვებას. ფინალში გერმანიასთან 2:0 მოიგო. გერმანელთა კარს **ოლივერ კანი** იცავდა, რომელიც მთელი ტურნირი ბრწყინვალე თამაშს აჩვენებდა, მაგრამ ფინალში საბედისწერო შეცდომა დაუშვა და უბრალო გოლი გაუშვა. 8 გოლით საუკეთესო ბომბარდირი რონალდო გახდა.

2006 წელს გერმანიაში გამართულმა ჩემპიონატმა დაასრულა ნაკრების წარმატებული სერია. ვარსკვლავური შემადგენლობის მიუხედავად, გუნდი შეუთამაშებელი შეხვდა ტურნირს. ბრაზილიამ გამოსვლა მეოთხედფინალში საფრანგეთთან 0:1 წაგებით დაასრულა.

წინა ჩემპიონატის ჩაგდების შემდეგ, ბრაზილიელებმა სამხრეთ აფრიკაში გამარჯვება მთავარ ეროვნულ იდეად აქციეს. კვალიფიკაციაში ბრაზილიელებმა იოლ გამარჯვებას მიაღწიეს და ბოლო ტურებში საკუთარ თავს მოდუნების უფლებაც მისცეს - წააგეს ბოლივიასთან და ფრე ითამაშეს ვენესუელასთან. საინტერესოა, რომ შესარჩევი ციკლის მსვლელობისას ბრაზილიამ პირველად 14-წლიანი პაუზის შემდეგ სტუმრად დაამარცხა არგენტინა - 3:1.

■ ■ ■

ეს სულ სხვა ბრაზილიის ნაკრებია - ასე ამბობდნენ ის გულშემატკივრები, რომლებიც ყურადღებით აკვირდებოდნენ ბრაზილიის ნაკრების თამაშს შესარჩევი ტურნირის დროს. ისევე როგორც ბოლო კოპა ამერიკაზე, კარლოს დუნგამ ამ გუნდისთვის სრულიად არადამახასიათებელი ტაქტიკა გამოიყენა, რომელმაც საბოლოოდ შედეგი მოიტანა. მწვრთნელმა უარი თქვა მხოლოდ შეტევაზე აქცენტირებულ თამაშზე და შექმნა ცინიკური გამარჯვებების მოსაპოვებელი მანქანა. ბრაზილია, პირველ რიგში, დაცვაში დამაჯერებელი თამაშითა და მომაკვდინებელი კონტრშეტევებით დაგვამახსოვრდა. დუნგას გუნდმა ყველაზე ნაკლები (11) გოლი გაუშვა და ყველაზე მეტი (34) გაიტანა, თუმცა არ შეიძლება იმის თქმა, რომ ბრაზილიამ თანაბრად გაიარა შესარჩევის მარათონული დისტანცია.

კარლოს დუნგა თანდათან მიდიოდა საჭირო ტაქტიკამდე და გუნდის ბირთვიც დიდი მუშაობის შემდეგ შეკრიბა. ეს ის ფეხბურთელები არიან, რომლებიც ზედმიწევნით ასრულებენ მწვრთნელის დავალებას. გზის დასაწყისში სერიოზული ჩავარდნები იყო, მაგალითად, 0:0 კოლუმბიასთან, 1:1 აუტსაიდერ პერუსთან, ასევე უგოლო ფრე ბოლივიის წინააღმდეგ... მაგრამ სადღაც შესარჩევი ციკლის შუა ნაწილიდან ყველაფერი თავის ადგილას დადგა და ბრაზილიამ ყველა ფავორიტს მოუგო - პარაგვაის, ურუგვაის, არგენტინასა და ჩილეს. ახალი ნაკრები, რომელიც საიმედო დაცვას ანიჭებს უპირატესობას და კონტრშეტევებზე თამაში ეხერხება, ეტაპობრივად იქმნებოდა და როცა მთავარმა მწვრთნელმა კონკრეტულ პოზიციებზე საჭირო შემსრულებლები იპოვა, მათ სრული ნდობა გამოუცხადა, მიუხედავად იმისა, რომ ფეხბურთელს, შესაძლოა, კლუბში საქმე კარგად არ ჰქონდა აწყობილი, ან თავად კლუბი არ იმყოფებოდა წამყვან როლებზე. ასეთი სიტუაცია შეიქმნა მაგალითად, მარცხენა მცველის პოზიციაზე, სადაც ბოლო მატჩებში **ანდრე სანტოსი** („ფენერბაჰჩე") თამაშობდა. როგორი კარგიც არ უნდა ყოფილიყო **მარსელო** „რეალში", დუნგა მაინც თურქეთის ჩემპიონატის წარმომადგენელს ანიჭებდა უპირატესობას, ესპანეთის ჩემპიონატში მოთამაშე მარსელო კი ხშირად განაცხადშიც ვერ ხვდებოდა. შეიძლება მოვიყვანოთ **ფელიპე მელოს** მაგალითიც. ნახევარმცველს თავიდანვე არ აეწყო კარიერა „იუვენტუსში", მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ფეხბურთელის ზუსტად ისე თამაშობს, როგორც მწვრთნელს სჭირდება, ამიტომაც მსგავსი სტილის ნახევარმცველებს ნაკრებში მოხვედრის შანსი თითქმის არ ჰქონიათ. ასეთი მაგალითების მონახვა მრავლად შეიძლება. იგივე **ელანო** დუნგას უსაზღვრო ნდობით სარგებლობს.

კონტრშეტევაზე ბრწყინვალე მოქმედების გარდა, ბრაზილიელებმა კარგად ისწავლეს სტანდარტული მდგომარეობების გამოყენება. ამის ნათელი მაგალითია ბოლო მატჩი არგენტინის ნაკრებთან, როცა ბრაზილიამ პირველ ტაიმში ორი შეტევა განახორციელა, ორი „სტანდარტი" მოიპოვა და ორი გოლი გაიტანა! საინტერესოა, რომ იმ შეხვედრის მეორე ტაიმში არგენტინამ ერთი ბურთის გაქვითვა შეძლო და ისე ჩანდა, რომ **დიეგო მარადონას** შეგირდებს არამარტო ანგარიშის გათანაბრება, არამედ მოგებაც შეეძლოთ, მაგრამ ბრაზილიელებმა გონივრულად იმოქმედეს - როგორც კი მიხვდნენ, რომ მეტოქე გაბრაზდა და საომრად განეწყო, მაშინვე სწრაფი კონტრშეტევა განახორციელეს და **ლუიშ ფაბიანომ** მესამე გოლი გაიტანა. მეტოქე მორალურად გატყდა, ბრაზილიამ კი ისევ მშვიდად განაგრძო დაცვაში თამაში.

მოკლედ, კარლოს დუნგა გუნდი ეს არის - მაღალი კლასის მეკარე, მაღალი და ძლიერი დაცვა, ჭკვიანი ნახევარმცველები, რომლებსაც შეუძლიათ კონტრშეტევებზე თამაშის აგება და სნაიპერული თვისებებით დაჯილდოებული ლუიშ ფაბიანო. ეს სხვა ბრაზილიაა. არა შემტევი და მუდმივად მეტოქის კარის ალებაზე მომართული, არამედ ზუსტი სათამაშო გეგმის მქონე გუნდი, ამ გეგმის სრულყოფაში მოყვანისთვის საჭირო ფეხბურთელებით.

■ ■ ■

და მაინც, ბრაზილიის დღევანდელი ნაკრების მთავარ ნაკლად სწორედ კარლოს დუნგას ასახელებენ. ბევრს მიაჩნია, რომ თავისი უაზრო პრინციპებითა და ახირებებით ბრაზილიის ნაკრების დამრიგებელი ცეცხლს ეთამაშება. აქამდე ბრაზილიის ეროვნული გუნდის არც ერთი თავკაცი არ მოქცეულა უკმაყოფილო გულშემატკივრების ისეთი წნეხით ქვეშ, რომელშიც ახლა დუნგა იმყოფებდა. რაც ყველაზე საოცარია, კრიტიკა კიდევ უფრო აქეზებს მწვრთნელს და ის სულ უფრო უცნაურ და არაპოპულარულ ნაბიჯებს დგამს.

თუ ბრაზილია ვერ შეძლებს მსოფლიოს ჩემპიონატის მოგებას, წარმოდგენაც კი რთულია, რა ელის დუნგას სამშობლოში დაბრუნების შემდეგ. მისთვის უმჯობესი იქნება, ერთი ხანობა ბრაზილიაში საერთოდ არ დაბრუნდეს.

ფანების მთავარი უკმაყოფილება **რონალდინიოზე** უარის თქმამ გამოიწვია. მას დუნგამ ნაკლებად ვარსკვლავური ფეხბურთელები არჩია - უკვე დასახელებული ფელიპე მელო, ელანო და **რამირესი**. არადა, რონალდინიომ ბოლო დროს კარგი ფორმა აკრიფა და სეზონის მეორე ნახევარში მისი ნაკრებში დაბრუნების შესახებ სერიოზულად ალაპარაკდნენ.

მაგრამ დუნგამ მკვახე ტონით სცადა რონალდინიოს საკითხზე კამათის შეწყვეტა: *„ჩემი აზრით, ნორმალურია, როცა ამა თუ იმ მოთამაშის შესახებ ასეთი აქტუალური განხილვა მიმდინარეობს. ყოველთვის ასე იყო - ის ფეხბურთელი, რომელსაც ნაკრებში არ იძახებდნენ, საზოგადოების თვალში კიდევ უფრო მაღლდებოდა. ეს ჩემთვის არ არის სიურპრიზი, მით უმეტეს მსოფლიოს ჩემპიონატის წინ. კიდევ დიდხანს დამისვამენ ამ შეკითხვას და მე ყოველთვის ერთსა და იმავე პასუხს გავცემ. ბრაზილიის თითოეულ რეგიონში და თითოეულ გაზეთში საკუთარი ნაკრები ჰყავთ შედგენილი. რა თქმა უნდა, ყველა ოპტიმალური და საუკეთესოა, მაგრამ მე მაინც ჩემებურად ვიმუშავებ".*

უკმაყოფილების კიდევ ერთი პუნქტია - „რკინის ფარდა". 2002 წელს ეროვნულ გუნდს „სკოლარის ოჯახი" შეარქვეს - იმდენად ღია და მეგობრული ატმოსფერო სუფევდა ნაკრებში. მთავარი მწვრთნელის მხრიდან არანაირი დიქტატი არ არსებობდა. ახლა კი დუნგამ დაუხურა ბაზის კარები საკუთარ შეგირდებს. უფრო მეტიც, მან რეპორტიორებთან ურთიერთობის მკაცრი ლიმიტი დააწესა. როგორც წესი, პრესასთან სასაუბროდ მხოლოდ ორ ფეხბურთელს უშვებს. რა თქმა უნდა, ღია ვარჯიშებსა და გულშემატკივრებთან ფოტოსესიაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

და მაინც, ბრაზილიელები წყენას გულში დიდი ხანი არ იდებენ. მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩავარდნის შემთხვევაში, დუნგაზე შურს იძიებენ და შემდეგ საერთოდ მიივიწყებენ.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

## ბრაზილია

ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაცია 1914 წელს დაარსდა. ფიფა-ს წევრია 1923 წლიდან. ფიფა-ს რეიტინგში პირველი ადგილი უკავია.

ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი (1958, 1962, 1970, 1994, 2002), მსოფლიოს ორგზის ვიცე-ჩემპიონი (1950, 1998), კოპა ამერიკას 8-გზის ჩემპიონი (1919, 1922, 1949, 1989, 1997, 1999, 2004, 2007), ოლიმპიური თამაშების ორგზის ვიცე-ჩემპიონი (1984, 1988).

მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე 18-ჯერ ითამაშა, ჩაატარა 92 მატჩი: +64=14-14, ბურთების შეფარდება: 201-84

მთავარი მწვრთნელი: კარლოს დუნგა

ნაკრების რეკორდსმენი ჩატარებული თამაშების რაოდენობით: კაფუ (142)

ნაკრების საუკეთესო ბომბარდირი - პელე (77)

ჯგუფური ეტაპი

15 ივნისი. ბრაზილია-ჩრ. კორეა (იოჰანესბურგი)

20 ივნისი. ბრაზილია-კოტ დ'ივუარი (იოჰანესბურგი)

25 ივნისი. პორტუგალია-ბრაზილია (დურბანი)

## შესარჩევი ტურნირი

14.10.07 კოლუმბია-ბრაზილია 0:0
17.10.07 ბრაზილია-ეკვადორი 5:0 (ვაგნერ ლავი, რონალდინიო, კაკა-2, ელანო)
18.11.07 პერუ-ბრაზილია 1:1 (კაკა)
21.11.07 ბრაზილია-ურუგვაი 2:1 (ლუიშ ფაბიანო-2)
15.06.08 პარაგვაი-ბრაზილია 2:0
18.06.08 ბრაზილია-არგენტინა 0:0
07.09.08 ჩილე-ბრაზილია 0:3 (ლუიშ ფაბიანო-2, რობინიო)
10.09.08 ბრაზილია-ბოლივია 0:0
12.10.08 ვენესუელა-ბრაზილია 0:4 (კაკა, რობინიო-2, ადრიანო)
15.10.08 ბრაზილია-კოლუმბია 0:0
29.03.09 ეკვადორი-ბრაზილია 1:1 (ჟულიო ბაპტიშტა)
01.04.09 ბრაზილია-პერუ 3:0 (ლუიშ ფაბიანო-2, ფელიპე მელო)
06.06.09 ურუგვაი-ბრაზილია 0:4 (დანიელ ალვეში, ჟუანი, ლუიშ ფაბიანო, კაკა)
10.06.09 ბრაზილია-პარაგვაი 2:1 (რობინიო, ნილმარი)
05.09.09 არგენტინა-ბრაზილია 1:3 (ლუიზაო, ლუიშ ფაბიანო-2)
09.09.09 ბრაზილია-ჩილე 4:2 (ნილმარი-3, ჟულიო ბაპტიშტა)
11.10.09 ბოლივია-ბრაზილია 2:1 (ნილმარი)
14.10.09 ბრაზილია-ვენესუელა 0:0

## განაცხადი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **მეკარეები** | | | | |
| 1. ჟულიო სეზარი | 03.09.79 | ინტერი (იტა) | 48 | 0 |
| 12. ეურელიო გომეში | 15.02.81 | ტოტენჰემი (ინგ) | 11 | 0 |
| 22. დონი | 22.10.79 | რომა (იტა) | 10 | 0 |
| **მცველები** | | | | |
| 2. მაიკონი | 26.07.81 | ინტერი (იტა) | 58 | 5 |
| 3. ლუსიო | 08.05.78 | ინტერი (იტა) | 91 | 4 |
| 4. ჟუანი | 01.02.79 | რომა (იტა) | 74 | 6 |
| 6. მიშელ ბასტოსი | 02.08.83 | ლიონი (საფ) | 5 | 1 |
| 13. დანიელ ალვეში | 06.05.83 | ბარსელონა (ესპ) | 35 | 3 |
| 14. ლუიზაო | 13.02.81 | ბენფიკა (პორ) | 42 | 3 |
| 15. ტიაგო სილვა | 22.09.84 | მილანი (იტა) | 7 | 0 |
| 16. ჟილბერტო მელო | 25.04.76 | კრუზეირო (ბრა) | 33 | 1 |
| **ნახევარმცველები** | | | | |
| 5. ფელიპე მელო | 26.08.83 | იუვენტუსი (იტა) | 18 | 2 |
| 7. ელანო | 14.06.81 | გალათასარაი (თურ) | 43 | 7 |
| 8. ჟილბერტო სილვა | 07.10.76 | პანათინაიკოსი (საბ) | 88 | 3 |
| 10. კაკა | 22.04.82 | რეალი (ესპ) | 78 | 27 |
| 17. ჟოსუე | 19.07.79 | ვოლფსბურგი (გერ) | 27 | 1 |
| 18. რამირესი | 24.03.87 | ბენფიკა (პორ) | 12 | 2 |
| 19. ჟულიო ბაპტიშტა | 01.10.81 | რომა (იტა) | 46 | 5 |
| 20. კლებერსონი | 19.06.79 | ფლამენგო | 31 | 2 |
| **თავდამსხმელები** | | | | |
| 9. ლუიშ ფაბიანო | 08.11.80 | სევილია (ესპ) | 38 | 25 |
| 11. რობინიო | 25.01.84 | სანტოსი | 75 | 23 |
| 21. ნილმარი | 14.07.84 | ვილიარეალი (ესპ) | 17 | 8 |
| 23. გრაფიტე | 02.04.79 | ვოლფსბურგი (გერ) | 3 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიდაობა



ინტერვიუ ბეგი დარჩიასთან

# მინსკი ალუშტამ შეცვალა

„ოქროს დიდი პრიზის“ ტურნირზე ჩვენმა ბერძენ-რომაელებმა სამ-სამი ოქრო-ვერცხლი და ექვსი ბრინჯაო, ჯამში 12 მედალი მოიპოვეს. ჩემპიონები ლაშა გოგიტაძე (55), გიორგი ცირეკიძე (74) და ვლადიმერ გეგეშიძე (84) გახდნენ, ვერცხლის მედლები დავით ქარჩავამ (84), ვასილ იმერლიშვილმა (96) და ოთარ ბოლქვაძემ (120) მოიპოვეს, ბრინჯაოები - ზურაბ კეკელიძემ (55), რევაზ ლაშხმა (60), ანტონ მამაგეიშვილმა (66), გენადი გოგიშვილმა (74), სოსო ჯაბიძემ (96) და გურამ ფერსელიძემ (120).

ტურნირმა ახალი სახეებიც წარმოაჩინა, ძველი ლიდერების ნაწილმაც ნორმალურად იჭიდავა, მაგრამ ძალიან ბევრი ხარვეზიც გამოავლინა. ამჯერად შეჯიბრების შესახებ ბერძენ-რომაელთა ნაკრების თავკაცი ბეგი დარჩია გვესაუბრება.



**- ტურნირს როგორ შეაფასებთ, რამდენად წარმატებული გამოდგა ის ჩვენთვის?**

- საკმაოდ ძლიერი და სერიოზული ტურნირი გამოდგა. პირადად მე აქ ასეთი ძლიერი შემადგენლობა არ მახსოვს. ალბათ, მონაწილეთა ხარისხი იმანაც განაპირობა, რომ „ოქროს დიდი პრიზი“ იყო. შეჯიბრებაში საკმაოდ ბევრი მაღალი დონის ფალავანი გამოდიოდა - მსოფლიოს ჩემპიონები, მსოფლიოსა და ოლიმპიადის პრიზიორები. მისასალმებელია, რომ ასეთ ძლიერ ტურნირში ჩვენმა ბიჭებმაც კარგად იჭიდავეს. განსაკუთრებით გამოვყოფ ვლადიმერ გეგეშიძეს 96 კილოგრამ წონით კატეგორიაში, ლაშა გოგიტაძეს 55-ში, გიორგი ცირეკიძეს 74-ში, რომელიც პირველად გახდა ასეთი სოლიდური შეჯიბრების გამარჯვებული. თუმცა იყო წონები, სადაც არ დავმალავ და უფრო მეტს ველოდებოდი. მაგალითად, მძიმე წონაში დიმიტრი ჯავახიშვილისგან. გარკვეულ წონებში საკმაოდ ბევრი ხარვეზია გამოსასწორებელი და ბევრი სამუშაოა.

მთლიანობაში შემიძლია ვთქვა, რომ მართლაც კარგი სტარტი გამოვიდა. ეს ტურნირი ერთ-ერთი შესარჩევი ეტაპიც იყო მსოფლიოსთვის.

**- შეიძლება იმის თქმა, რომ უკვე გამოიკვეთა მსოფლიოს პირველობაზე წამსვლელი კანდიდატები?**

- ეს შეჯიბრება შესარჩევი ეტაპი კი იყო და რიგ წონით კატეგორიებში გარკვეულ აქცენტებს უკვე ვაკეთებთ - მწვრთნელთა საბჭოს ჩვენი მონახაზი გვაქვს. ჯერ კიდევ გასავლელია მზადებისა და შერჩევის რამდენიმე ეტაპი, სადაც შანსი ყველას მიეცემა, კანდიდატებსაც კიდევ ერთხელ დავაკვირდებით და გადაწყვეტილებას ამის შემდეგ მივიღებთ. აქედან გამომდინარე, ჯერ ვერ ვიტყვი, ვინ იასპარეზებს მსოფლიოს ჩემპიონატზე. ახლა ამაზე ლაპარაკი არც იქნება მიზანშეწონილი.

**- ბაქოში ვინ იჭიდავებს „ოქროს დიდი პრიზის“ ფინალურ ეტაპზე, კარტოზიას ტურნირის შემდეგ ეს ხომ მაინც გაირკვა?**

- ბოლომდე ჯერ ესეც არაა გარკვეული, რადგან ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია - FILA ყოველწლიურად ცვლის ამ შეჯიბრების ფორმატს. FILA-ში უკვე გაიგზავნა ტურნირის ანგარიში და ახლა იქიდან ველოდებით პასუხს წონით კატეგორიაში რამდენი მონაწილის გაყვანის ნებას დაგვრთავენ. შარშანდელი სისტემის მიხედვით, ამ წუთისთვის სამი კაცის გამოყვანის ნება გვეძლევა, მაგრამ დაველოდოთ ორი-სამი დღე - ამასობაში ყველაფერი გაირკვევა.

**- მსოფლიოს პირველობისთვის როგორი განრიგით მოემზადებით?**

- 16 ივნისიდან ორივე ნაკრები სომხეთში, კერძოდ, ნახკაძორში გავივლით საერთო ფიზმომზადებისთვის განკუთვნილ ორკვირიან შეკრებას. ამის შემდეგ თბილისში გავაგრძელებთ მზადებას და 17-19 ივლისს ბაქოში „ოქროს დიდი პრიზის“ ფინალურ ტურნირში ვიჭიდავებთ. ამის შემდეგ დაგეგმილი გვქონდა ერთობლივი შეკრება მინსკში, „სტაიკების“ ოლიმპიურ ბაზაზე, მაგრამ გეგმები შევცვალეთ და ბელარუსის ნაცვლად უკრაინაში, ალუშტაში წავალთ ისევ ერთობლივ ვარჯიშებზე, სადაც ოთხი გუნდი ვიქნებით - ჩვენ, უკრაინა, ბელარუსი და სომხეთი. როგორც ხედავთ, თვით ბელარუსებიც იქ მიდიან და ჩვენც ასე გადავწყვიტეთ. ჯერჯერობით ამ ოთხ გუნდს შორისაა შეთანხმება მიღწეული ერთობლივ ვარჯიშებზე, თუმცა, დარწმუნებული ვარ, სხვებიც შემოგვიერთდებიან.

დასკვნით - მესამე შეკრებას დუშეთში, ოლიმპიურ ბაზაზე გავივლით.

**- მსოფლიოს პირველობამდე ბაქოს გარდა არსად იჭიდავებთ?**

- სათადარიგოდ პეტლიასინსკის ტურნირია შეგულებული პოლონეთში. იქ ისინი წავლენ, ვინც ბაქოში ვერ მოხვდება და საშეჯიბრო პრაქტიკის ნაკლებობას ამით შეივსებენ. ვფიქრობ, მანუჩარ კვირკველია და რამაზ ნოზაძე ბაქოში გამოვლენ - მათი პერსონალურად მიწვევის შესახებ FILA - ს მივმართავთ და ვიმედოვნებ, თხოვნას დააკმაყოფილებენ.

**ირაკლი თავაძე**

თურქეთის ჭაბუკთა ტურნირი

## ხუთი ჩემპიონი კუშადასიდან

ვიდრე ჩვენი მოჭიდავეების უმეტესობა თბილისის სპორტის სასახლეში კარტოზია-ბალავაძის ტურნირზე გამოდიოდა, ქართველი ჭაბუკები თურქეთის ზღვისპირა კურორტ კუშადასში იქაურთა ტრადიციულ დიდ საერთაშორისო შეჯიბრებაში ასპარეზობდნენ. ტურნირში 12 ქვეყნის 400-მდე ნორჩი ფალავანი მონაწილეობდა, რაც შთამბეჭდავი ციფრია!

ასეთ წარმომადგენლობით შეჯიბრებაში ჩვენმა ბერძენ-რომაელებმა ოთხი ოქრო, ერთი ვერცხლი და ორი ბრინჯაო მოიპოვეს, 74 კილოგრამ წონით კატეგორიაში კი სულაც ქართული ფინალი გაიმართა. გუნდურ ჩათვლაში ჩვენები მეორეზე გავიდნენ, პირველები კი, ცხადია, მასპინძლები გახდნენ, რომლებიც რამდენიმე ნაკრებით გამოდიოდნენ, ხოლო მესამეზე ირანელები გავიდნენ.

ბერძენ-რომაელთაგან ტურნირის გამარჯვებულები ბათუმელები - **ამირან შავაძე** (54), **რამაზ სურმანიძე** (58), **ლაშა გობაძე** (76) და თბილისელი **ლევან ნიკლაური** (85) არიან. ვერცხლი თანაგუნდელთან მარცხის შემდეგ გარდაბნელ **რობერტ ქობლიაშვილს** (76) ერგო, მესამე საპრიზო ადგილებზე კი ბათუმელი **ნიკა ცეცხლაძე** (50) და წყალტუბოელი **ირაკლი ქაჯაია** (100) გავიდნენ.

თავისუფალთა ნაკრების მონაგარი ერთადერთი მედალია, მაგრამ ოქრო — 46 კილოგრამ წონით კატეგორიაში გორელმა **ბექა ბუჯიაშვილმა** გაიმარჯვა. ამ ნაკრებიდან კიდევ სამმა ბრინჯაოსთვის იჭიდავა, მაგრამ ყველა დამარცხდა.

**ირაკლი თავაძე**

ხრიდოლი

## სად სანდა და სად კრივი?

აღმოსავლური ორთაბრძოლა სანდა და ქართული კრივი ერთმანეთისგან საგრძნობლად განსხვავდება, მაგრამ ქართველი ხრიდოლიონები ამ სახეობაში მაინც წარმატებით გამოდიან ხოლმე. ამჯერადაც ასე იყო გლდანის კრივის სპეციალური მომზადების ცენტრში გამართულ საქართველოს ღია პირველობაზე. ქართველთა გარდა ტურნირში აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან ჩამოსულმა მებრძოლებმაც იასპარეზეს.

ხრიდოლის წარმომადგენლებიდან საქართველოს ჩემპიონები გახდნენ **ბაჩო ხუნდაძე** (კლუბი „იბერიელი მგლები“), **იმედო ჟორჟოლიანი** (ხოგაის მინდი) **და გიგი აფციაური** (ხვამლი).

მეორე ადგილები დაიკავეს **არჩილ კაპანაძემ, ნიკოლოზ ბუჩუკურმა, ტარიელ გვიმრაძემ, გიორგი ავსაჯანიშვილმა** (ოთხივე – „იბერიელი მგლები“), **გიორგი ბანცურმა, დაჩი წილოსანმა** და **ალექსანდრე გოგოლაშვილმა** (სამივე – „ხოგაის მინდი“).

მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა **ზურაბ ჯოჯუა** („იბერიელი მგლები“).

**ლევან ჯანეზაშვილი**



ჭადრაკი

## გზას ზღვიდან გაიკვლევენ



უდანაკარგოდ 5 გოგონა და 9 ვაჟი მეწინავეობს ბათუმში 14 წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობაზე, რომელშიც სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის 67 წარმომადგენელი მონაწილეობს, გუშინ მეორე ტურის პარტიები გათამაშდა.

დღეს მესამე ტურში ითამაშებენ: **გოგონები.** ნატო იმნაძე (2)-თეკლა მაჭარაშვილი (2), დეა გოგიშვილი (2)-ანა შამათავა (2), ადა ქაქუთია (1,5)-თეა ჭოლაძე (2); **ვაჟები.** ირაკლი ბერაძე (2)-გიორგი სიბაშვილი (2), ნიკა ლვამბერია (2)-ნიკოლოზ ქუმსიაშვილი (2), გიგლა ბენიძე (2)-დავით კაპანაძე (2), თემურ ოთხოზორია (2)-გიორგი დანგაძე (2), ნოე თუთისანი (2)-ირაკლი კელეპტრიშვილი (1,5).

ეს შეჯიბრება შესარჩევი ტურნირიცაა — ჩემპიონები მსოფლიოს პირველობაზე გაემგზავრებიან, მეორე ადგილოსნები კი ევროპელ თანატოლებს გაეჯიბრებიან.

**ვაჟა დანელია**

უნივერსიადა 2010

ფრენბურთი

## დღეს ნახევარფინალებია

ფრენბურთელთა პირველობაში ქალთა ექვსი და ვაჟთა ათი გუნდი ჩაება. ჯგუფური პაექრობების შემდეგ გამოვლინდნენ ნახევარფინალისტები.

ქალები

| A ჯგუფი | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. თსუ | 2 | 2 | 0 | 4:0 | 4 |
| 2. აგრარული | 2 | 1 | 1 | 2:2 | 3 |
| 3. სოხუმი | 2 | 0 | 2 | 0:4 | 2 |

| B ჯგუფი | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. სამედიცინო | 2 | 2 | 0 | 4:1 | 4 |
| 2. საქართველო | 2 | 1 | 1 | 3:2 | 3 |
| 3. სტუ | 2 | 0 | 2 | 0:4 | 2 |

დღეს ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: სამედიცინო-აგრარული (11.00), თსუ-საქართველო (12.00).

ვაჟები

| A ჯგუფი | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. რუსთავი | 4 | 4 | 0 | 8-0 | 8 |
| 2. სამედიცინო | 4 | 3 | 1 | 6-2 | 7 |
| 3. ქართულ-უკრაი | 4 | 2 | 2 | 4-5 | 6 |
| 4. სოხუმი | 4 | 1 | 3 | 3-6 | 5 |
| 5. სამხატვრო | 4 | 0 | 4 | 0-8 | 4 |

| B ჯგუფი | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. აგრარული | 4 | 4 | 0 | 8-0 | 8 |
| 2. თსუ | 4 | 3 | 1 | 6-2 | 7 |
| 3.ევ.ურთ.უნივერ | 4 | 2 | 2 | 4-4 | 6 |
| 4. შავი ზღვა | 4 | 1 | 3 | 2-6 | 5 |
| 5. საქართველო | 4 | 0 | 4 | 0-8 | 4 |

ნახევარფინალში ითამაშებენ: რუსთავი-თსუ (13.00), აგრარული-სამედიცინო (14.00).

გადამწყვეტი შეხვედრები ხვალ 11 საათიდან დაიწყება და სამივე სინჯის მედლების მფლობელებიც გაირკვევა.

**ვაჟა დანელია**

ფეხბურთი



## მედლებისთვის კვარტეტი იბრძოლებს

თბილისის სპორტულ ბაზებზე დასასრულს უახლოვდება უნივერსიადა 2010, რომლის პროგრამაშიც წლეულს სპორტის 15 სახეობაა შეტანილი.

ჯგუფური ტურნირი და ნახევარფინალური შეხვედრები დაამთავრეს ფეხბურთელებმა. 20 გუნდი 4 ქვეჯგუფში იყო განაწილებული. წრიული პაექრობების შემდეგ ადგილები ასე განაწილდა:

| A ჯგუფი | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ილიას უნივერს. | 4 | 4 | 0 | 0 | 32-5 | 12 |
| 2. კონსერვატ. | 4 | 2 | 0 | 2 | 14-12 | 6 |
| 3. თავართქილაძე | 4 | 2 | 0 | 2 | 8-15 | 6 |
| 4. შავი ზღვა | 4 | 2 | 0 | 2 | 11-15 | 6 |
| 5. ჭავჭავაძის ინს. | 4 | 0 | 0 | 4 | 4-22 | 0 |

| B ჯგუფი | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სტუ | 4 | 4 | 0 | 0 | 24-4 | 12 |
| 2. საქართველო | 4 | 2 | 1 | 1 | 12-9 | 7 |
| 3. პროფცენტრი | 4 | 2 | 0 | 2 | 9-13 | 6 |
| 4. სამხატვრო | 4 | 1 | 1 | 2 | 9-10 | 4 |
| 5. სდასუ | 4 | 0 | 0 | 4 | 0-18 | 0 |

| C ჯგუფი | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აგრარული | 4 | 3 | 1 | 0 | 16-1 | 10 |
| 2. სეუ | 4 | 3 | 0 | 1 | 16-4 | 9 |
| 3. ქართულ-უკრ. | 4 | 2 | 1 | 1 | 19-7 | 7 |
| 4. კავკას. საერთ. | 4 | 1 | 0 | 3 | 5-22 | 3 |
| 5. აიბი | 4 | 0 | 0 | 4 | 2-24 | 0 |

| D ჯგუფი | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სამედიცინო | 4 | 3 | 0 | 1 | 17-5 | 9 |
| 2. საავიაციო | 4 | 3 | 0 | 1 | 17-10 | 9 |
| 3. თსუ | 4 | 3 | 0 | 1 | 13-7 | 9 |
| 4. სოხუმი | 4 | 1 | 0 | 3 | 11-22 | 3 |
| 5. ქართ.-ევროპ. | 4 | 0 | 0 | 4 | 6-20 | 0 |

გუშინ მეოთხედფინალური შეხვედრები ასე დამთავრდა: ილიას უნივერსიტეტი-საქართველო 5:1, სტუ-კონსერვატორია 10:0, სამედიცინო-სეუ 2:3, აგრარული-საავიაციო 4:6.

10 ივნისს ნახევარფინალში ითამაშებენ: ილიას უნივერსიტეტი-საავიაციო (10.00 სთ), სტუ-სეუ (11.00 სთ). ფინალური პაექრობა სპორტის აკადემიის მინიფეხბურთის მოედანზე 11 ივნისს 12 საათზეა დანიშნული.

**ვაჟა დანელია**

ქართული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

აქვსენტი გიორგაძე

# გლობუსა ქართული, ფრანგული და ქუთაისური რაგბის სამსახურში

**საქართველოს ნაკრებისა და ფრანგული „კასტრის“ შერკინების კვაჭი აქვსენტი გიორგაძე სამ თვეზე მეტია, მკურნალობს. საფრანგეთის ჩემპიონატის ერთ-ერთ მატჩში „გლობუსა“ მძიმედ დაშავდა. მისი გამოცდილება და ოსტატობა ორივე გუნდს, ნაკრებსაც და „კასტრსაც“ მნიშვნელოვნად დააკლდა. აქვსენტი წარმოშობით ქუთაისელია და იქაური რაგბის ამჟამინდელი წინსვლა გარკვეულწილად მასთან და მის ოჯახთანაცაა დაკავშირებული. საკლუბო კარიერისა და ქუთაისური რაგბის თემებზე სასაუბროდ მას „კასტრის“ სარეაბილიტაციო ცენტრში დავუკავშირდით.**



- საკმაოდ სერიოზული ტრავმა მქონდა, წვივის პატარა ძვალი გავიტეხე და კოჭის ორი მყესი გამიწყდა. ოპერაცია გავიკეთე და სამი კვირაა, სარეაბილიტაციო ცენტრში კურსს გავდივარ. ფეხი მოსუსტებული იყო და მის მომაგრებაზე ვმუშაობდით. გუშინ პირველად შევძელი ძუნძულით სირბილი. აქ კიდევ ორ კვირას დავყოფ, მერე გუნდს შევუერთდები, მაგრამ არ მგონია, სრული დატვირთვით ვივარჯიშო. ალბათ, ინდივიდუალური პროგრამა მექნება და ცალკე ვივარჯიშებ.

**- მეტოქემ ტრავმა განზრახ მოგაყენათ, რის გამოც კლუბსა და ეროვნულ ნაკრებში მნიშვნელოვანი მატჩები გამოტოვეთ. შესაბამისად, დაზარალდით ფინანსურადაც...**

- დიახ, ასეა, მას სადისციპლინო კომიტეტმა ერთთვიანი დისკვალიფიკაცია მისცა. არადა, ვფიქრობდი, სულ ცოტა, სამი თვით აუკრძალავდნენ თამაშს. რაც შეეხება ფინანსურ ზარალს, ხელფასს სოცდაზღვევა მიხდის. თუ კომპენსაციას მოვითხოვდი, მაშინ ფიჯელისთვის პოლიციაში უნდა მეჩივლა მისი აგრესიული საქციელის გამო. ამას მოჰყვებოდა სასამართლო, ადვოკატები, მოსამართლეები... ერთი სიტყვით, ამის გაკეთების არც სურვილი მქონდა, არც დრო და არც ჯანმრთელობა.

**- კლუბში ხომ არაფერი შეცვლილა. „კასტრთან“ რამდენწლიანი კონტრაქტი გაქვთ?**

- კონტრაქტით „კასტრში“ ერთი პლუს ერთი სისტემით ვითამაშებ. მწვრთნელი ლამის ყოველდღე მირეკავს და ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობით ინტერესდება. უნდა, რომ ახალი სეზონის პირველივე ტურებში შევძლო თამაში. საფრანგეთის ჩემპიონატის პირველი ტური 14 აგვისტოსაა. ჩემი ამჟამინდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, ვფიქრობ, მაგ დროისთვის თამაშს ვერ შევძლებ. უფრო სექტემბრის დასაწყისისთვის ვიქნები მზად. არ მინდა, რეაბილიტაცია ფორსირებულად გავიარო და ნაადრევად შევუდგე თამაშს. ხომ შეიძლება, ბოლომდე მოურჩენელი ტრავმა ისევ გავიმიზეზო და საქმე გავართულო.

**- „კასტრში“ ახლახან კიდევ ერთი ქართველი - ანტონ ფეიქრიშვილი ჩაირიცხა...**

- დიახ, ანტონი ახლა ჩემთან ერთად იმყოფება სარეაბილიტაციო ცენტრში. ისიც მკურნალობს. ბოლოსწინა ტურის მატჩში „აჟენის“ შემადგენლობაში თამაშისას მკერდის კუნთი გაიწყვიტა და ოპერაცია გაიკეთა.

**- თქვენმა გუნდმა შარშან ურიგოდ არ ითამაშა. ჩემპიონობის მოპოვების შანსიც ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ წარმატებას ვერ მიაღწიეთ, ალბათ, სეზონი მაინც დადებითად შეფასდა...**

- სეზონის დაწყების წინ მიზნად დაგვისახეს პირველ დივიზიონში ადგილის შენარჩუნება. წინასწარი გეგმით, თუ აუტსაიდერებში არ ვიქნებოდით, რაც შეიძლება წინ უნდა წავსულიყავით. რა აუტსაიდერები, მთელი სეზონი პირველ ადგილზე ვიყავით. პლეი ოფშიც ვითამაშეთ. ცხადია, ყოველივე ეს დადებითად შეფასდა.

**- მადა ჭამაში მოდისო და, მომავალ სეზონში, ალბათ, მიზანი მხოლოდ ჩემპიონობა იქნება...**

- არ ვიცი. ჯერ არაფერი უთქვამთ. ივლისის შუა რიცხვებში გუნდის კრება ჩატარდება და მაშინ გვეტყვიან, რა მიზნები აქვთ. თუმცა, სავარაუდოდ, პლეი ოფში გასვლას ან „ჰეინეკენის თასზე“ ასპარეზობის უფლების მოპოვებას მოგვთხოვენ. ახლა ევროთასების ორგანიზატორები „ჰეინეკენის თასზე“ მოთამაშე გუნდებს სერიოზულ ფულს უხდიან და ყველას უნდა იქ მოხვედრა.

**- მოდი, კასტრიდან ქუთაისში გადავინაცვლოთ. „აიამ“ საქართველოს ჩემპიონატის პირველი წრე მოიგო. შვიდიდან ექვს მატჩში გაიმარჯვა და გათამაშების ლიდერია. რას შეიძლება ემყარებოდეს ქუთაისური გუნდის ასეთი წინსვლა?**

- „აიას“ მწვრთნელი ბესიკ ხამაშურიძე, როგორც ჩანს, საკმაოდ ნაყოფიერად მუშაობს. მისი ასისტენტი ჩემი ძმაა და ამიტომ მასზე არაფერს ვიტყვი. ვხედავ, რომ სწორ გზაზე დგანან. კლუბის პრეზიდენტი გიორგი გორგასლიძე გუნდისთვის ყველაფერს აკეთებს.

ერთ წელიწადში გუნდის ჩამოყალიბება ძალიან ძნელია. სწორედ ამიტომ ვერ აჩვენა „აიამ“ შარშან კარგი შედეგი. პატარ-პატარა ხარვეზები თითქმის ყველა კომპონენტში ჰქონდათ. ბევრი იყო ტექნიკური წუნი უკანა ხაზში, შერკინებაშიც საკმაოდ იყო პრობლემები, დამრტყმელიც ვერ იდგა სათანადო დონეზე. წლეულს ეს ყოველივე ნელნელა გამოსწორდა. კლუბის ბიუჯეტიც გაიზარდა, გუნდი შეიკრა, შეთამაშდა და შედეგიც სახეზეა.

ვფიქრობ, მეორე წრეში „აია“ უკეთ ითამაშებს. ლიდერებს ყველას შინ იღებს და ამით გარკვეული უპირატესობა აქვს. ერთი სიტყვით, ქუთაისის „აიას“ ასეთი კარგი სეზონი დიდი ხანია, არ ჰქონია. გუნდი აღმავლობის გზაზეა. ახლა მთავარია, ოთხეულში მოხვდეს. პლეი ოფში კი ბრძოლა თავიდან იწყება. სამუშაო და დასახვეწი გუნდის თამაშში ჯერ კიდევ ბევრია.

**- ქუთაისში სარაგბო ინფრასტრუქტურასაც მალე ეშველება. „აია“ რომ თანამედროვე კლუბის სტანდარტებს უახლოვდება, ეს კლუბის ახალი, მაღალი ხარისხის ოფიციალური ვებგვერდის შექმნითაც დასტურდება...**

- გეთანხმებით. მართლაც ბრწყინვალე საიტია. საქართველოში, ალბათ, საუკეთესო. იქ ყველა საჭირო ინფორმაცია ადვილად ხელმისაწვდომია. ფოტოები, „აიას“ მატჩების ვიდეორგოლები, გუნდის ისტორია, ამჟამინდელი წევრების მონაცემები, ყველაფერი უმაღლეს დონეზეა გაკეთებული და იმედი მაქვს, კიდევ უფრო გაუმჯობესდება, დაიხვეწება.

**- რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, თქვენ „აიას“ მუდმივად ეხმარებით, გვერდში უდგახართ, მწვრთნელებს, მოთამაშეებს გამოცდილებას უზიარებთ. უახლოეს მომავალში ქუთაისში ჩასვლას ხომ არ გეგმავთ?**

- რომ არ დავშავებულიყავი, ქუთაისში ერთი თვით ჩავიდოდი. ახლა დროში შეზღუდული ვარ. სარეაბილიტაციო კურსს 18 ივნისს ვამთავრებ. პირველი ივლისიდან კი კლუბი მორაგბეებს ათი დღით შვებულებაში უშვებს. თუ ყველაფერი კარგად იქნება, აუცილებლად ჩავალ ქუთაისში და ათი დღე გუნდთან ერთად ვიქნები. გუნდის თამაშში რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელება საჭირო არ იქნება. პატარა დეტალებზე გვექნება საუბარი. მანამდე ვეცდები, გუნდის ყველა თამაშის ვიდეოფირი ვნახო. ვფიქრობ, ამ მცირე დროს ნაყოფიერად გამოვიყენებთ.

ტესტები



ვანსელა ლორე

# ფრანგები დებიუტანტს წარადგენენ

საფრანგეთის ნაკრები ივნისის ტესტების პირველ მატჩს შაბათს, 12 ივნისს კეიპთაუნის „ნიულენდზე“ სამხრეთ აფრიკასთან გამართავს. „ლე ბლეს“ მთავარმა მწვრთნელმა **მარკ ლიევრმონმა** ყველასთვის მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო და ძირითად შემადგენლობაში ადგილი ბასკური „ბიარიცის“ ფლანკერს **ვანსელა ლორეს** ანდო.

ლიევრმონმა ეს გადაწყვეტილება ასე ახსნა:

*„სამხრეთ აფრიკის ნაკრებს საკმაოდ სწრაფი, მობილური და ტექნიკური უკანა ხაზი ჰყავს. მათი შეჩერება მხოლოდ ასეთივე მორაგბეებით შეიძლება. ლორემ წლევანდელი სეზონი ბრწყინვალედ ჩაატარა. ის ახალგაზრდაა, დიდი პოტენციალი აქვს და დროა, ისეთი ძლიერი გუნდის წინააღმდეგ მოსინჯოს ძალა, სამხრეთ აფრიკის ნაკრები რომაა“.*

ფრანგთა თავკაცმა, რომელმაც ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე მოთამაშე ივნისის ტესტებიდან გაათავისუფლა, სათადარიგოთა შორის გაამწესა ქართული წარმოშობის ფრანგი ცხრა ნომერი **დიმიტრი იაშვილი.** ამ პოზიციაზე ძირითად შემადგენლობაში ქვეყნის ჩემპიონ „კლერმონის“ წარმომადგენელი **მორგან პარა** ითამაშებს.

სამხრეთ აფრიკის ნაკრები ფრანგებს თითქმის ოპტიმალური შემადგენლობით დაუხვდება. „ბოკეს“ თავკაცმა **პიტერ დე ფილიერსმა** გასულ უქმეებზე უელსთან მატჩისას რამდენიმე წამყვანი მორაგბე დაასვენა. ამჟამად კი ყველა მათგანი მის განკარგულებაშია. ესენი არიან: **ბრაიან ჰაბანა, მორნი სტეინი, ვინანდ ულიფიე, პიერ სპისი, სხალკ ბურხერი და ხუთრო სტენკამპი.**

აფრიკელებს მხოლოდ ტრავმირებული ცხრა ნომერი **ფური დუ პრი** და დისკვალიფიცირებული მეორეხაზელი **ბაკის ბოთა** დააკლდებათ.

**ს. აფრიკა-საფრანგეთი**

**საფრიკა: 15. ზან კირშნერი, 14. ხიო ეპლონი, 13. ჟაკ ფური, 12. ვინანდ ულიფიე, 11. ბრაიან ჰაბანა, 10. მორნი სტეინი, 9. რიკი იანუარი**

**1. ხუთრო სტენკამპი, 2. ჯონ სმიტი, 3. ბი ჯეი ბოთა, 4. დენი როსუ, 5. ვიქტორ მეტფილდი, 6. სხალკ ბურხერი, 7. ფრანსუა ლოუ, 8. პიერ სპისი**

**16. ჩილიბოი რელეპელე, 17. იანი დუ პლესი, 18. ფილიპ ფან დერ მერვე, 19. დიუვალ პოტხიტერი, 20. რუან პინარი, 21. იოან დე იონგი, 22. იან დე ფილიერსი**

**საფრანგეთი: 15. კლემან პუატრენო, 14. ვენსან კლერი, 13. დავიდ მარტი, 12. მაქსიმ მერმოსი, 11. ორელიან რუჟერი, 10. ფრანსუა ტრინ-დუკი, 9. მორგან პარა.**

**1. ტომას დომინგო, 2. დიმიტრი სზარჟევსკი, 3. ნიკოლა მასი, 4. ლინელ ნალე, 5. რომენ მიო-შლუსკი, 6. ტიერი დუსოტუარი, 7. ვანსელა ლორე, 8. ჟულიენ ბონერი**

**16. ჟილემ ჟირადო, 17. ჟან ბატისტ პუ, 18. ჟულიენ პიერი, 19. ლუის პიკამოლი, 20. დიმიტრი იაშვილი, 21. დავიდ სკრელა, 22. ლუკ დუკალსონი**

**მსაჯი: ბრის ლორენსი (ახალი ზელანდია)**

# ნიუ პლიმუთში რვა წამყვანი მოთამაშის გარეშე

ახალი ზელანდიის ნაკრები ივნისის ტესტებს ნიუ პლიმუთში ირლანდიის ნაკრებთან მატჩით გახსნის. „სამყურებმა“ ერთი კვირის წინ „ბარბაროსებთან“ ითამაშეს და 23:29 წააგეს.

ახალზელანდიელები მეტოქეს მნიშვნელოვანი დანაკლისით ხვდებიან. ტრავმის გამო ვერ ითამაშებენ: **ენდრიუ ჰორი, ალი ვილიამსი, სიტივენი სივივატუ, მაიკ დელენი, მაა ნონუ, მაილს მულიაინა, რიჩარდ კაჰუი და ტომ დონელი.**

პირველ ხაზში „ოლ ბლექსის“ თავკაცმა **გრემ ჰენრიმ** ძმები **ბენ** და **ოუენ ფრანკსები** გაამწესა. საინტერესო და, ვფიქრობთ, დროული გადაწყვეტილებაა ფულბეკად **იზრაელ დაგის** გამოცდა. მან ახლახან დასრულებულ ზე 14-ის გათამაშებაში საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვა.

**ახალი ზელანდია-ირლანდია**

**ახალი ზელანდია: 15. იზრაელ დაგი, 14. ქორი ჯეინი, 13. კონრად სმითი, 12. სტენლი ბენსონი, 11. ჯო როკოთოკო, 10. დენ კარტერი, 9. ჯიმი ქოუანი**

**1. ბენ ფრენქსი, 2. კევინ მეალამუ, 3. ოუენ ფრენქსი, 4. ბრედ თორნი, 5. ენტონი ბორიჩი, 6. ჟერომ კაინო, 7. რიჩი მაკქოუ, 8. კირან რიდი**

**16. ალი დე მალმანჩი, 17. ნეემია ტიალატა, 18. სემ ვაითლოქი, 19. ვიქტორ ვიტო, 20. პირი ვიპუ, 21. აარონ ქრადენი, 22. ზაკ გუილდფორდი**

**ირლანდია: 15. რობ კირნი, 14. ტომ ბოუი, 13. ბრაიან ოდრისკოლი, 12. გორდონ დარსი, 11. ენდრიუ ტრიმბლი, 10. რონან ოგარა, 9. ტომას ოლირი**

**1. კიან ჰილი, 2. შეინ ქრონინი, 3. ჯონ ჰეისი, 4. დონჩა ოკალაჰანი, 5. მაიკ ოდრისკოლი, 6. ჯონ მალდუნი, 7. დევიდ ვოლესი, 8. ჯიმი ჰისლიპი**

**16. ჯონ ფოგარტი, 17. ტონი ბაკლი, 18. დენ ტოპი, 19. შეინ ჯენინგზი, 20. ეოინ რედანი, 21. ჯონათან სექსტონი, 22. გორდონ მერფი.**

**მსაჯი: უეინ ბარნსი (ინგლისი)**

გვერდი მოამზადა

**ბესიკ ჯანგავაძე**

www.sport.gov.ge

ქართული სპორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი




ბურთით ლევან შენგელია

ინტერვიუ ლევან შენგელიასთან

# თან ამერიკაში, თან როდოსზე

ამერიკის შტატებში კარგად გარკვეულებს ახსნა არ დასჭირდებათ, რომ კონექტიკუტსა და მასაჩუსეტს შორის მდებარეობს შტატი როდ აილენდი (რაც სრულად როდოსის კუნძულად ითარგმნება). ლევან შენგელია სწორედ ამ შტატში, ამავე სახელწოდების კოლეჯში ჩაირიცხა და გაისად NCAA-ში ითამაშებს.

შეგახსენებთ, რომ ლევანმა გამოცდები 2009 წლის ზაფხულში ჩააბარა, თუმცა ერთ საგანში ქულა დააკლდა და ამიტომ როდ აილენდში ვერ დარჩა. იგი გასულ სეზონში „მეინ სენთრალში" თამაშობდა და „როდ აილენდის" კოლეჯში ჩასაბარებლად ემზადებოდა. მეინში სეზონის დასრულების შემდეგ შენგელიამ როდოსს მიაშურა, გამოცდებიც წარმატებით ჩააბარა და გუნდთან ერთად უკვე მომავალი სეზონისთვის ემზადება.

მისი ახალ გუნდში გადასვლის ამბავს „პროვიდენს ჯორნელმა" ცალკე სტატია მიუძღვნა:

*„როდ აილენდის კოლეჯის მწვრთნელმა ჯიმ ბეირონმა საზოგადოებას განუცხადა, რომ ახალ სეზონში გუნდში ტანმაღალი ქართველი ლევან შენგელია ითამაშებს. ამ კალათბურთელის დამატება კოლეჯის მწვრთნელს შარშანაც სურდა, მაგრამ საგამოცდო ქულები დააკლდა და ერთი სეზონი მოცდამ მოუწია.*

*სკაუტების თქმით, შენგელიას შეუძლია თამაში როგორც ცეტრად, ასევე ფორვარდად; შესანიშნავი მეპასეა; კარგად ისვრის როგორც ახლო, ასევე შორი მანძილიდან. სკაუტები ასევე ვარაუდობენ, რომ ქართველი კარგად მოერგება მაღალ ტემპში მოასპარეზე „როდ აილენდს". ზოგი სკაუტი შენგელიას „დეტროიტის" ვარსკვლავ ბილ ლემბირს ადარებს. ლევანი გასულ ზაფხულს საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში თამაშობდა, 12.9 ქულას და 5.9 მოხსნას აგროვებდა. 10 სამქულიანიდან 3 ჩააგდო.*

*- იგი ფიზიკურად ძლიერია. სასარგებლოა როგორც შეტევაში, ასევე დაცვაში. რაც მთავარია, იცის, როგორ უნდა თამაში - ჭკვიანი კალათბურთელია, - ასე ახასიათებს ლევანს მთავარი მწვრთნელი ბეირონი."*

ახლა დროა, თავად შენგელიას მოვუსმინოთ, რომელიც ივლისის დასაწყისში საქართველოს ნაკრებს შეუერთდება.

- უკვე როდ აილენდში ვარ და აქტიურად ვემზადები. მინდა, საქართველოს ნაკრებში სათამაშოდ სათანადო ფორმაში ჩავდგე და ვუჩვენო, რა შემიძლია. გასულ სეზონში არ გამიმართლა: ფეხები მაწუხებდა, თან კოლეჯის გამოცდა დაემთხვა და ნაკრების დატოვებამ მომიწია. 25-26 ივნისს თბილისში ჩამოვალ და ავსტრიისთვის მზადებას განვაგრძობ.

**- როდ აილენდში ვისთან ერთად ვარჯიშობ?**

- აქ საზაფხულო გაკვეთილებზე დავდივარ და სხვა კალათბურთელებთან ერთად ვემზადები. დილის 6 საათზე ტრენაჟორებზე ვვარჯიშობ, შემდეგ ინდივიდუალური წვრთნა გვეწყება, რაც საათნახევარს გრძელდება. ამას გაკვეთილები მოჰყვება. მერე კი ხუთი-ხუთზე ვთამაშობთ.

**- ახალ გუნდზეც გვითხარი ორიოდე სიტყვა.**

- აქაურობა ძალიან მომწონს. „როდ აილენდი" კოლეჯების ლიგის საუკეთესო 50 გუნდს შორისაა. გასულ სეზონში რეგულარული ეტაპი მეხუთე ადგილზე დაასრულა, მაგრამ შემდეგ ნახევარფინალში წააგო. გაისად მაღალ მიზნებს ისახავს, რაშიც მწვრთნელს ჩემი იმედიც აქვს. „როდ აილენდი" სხვებისგან ათლეტურობით გამოირჩევა. თილისმა ვერძია. მწვრთნელმა გუნდის სახელში სიტყვა მორბენალი ჩაამატა - როდ აილენდის მორბენალი ვერძები.

**- რა პოზიციაზე მოგიწევს თამაში?**

- ცენტრად და მძიმე ფორვარდად. თუმცა გუნდი მაღალ ტემპში თამაშობს და ალბათ ხშირად პერიმეტრზე ამოსვლაც მომიწევს. მწვრთნელის თქმით, ჩემი მთავარი პლუსი დაცვაში თამაშია. ამიტომ ამ მხრივაც დავიტვირთები. დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს.

**- გასულ სეზონზე არაფერი გვითქვამს...**

- შარშან მეინ სენთრალის უნივერსიტეტში ვთამაშობდი, რაც ერთგვარი მოსამზადებელი ეტაპი იყო როდ აილენდის გზაზე. ფარქვეშაც ვირჯებოდი და პერიმეტრზეც. სხვათა შორის, სამქულიანებში თანაგუნდელთა შორის ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი მქონდა. რაც შეეხება გუნდის გამოსვლას, ყველა კმაყოფილი დარჩა - შეჯიბრების ნახევარფინალში გავედით, რაც ბოლო წლების საუკეთესო შედეგი გამოდგა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ლეგიონერები

# მეტრეველი სიმბოლურში

საქართველოს ნაკრების ფორვარდმა **ნიკა მეტრეველმა** იტალიის 19-წლამდელთა ჩემპიონატში ვერცხლის მედალი მოიპოვა და ტურნირის სიმბოლურ ხუთეულში მოხვდა.

ეს შეჯიბრება ყოველწლიურად ივნისის დასაწყისში იმართება. 2008 და 2009 წლებში ჩემპიონობა არავის დაუთმო ნიკა მეტრეველის „მონტეპასკიმ". სიენელები წლეულსაც ფავორიტებად ითვლებოდნენ, მაგრამ დაძაბულ ფინალში „ვირტუსთან" დათმეს - 59:68.

იტალიურ საიტ ბასკეტნეტზე ფინალში ნიკას თამაში დადებითადაა შეფასებული. ეს არც უნდა გაგვიკვირდეს, რადგან ქართველმა თანაგუნდელებს 14 ქულა და 15 მოხსნა შეაწია.

შეჯიბრების დასრულების შემდეგ შედგა სიმბოლური ნაკრები, რომელშიც მეტრეველი ზედიზედ მეორედ მოხვდა: **მარული** (ბერგამო), **მორასკინი, გაძოტი** (ორივე - ვირტუსი), მეტრეველი (მონტეპასკი), **დეგარა** (ბენეტონი).

თხრობა ცხელი ამბით დავიწყეთ, თუმცა არანაკლებ საინტერესოა მეტრეველის თამაში მეოთხედფინალსა და ნახევარფინალში. იტალიის ახალგაზრდული ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე 8 გუნდი შეიკრიბა, რომლებიც მეოთხედფინალურ წყვილებად განაწილდნენ. „მონტეპასკის" მეტოქედ „ტრიესტე" ერგო. სიენელებმა 10 ქულის სხვაობით მოიგეს - 93:83. ნიკამ მატჩი 10 ქულით დაასრულა.

ნახევარფინალში „მონტეპასკის" გაცილებით ძლიერი მოწინაალმდეგე შეხვდა, თუმცა დაძაბულ ბრძოლაში ფინალის საგზური მეტრეველის გუნდმა მოიპოვა - 72:68. სიენელთა წარმატება უმთავრესად ქართველის დამსახურებაა, რომელმაც 18 ქულა ჩააგდო და მონტეპასკელთა ბომბარდირი გახდა.

მეორე ნახევარფინალში „ვირტუსმა" „ბერგამო" იოლად დაამარცხა - 82:69. ფინალზე უკვე მოგითხრეთ...

**ვაჟა სიმონიშვილი**



მარცხნიდან მეორე ნიკა მეტრეველი

# ზაგრებში გადაწყდება...

გუშინ ზადარელებმა ხორვატიის ჩემპიონობის მოპოვების კარგი შანსი გაუშვეს ხელიდან. ანგარიში 2:1 იყო, მეოთხე მატჩი „ზადარის" მოედანზე იმართებოდა და მოგების შემთხვევაში **ვლადიმერ ბოისას** გუნდი ხორვატიის ჩემპიონობას მოიპოვებდა. თუმცა, „ციბონამ" პირველივე ტაიმიდან მოიპოვა მცირე უპირატესობა და მისი შენარჩუნება ბოლო წუთებამდე მოახერხა - 78:71.

„ზადარის" მწვრთნელი პირველი ტაიმის შემდეგ რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა - მე-8 წუთის შემდეგ თამაშის გაგრძელება ვერ მოახერხა ვლადიმერ ბოისამ (მუხლის ტრავმის გამო). არადა, იგი ხორვატიის ჩემპიონატში 30-35 წუთს თამაშობდა.

8 წუთში ვოვამ 4 ჯარიმა ისროლა, მატჩი 1 ქულით და 4 მოხსნით დაასრულა. მასპინძელთაგან ყველაზე მეტი **ტომისლავ რუჟიჩმა** ჩააგდო - 18 ქულა, ხოლო მატჩის ბომბარდირი ციბონელი **ჟამონ გორდონი** გახდა - 25 ქულა.

ხორვატიის პირველობის ფინალური სერიის გადამწყვეტი შეხვედრა 10 ივნისს გაიმართება. მას ზაგრებში „ციბონა" უმასპინძლებს. ცხადია, უპირატესობა ციბონელთა მხარეს იქნება, თუმცა არ უნდა დავივიწყოთ, რომ სერიის პირველი მატჩი „ზადარმა" სწორედ ზაგრებში მოიგო.

**ვაჟა სიმონიშვილი**




ჩოგბურთი



თათია მიქაძე

# ხუთიდან ორი

უზბეკეთის ქალაქ კარშიში 25-ათასიანი ტურნირის პირველი წრე ხუთი ქართველი ჩოგბურთელიდან მხოლოდ ორმა დაძლია. ყველაზე საკვირველი ისაა, რომ მე-6 ნომრად განთესილმა **სოფიო შაფათავამ** (349) წააგო, თანაც ძალზე იოლად. არადა, 21 წლის შაფათავამ თითქოს ჩვეულ ფორმა დაიბრუნა და ბუხარაში ერთეულთა თანრიგში ფინალში გავიდა, წყვილებში კი ტიტული მოიგო. შაფათავას მეტოქე ბელარუსი **ქსენია მილევსკაია** (386) იყო. ახალგაზრდებში მსოფლიოს ყოფილმა მე-2 ჩოგანმა ჩვენებურს მხოლოდ ერთი გეიმი მოაგებინა - 1:6, 0:6.

გაიმარჯვა **სოფიო ქვაცაბაიამ** (443), რომელსაც ინდონეზიელი **აიუ ფანი დამაიანტი** (376) შეხვდა. ქართველმა სამ სეტში იმარჯვა რეიტინგში მასზე გაცილებით წინ მდგომ მეტოქესთან - 6:3, 2:6, 6:1. სასიამოვნო მოულოდნელობა იყო **თათია მიქაძის** (426) მიერ მე-8 ნომრად განთესილი რუსის **ელენა კულიკოვას** (355) ორ სეტში დამარცხება - 6:2, 6:2. **ეკა გორგოძე** (553) სამ სეტში გააგდო 18 წლის რუსმა **დარია კუჩმინამ** (472) - 3:6, 7:6 (7), 6:1. **მანანა შაფაქიძე** (391) მე-7 ნომრად განთესილ რუს **მარტა სიროტკინასთან** (395) დამარცხდა - 1:6, 6:7 (8).

მერვედფინალში ქვაცაბაია ბერძენ **ეირინი გეორგატუს** (230) შეხვდება, რომელმაც ბუხარაში ფინალი მოუგო შაფათავას. გეორგატუ კარშიში მე-3 ნომრად არის განთესილი. მიქაძის მეტოქე „უაილდ ქარდით" მიწვეული ინდონეზიელი **ჯესი რომპიესია** (585).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ხელბურთი

# ტესტმატჩები ხუთიანზე

საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ნაკრები 11 ივნისიდან ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ჩაებმება: სამი დღის განმავლობაში **მერაბ მეტრეველის** შეგირდები სპორტის სასახლეში იტალიის, ლატვიისა და ფინეთის ნაკრებ გუნდებს უმასპინძლებენ.

ჩვენი ბიჭები ოფიციალური მატჩებისთვის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში გადიან წვრთნას, ჯერჯერობით — არასრული შემადგენლობით. დღეს თანაგუნდელებს სლოვენიასა და მაკედონიაში მოთამაშე **სერგო დათუკაშვილი** და **რევაზ ჭანტურია** შეუერთდებიან.

მზადების პროცესში ქართველმა ხელბურთელებმა სპარინგპარტნიორებად აზერბაიჯანელ კოლეგებს უხმეს. პირველი მატჩი მასპინძლებმა 40:26 მოიგეს, გუშინ კი მეტოქე 36:25 დაამარცხეს. ორივე პაექრობა ჩვენმა გუნდმა, ფაქტობრივად, ერთი და იმავე შემადგენლობით გამართა. გუშინდელ შეხვედრაში ჩვენებურთაგან მოედანზე იყვნენ **გიორგი სამყურაშვილი, გიგა ტორონჯაძე, შოთა თევზაძე, ზურაბ მელქოშვილი** (4 გოლი გაიტანა), **ამირან ყიფიანი** (3), **შოთა გრიშიკაშვილი** (3), **ირაკლი ღალანიძე** (1), **ირაკლი ჩიქოვანი** (1), **ვლადიმერ რუსია** (2), **სერგეი კირილოვი** (1), **აკაკი ტალახაძე** (3), **რატი მსხვილიძე** (2), **მამია კობახიძე** (8), **უჩა მაისურაძე** (3), **ილია გოგალაძე** (3) და **ივანე ქარდავა** (2).

**ვაჟა დანელია**

კალათბურთი. NBA

# ნიუ იორკს პარკერი მოუნდა

## ნიუ ორლეანი მონტი უილიამსმა ჩაიბარა



„ნიუ იორკ ნიქსის" ხელმძღვანელობამ თავის რიგებში „სან ანტონიო სპურსის" ფრანგი გამთამაშებლის **ტონი პარკერის** ხილვის სურვილი გამოთქვა. ამის შესახებ გაზეთი „ნიუსდეი" წერს.

პარკერს თავის ამჟამინდელ კლუბთან 2010-11 წლების სეზონის შემდეგ უმთავრდება კონტრაქტი, მაგრამ „სპურსმა", შესაძლოა, თავისი ერთ-ერთი ლიდერის გაცვლის გადაწყვეტილება მიიღოს.

გასული სეზონი ტონისთვის არცთუ ისე წარმატებული იყო: ფრანგმა გამთამაშებელმა მრავალრიცხოვანი ტრავმის გამო ძალიან ბევრი მატჩი გამოტოვა. რეგულარულ ჩემპიონატში პარკერის სტატისტიკური მაჩვენებლები 16 ქულას, 2.4 მოხსნასა და 5.7 შედეგიან პასს შეადგენდა.

■ ■ ■

როგორც მოსალოდნელი იყო, „ნიუ ორლეან ჰორნეტსის" მთავარ მწვრთნელად **მონტი უილიამსი** დაინიშნა. აქამდე ეს სპეციალისტი „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსში" მთავარი მწვრთნელის ასისტენტად მუშაობდა. შეგახსენებთ, რომ წელს „ნიუ ორლეანმა" დასავლეთ კონფერენციაში მე-11 ადგილი დაიკავა და პლეი ოფში ვერ მოხვდა.

*„ჩემთვის დიდი პატივია ამ კლუბის გაწვრთნა. გარდა ამისა, NBA-ის კლუბის მთავარი მწვრთნელის როლში პირველად ვარ და ეს ჩემი შესაძლებლობების შემოწმების კარგი საშუალებაა,* - ასეთი კომენტარი გაუკეთა 38 წლის უილიამსმა თავის დანიშვნას. - *იმედი მაქვს, რომ „პორტლენდში" მიღებული გამოცდილება მუშაობაში დამეხმარება".*

ევროპული ამბები

# ფრანგებს შვიდი ოკეანისგაღმელი ჰყავთ

## ობრადოვიჩი პანათინაიკოსს ტოვებს, გერშონი კი მაქაბის

საფრანგეთის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე გუნდია, რომლის სამწვრთნელო შტაბმა წლის მთავარი ტურნირისთვის გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა. მთავარმა მწვრთნელმა **ვენსან კოლემ** არჩევანი 24 კალათბურთელზე შეაჩერა. აქედან შვიდი მოთამაშე NBA-ის ლეგიონერია. ამ ლიგიდან ნაკრებში წარმოდგენილი არ არიან **ტონი პარკერი** („სან ანტონიო") და **მიკაელ პიეტრუსი** („ორლანდო"). მართალია, სიაში მოხვდა „ჩიკაგოს" ცენტრი **ჟოაკიმ ნოა**, თუმცა მას ჯერ არ დაუდასტურებია მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში.

ფრანგების გაფართოებული შემადგენლობა ასე გამოიყურება: ჟოაკიმ ნოა („ჩიკაგო", NBA), **ნიკოლა ბატუმი** („პორტლენდი", NBA), **როდრიგ ბობუა** („დალასი", NBA), **ნანდო დე კოლო** („ვალენსია", ესპანეთი), **ბორის დიაო** („შარლოტი", NBA), **ანტუან დიო** („ლე მანი"), **ალი ტრაორე** („ვილერბანი"), **კევინ სერაფინი** („შოლე"), **იანიკ ბოკოლო** („გრაველენი"), **ალდო კურტი** („ორლეანი"), **ედვინ ჯექსონი** („როანი"), **ალეი კოფი** („ხუვენტუდი", ესპანეთი), **აბდულაიე მბაე** („დიჟონი"), **ლუდოვიკ ვატი** („პო ორტეზი"), **ფლორან პიეტრუსი** („ვალენსია", ესპანეთი), **იან მაინმი** („სან ანტონიო", NBA), **ადრიან მოერმანი** („ორლეანი"), **იოჰან პეტრო** („დენვერი", NBA), **შარლ ლობაე-კუჰადი** („ლე მანი"), **ემერიკ ჟანო** („ვილერბანი"), **დუნია ისე** („ვიში"), **ალექსის ახინკა** („შარლოტი", NBA), **ფაბიენ კოსერი** („შოლე"), **მიკაელ ჟალაბალე** („ლოს ანჯელეს ფენდერსი", D-ლიგა).

■ ■ ■

საბერძნეთის ჩემპიონატში გამარჯვების მიუხედავად, „პანათინაიკოსის" დამრიგებელი **ჟელკო ობრადოვიჩი** ათენური კლუბის დატოვებას აპირებს. სერბი სპეციალისტი ბერძნულ გრანდს 1999 წლიდან უდგას სათავეში. 50 წლის მწვრთნელის ხელმძღვანელობით „პანათინაიკოსმა" რვაჯერ მოიგო ეროვნული ჩემპიონატი და ოთხჯერ გახდა ევროლიგის ჩემპიონი.

ობრადოვიჩმა სხვა ევროპული კლუბის გაწვრთნა გადაწყვიტა. „პანათინაიკოსის" ახალ მთავარ მწვრთნელად ობრადოვიჩის ასისტენტ **დიმიტრის იტოუდისს** მოიაზრებენ.

■ ■ ■

თელ-ავივის „მაქაბის" ხელმძღვანელობამ ოფიციალურად გამოაცხადა მთავარი მწვრთნელის - **პინი გერშონის** გადადგომა. სწორედ ამ ცნობილი სპეციალისტის სახელთან არის დაკავშირებული „მაქაბის" წარმატებები 90-იანი წლების ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისში - კერძოდ ისრაელის ჩემპიონმა ხუთი ტიტული მოიგო ევროლიგაზე.

ორი წლის წინ, 59 წლის სპეციალისტი ისევ ჩაუდგა სათავეში „მაქაბის", მაგრამ ამჯერად დიდ გამარჯვებებს ვერ მიაღწია. ამ სეზონში „მაქაბიმ" ევროლიგის „ოთხთა ფინალში" გასვლა ვერ მოახერხა და სენსაციურად წააგო ისრაელის ჩემპიონატი.

როგორც ვარაუდობენ, გერშონი „მაქაბიში" მოღვაწეობას გენერალური მენეჯერის თანამდებობაზე გააგრძელებს, მის ადგილზე კი ყველაზე რეალურ კანდიდატად რუსეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელ **დევიდ ბლატს** ასახელებენ.

კრივი | სატიტულო ბრძოლა

# კოტო სამგზის ჩემპიონი გახდა



გასულ უქმეებზე ჩატარებული ბრძოლებიდან ყველაზე საინტერესო შეხვედრა ნიუ იორკში, იქაური ბეისბოლის კლუბ „ნიუ იორკ იანკიზის" სტადიონზე გაიმართა (პირველად ბოლო 33 წლის განმავლობაში). ცნობილი **მიგელ კოტო** (35-2-0, 27 KO) პირველ საშუალო წონაში WBA-ის ჩემპიონ **იური ფორმანს** (28-1-0, 8 KO) ხვდებოდა. როგორც მოსალოდნელი იყო, ბრძოლამ ორმხრივ შეტევებში ჩაიარა, ყოველ შემთხვევაში პირველ ხუთ რაუნდში რთული იყო რომელიმე მოკრივისთვის უპირატესობის მინიჭება.

ხუთი რაუნდის შემდეგაც ბრძოლის სურათი დიდად არ შეცვლილა. ფორმანი ბევრს მოძრაობდა, გადაადგილდებოდა და ძირითადად დისტანციიდან უტევდა. კოტო კი მუდმივად პრესინგს მიმართავდა და დისტანციის შემცირებას ცდილობდა. ფორმანი პუერტორიკოელს სიმაღლესა და ხელების სიგრძეში სჯობს და კოტოს ახლოს არ უშვებდა. ასეთი ბრძოლა მეშვიდე რაუნდამდე გაგრძელდა. მეშვიდე სამწუთეული კი ფორმანის ფეხის სერიოზული ტრავმით აღინიშნა - მას ფეხი დაუცდა და მუხლი დაიზიანა. ამერიკელმა კოჭლობით შეძლო ბრძოლის გაგრძელება, მაგრამ ცხადი იყო, რომ ძველებურად ველარ იაქტიურებდა. რაუნდის ბოლოს ფორმანი ისევ დაეცა, წამოდგა და დიდი გაჭირვებით გააგრძელა ბრძოლა. რაუნდებს შორის შესვენებისას ყველა ელოდა, რომ ამერიკელი ბრძოლას შეწყვეტდა, მაგრამ ასე არ მოხდა. სამაგიეროდ, მაყურებელმა ცალმხრივი ბრძოლა იხილა. კოტო უპრობლემოდ უახლოვდებოდა მოწინააღმდეგეს და „ცალფეხა" ფორმანის ცემით სიამოვნებას იღებდა.

მორიგი შედეგიანი შეტევის შემდეგ ამერიკელის გუნდმა რინგზე პირსახოცი ისროლა, რაც ბრძოლაზე უარის თქმას ნიშნავდა. მწვრთნელები და სეკუნდანტები უკვე რინგს ავსებდნენ, როცა გამომცხადებელმა **მაიკლ ბაფერმა** ხალხი რინგიდან გაყარა და გამოაცხადა, რომ პირსახოცი დარბაზიდან ისროლეს. ბრძოლა გაგრძელდა. ფორმანმა ძლივს გაძლო მერვე რაუნდში. ყველას მოეჩვენა, რომ ამერიკელი ახლა მაინც შეწყვეტდა ბრძოლას, მაგრამ არც ამჯერად იქნა მიღებული ლოგიკური გადაწყვეტილება.

მეცხრე რაუნდი მერვეს სრული ასლი გამოდგა. ფორმანი ზედიზედ უშვებდა უმძიმეს დარტყმებს, თავად კი მხოლოდ დაცვაზე ზრუნავდა და პუერტორიკოელს არ პასუხობდა. ბრძოლის ბედი ფილტვის არეში ზუსტმა მარცხენა დარტყმამ გადაწყვიტა. ფორმანი დაეცა. რეფერის თვლა არც დაუწყია, ისე შეწყვიტა შეხვედრა და ტექნიკური ნოკაუტით გამარჯვება მიგელ კოტოს მიანიჭა. პუერტორიკოელი მესამე წონით კატეგორიაში გახდა ჩემპიონი.

მოგვიანებით გაირკვა, რომ ფორმანის ტრავმა სერიოზული აღმოჩნდა და მას ტრავმირებულ მუხლზე ოპერაცია დასჭირდება.

რაც შეეხება კოტოს, მან ამ გამარჯვების შემდეგ განაცხადა, რომ თავის პრომოუტერებს ფილიპინელ **მენი პაკიაოსთან** ბრძოლის ორგანიზება დაავალა. თუ პაკმენი ვერ შეძლებს **ფლოიდ მეივეზერთან** მოლაპარაკებას, ფილიპინელის პირველი სავარაუდო მეტოქე სწორედ პუერტორიკოელი გახდება.

შეგახსენებთ, რომ 2009 წლის ნოემბერში კოტო ერთხელ უკვე შეხვდა პაკიაოს და მე-12 რაუნდში ნოკაუტით დამარცხდა. *„მე მხოლოდ დიდი ბრძოლები მაინტერესებს და ამისთვის წონითი კატეგორიის შეცვლა პრობლემა არ იქნება",* - ამბობს მიგელი.

ცხელი ხაზი

ევროპული ბიბლიოთეკა

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ევრო 2011** | |
| **Under 21** | |
| შვედეთი-ჩერნოგორია | 2:0 |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| პორტუგალია-მოზამბიკი | 3:0 |
| ესპანეთი-პოლონეთი | 6:0 |
| **ირლანდია** | |
| დანდალკი-სპორტინგი | 1:2 |
| გალვეი-ბოჰემიანსი | 2:2 |
| სტ. პატსი-ბრეი | 3:0 |
| უნივერსიტი-სლიგო | 0:2 |
| შემროკი-დროგედა | 1:1 |
| **II დივიზიონი** | |
| XV ტური | |
| ეთლონი-დერი | 1:3 |
| ლიმერიკი-ფინ ჰარპსი | 2:1 |
| უოტერფორდი-სოლტჰილი | 8:0 |
| მონეგანი-უექსფორდი | 4:2 |
| შელბურნი-ლონგფორდი | 1:1 |
| **ირლანდიის თასი** | |
| ბლუბელი-კორკ სიტი | 0:1 |
| **ესტონეთი** | |
| ტრანს ნარვა-ლევადია | 1:2 |
| **კალათბურთი** | |
| **საბერძნეთი** | |
| მარუსი-პანელინიოსი | 70:60 |
| **იტალია** | |
| მილანი-კაზერტა | 91:74 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. ლონდონი** | |
| ბოგდანოვიჩი-**დიმიტროვი** | 6:4, 3:6, 4:6 |
| **ფიში**-დევარმანი | 6:1, 6:4 |
| **მაუ**-ლუ | 7:6, 6:4 |
| **კოროლიოვი**-ხირალდო | 6:7, 6:4, 6:4 |
| **მალისე**-ტურსუნოვი | 6:2, 7:6 |
| მონფილსი-**შუტლერი** | 3:6, 7:6, 2:6 |
| **გრანოლერსი**-ტიპსარევიჩი | 6:4, 3:6, 6:3 |
| სეპი-**ტომიჩი** | 3:6, 7:5, 3:6 |
| **გასკე**-რამი | 6:3, 7:5 |
| დანჩევიჩი-**ბრაუნი** | 5:7, 7:6, 4:6 |
| **მიურეი**-ნავარო | 7:6, 6:3 |
| **ჟიკელი**-რასელი | 7:6, 6:3 |
| **როდიკი**-კუნიცინი | 6:2, 6:1 |
| **ATP. ჰალე** | |
| **კიფერი**-იუჟნი | 4:6, 6:1, 7:5 |
| **ჩიუდინელი**-ო. როხუსი | 6:3, 2:6, 6:3 |
| **ა. ბეკი**-სტახოვსკი | 6:1, 7:5 |
| სერა-**ზვერევი** | 4:6, 4:6 |
| გროილი-**დავიდენკო** | 6:7, 0:6 |
| **კოლშრაიბერი**-ბემელმანსი | 7:6, 6:7, 6:4 |
| ფალა-ოკუნი | შეწყდა |
| ბეკერი-ლედოვსკიხი | შეწყდა |
| **მელცერი**-კუდრიავცევი | 3:6, 7:6, 6:2 |
| **ფედერერი**-ნიემინენი | 6:4, 6:4 |
| **WTA. ბირმინგემი** | |
| **კინგი**-ფლიპკენსი | 6:4, 6:0 |
| **მორიტა**-კამერინი | 6:2, 3:6, 6:2 |
| **ვოზნიაკი**-მოლიკი | 7:5, 6:1 |

TV პროგრამა

**9 ივნისი. ოთხშაბათი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**06:30** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-მანჩესტერ იუნ.
**08:20** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ვილიარეალი.
**10:10** გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ვოლფსბურგი.
**12:00** ახალი ამბები.
**12:25** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-მანჩესტერ სიტი.
**14:15** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ინტერი-დინამო.
**16:15** ახალი ამბები.
**16:40** გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-შალკე.
**18:30** გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-ბორდო.
**20:20** ახალი ამბები.
**20:55** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა- მალიორკა.
**22:45** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-სანდერლენდი.
**00:35** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. შტუტგარტი-სევილია.
**02:35** გასული სეზონის ქრონიკა. იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-ფიორენტინა.
**04:25** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა- მალიორკა.

**EUROSPORT**

**10:30** ახალი ამბები.
**10:45** ავტოსპორტი. ლე მანის 24-საათიანი რბოლა. საფრანგეთი.
**11:15** რალი. მსოფლიოს ტური რალი-რეიდში. III ეტაპი.
**11:30** ავტოსპორტი. „რენოს" მსოფლიოს სერია. ბრნო. ჩეხეთი.
**12:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010.
**12:15** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. II დღე. ლონდონი. ბრიტანეთი.
**13:00** ველოსპორტი. რბოლა „კრიტერიუმ დოფინე ლიბერე". II დღე. საფრანგეთი.
**14:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. მონაწილე ქვეყნების პრეზენტაცია. ტელეჟურნალი.
**14:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. II დღე. ლონდონი. ბრიტანეთი.
**15:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. III დღე. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
**17:00** ველოსპორტი. რბოლა „კრიტერიუმ დოფინე ლიბერე". III დღე. საფრანგეთი (LIVE).
**18:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. III დღე. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
**21:30** ავტოსპორტი. ლე მანის 24-საათიანი რბოლა. საფრანგეთი (LIVE).
**22:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010.
**22:15** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. მონაწილე ქვეყნების პრეზენტაცია. ტელეჟურნალი.
**22:45** მულტისპორტი.
**22:50** ცხენოსნობა. ერთა თასი. სენტ გალენი. შვეიცარია.
**23:50** ცხენოსნობა. ახალი ამბები.
**23:55** გოლფი. PGA-ის ტური.
**00:55** გოლფი. ევროპის ტური.
**01:05** გოლფ-კლუბი.
**01:10** აფროსნობა. Medcup. პორტუგალია.
**01:40** აფროსნობა. იახტ-კლუბი.
**01:50** მულტისპორტი.
**02:00** რალი. მსოფლიოს ტური რალი-რეიდში. IV ეტაპი.
**02:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010.
**02:45** ოლიმპიური დღიური. ტელეჟურნალი.
**03:15** მულტისპორტი.

ამბები

მძლეოსნობა

### ნიუ იორკს გაი გამოტოვებს

„ბრილიანტის ლიგის" ნიუ იორკის ეტაპი თანდათან კარგავს ვარსკვლავებს. იამაიკელი სპრინტერის **უსაინ ბოლტის** შემდეგ, ტურნირზე გამოსვლა იუარა ამერიკელმა **ტაისონ გაიმ**. ამის შესახებ ჟურნალისტებს სპორტსმენის აგენტმა განუცხადა. გაის უარის მიზეზი ისაა, რომ სპრინტერმა ჯერ ვერ აკრიფა ოპტიმალური სპორტული ფორმა. ასე რომ, ტაისონის დებიუტი „ბრილიანტის ლიგაზე" 3 ივლისამდე გადაიდო, როცა ამერიკის ქალაქ იუჯინში გაი 200 მეტრს გაირბენს.

შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე უსაინ ბოლტმა ტრავმის გამო თქვა უარი ნიუ იორკში ჩასვლაზე.

ჰოკეი

### კოლამბუსს ახალი მწვრთნელი ჰყავს

„კოლამბუს ბლუ ჯეკეტსის" მთავარ მწვრთნელად **სკოტ არნიელი** დაინიშნა, - წერს ჰოკეის ეროვნული ლიგის ოფიციალური ვებგვერდი. ახალი მწვრთნელის პრეზენტაცია დღეს სპეციალურად მოწვეულ პრესკონფერენციაზე შედგება.

ბოლო ოთხი წელი არნიელი AHL-ის (ამერიკის ჰოკეის ლიგა) კლუბ „მანიტობაში" მუშაობდა. ამ სპეციალისტს „კოლამბუსის" ხელმძღვანელობამ კლუბის პლეი ოფში გაყვანა დაავალა.

კრივი

### კლიჩკოები მარკებზე გამოსახეს

უკრაინის საფოსტო მარკებზე ცნობილი მოკრივეების - **ვიტალი** და **ვლადიმირ კლიჩკოების** გამოსახულება გაჩნდა. სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ჩემპიონების დაფასება უკრაინის საფოსტო სამსახურმა გადაწყვიტა.

ძმების მარკები მიმოქცევაში 2010 წლის 8 ივნისიდან შევა. მათი ზომა 40x28 მილიმეტრია. თითოს ფასი ერთ-ნახევარი გრივნა იქნება, ტირაჟი კი 170 ათასს უდრის. მარკაზე ძმები პროფილში არიან გამოსახულნი. მას დაცვაც აქვს - ულტრაიისფერი განათებით ჩნდება სიტყვა - „კლიჩკო".

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# ჩოგბურთი ფეხბურთის მოედანზე

მსოფლიოს ჩოგბურთის ვარსკვლავები ამა წლის 10 ივლისს, უიმბლდონის დასრულებიდან ერთი კვირის თავზე მეტად საინტერესო ტურნირში მიიღებენ მონაწილეობას, რომელიც ამერიკული ფეხბურთის კლუბ „დალას კოვბოის" საფეხბურთო არენაზე - Cowboys Stadium-ზე გაიმართება. ტურნირის სახელწოდებაა - Cowboys Tennis Classic-2010 და მასში ოთხი ჩოგბურთელი გამოვა - ამერიკელები **სერენა უილიამსი, ენდი როდიკი, ჯონ ისნერი** და რუსი **მარია შარაპოვა.**

საფეხბურთო სტადიონზე სპეციალურად აშენდება კორტი და საჩოგბურთო მატჩების ხილვის საშუალება 20 ათას მაყურებელს ექნება.

სავარაუდოდ, პირველები კორტზე მარია შარაპოვა და სერენა უილიამსი გავლენ, შემდეგ ენდი როდიკისა და ჯონ ისნერის ჯერი დადგება. მატჩის მოსაგებად ორი სეტის აღება იქნება საჭირო.

*„ეს შესანიშნავი სანახაობა იქნება. Cowboys Stadium-ზე საჩოგბურთო მატჩის გამართვა უნიკალური შემთხვევაა,* - განაცხადა „დალას კოვბოის" მფლობელმა და გენერალურმა მენეჯერმა **ჯერი ჯონსმა.** - *ჩვენ ვნახეთ, რომ ამ სტადიონს ნებისმიერი სპორტული ღონისძიების მასპინძლობა შეუძლია - აქ უკვე გაიმართა ფეხბურთის და კალათბურთის მატჩები, საკრივო ორთაბრძოლები და როდეოში შეჯიბრი. მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელების Cowboys Stadium-ზე შეკრება მართლაც ექსტრაორდინარული მოვლენა იქნება".*




# რაფა წვიმაში ვარჯიშობს

## როჯერ ფედერერმა ჰალეს ტურნირი მოგებით დაიწყო

როლან გაროსის მოგებიდან 24 საათის შემდეგ, მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **რაფაელ ნადალმა** ლონდონის Queen's Club-ის ბალახის კორტებზე გადაინაცვლა და უიმბლდონისთვის მზადება დაიწყო. ბრიტანეთის დედაქალაქში ჩასვლისთანავე, რაფა თავის გუნდთან ერთად საწვრთნელი კორტებისკენ გაემართა, მაგრამ იქ მას უსიამოვნო სიურპრიზი ელოდა. კორტზე გასვლისთანავე წვიმა წამოვიდა და საწვრთნელი სესია და პარალელურად მიმდინარე ტურნირის პირველი წრის მატჩები შეწყდა. თუმცა ორგანიზატორებმა ნადალისთვის გამონაკლისი დაუშვეს და სხვა კორტი შესთავაზეს, სადაც ესპანელმა ვარჯიში გააგრძელა.

*„ბედნიერი ვარ აქ დაბრუნებით, რადგან ბალახი ჩემი ერთ-ერთი საყვარელი საფარია. დღეს ცუდი მეტეოროლოგიური პირობები იყო და მინდა ორგანიზატორებს მადლობა ვუთხრა იმისთვის, რომ წვიმაში ვარჯიშის საშუალება მომცეს. კარგად მესმის, რომ ეს კორტს აზიანებს, მაგრამ ჩემთვის ახლა ძალიან მნიშვნელოვანია სწრაფად ავუღო ალღო ახალ საფარს. ეს ტურნირი ყოველთვის ბევრს ნიშნავდა ჩემთვის. აქ მე 2008 წელს გავიმარჯვე და წელსაც იმავეს ვაპირებ. შევეცდები, აქაური პუბლიკა საუკეთესო ჩოგბურთის ჩვენებით გავახარო",* - განაცხადა რაფაელმა ვარჯიშის შემდეგ.

ნადალი Queen's Club-ის ტურნირზე პირველ შეხვედრას დღეს გამართავს.

■ ■ ■

უიმბლდონისთვის მზადება დაიწყო ნადალის მთავარმა კონკურენტმა - **როჯერ ფედერერმა.** ის გერმანიის ქალაქ ჰალეშია ჩასული და იქ უკვე ორი მატჩის ჩატარება მოასწრო. ორშაბათს მსოფლიოს მეორე ჩოგანმა წყვილთა მატჩი წააგო, სამაგიეროდ გუშინ ერთეულებში წარმატებით დაძლია პირველი წრის ბარიერი.

ფედერერის მეტოქე ფინელი **იარკო ნიემინენი** იყო. ეს ჩოგბურთელები მეთერთმეტედ ხდებოდნენ ერთმანეთს და როჯერმა მე-11 გამარჯვებას მიაღწია. რაც მთავარია, შვეიცარიელს სკანდინაველთან ერთი სეტიც არ აქვს წაგებული.

გუშინდელი მატჩის ანგარიშია - 6:4, 6:4. ფედერერმა თითო სეტში თითო ბრეიკის ხარჯზე შეძლო ფონს გასვლა. მან გუშინდელი მოგებისთვის საათი და 3 წუთი დახარჯა.




ფორმულა 1

ინტერვიუ ლუის ჰემილტონთან




**„მაკლარენის" პილოტმა ლუის ჰემილტონმა სეზონში პირველ გამარჯვებას ბოლო ეტაპზე - თურქეთის გრან-პრიზე მიაღწია. ბრიტანელს სერიოზული კონკურენცია შეხვდა თანამემამულისა და თანაგუნდელის ჯენსონ ბატონისგან. თუმცა ეს უკანასკნელი ჯენტლმენურად მოიქცა და გაუმართლებელი რისკის ქვეშ არ დააყენა გუნდური ტაქტიკა. ამის წყალობით „მაკლარენმა" დუბლი შეასრულა და ახლა ბრიტანული საჯინიბო და ლუისი კარგი განწყობით ხვდებიან კანადის გრან-პრის, რომელიც ამ უქმეებზე მონრეალში გაიმართება.**

# ლიდერებში დავბრუნდით

**- სტამბოლის ავტოდრომზე სეზონში პირველი გამარჯვება მოიპოვეთ, „მაკლარენმა" კი მეორე დუბლი შეასრულა. როგორ შეაფასებთ ამ მომენტისთვის გუნდისა და პირადად თქვენს შესაძლებლობებს?**

- პირველი გამარჯვება ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მთელი წელი ვმუშაობდი ამ შედეგის მისაღწევად და როგორც იქნა, ნავსი გავტეხე. მთელი უქმეების განმავლობაში კარგად გამოვიყურებოდით და გვჯეროდა, რომ „რედ ბულისთვის" კონკურენციის გაწევას შევძლებდით.

გუნდმა უდიდესი სამუშაო გასწია. ამ ძალისხმევის გარეშე ჩვენ ვერ შევძლებდით „რედ ბულთან" კონკურენციას. მადლობას ვუხდი მათ გაწეული სამუშაოსთვის. თითქმის ათი გრან-პრი გავიდა მას შემდეგ, რაც ბოლო რბოლა მოვიგე. გავსი გატყდა და ახლა ეჭვი არ მეპარება, რომ საქმისადმი ასეთი მიდგომით კიდევ არაერთი რბოლის მოგებას შევძლებთ.

**- არაფერი გითქვამთ ჯენსონთან ბრძოლაზე. მისი დამარცხებით ეტაპის მოგების სიხარული უფრო დიდი იყო?**

- არ მგონია, რომ ამას რაიმე შეემატებინა ჩემი ემოციებისთვის. თანაგუნდელთან გამარჯვებისთვის დაძაბული ბრძოლა ყოველთვის მომწონდა, რადგან ეს იმას ნიშნავს, რომ გუნდს ორი ძლიერი პილოტი ჰყავს. მოხარული ვარ, რომ შევძელი წარმატების მიღწევა და იმედი მაქვს, გავაგრძელებთ ასეთ დაძაბულ და რაც მთავარია, პატიოსან ბრძოლას.

**- როგორ ახერხებთ ბატონთან მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნებას?**

- მე მას დიდი ხანია ვიცნობ, პატივს ვცემთ ერთმანეთის მიღწევებს. ორივენი მსოფლიოს ჩემპიონები ვართ. დღეს ზეწოლა იმდენად დიდი არ არის, როგორც ადრე, როცა ტიტულზე მხოლოდ ოცნება შეგვეძლო.

ბოლო ექვსი თვის განმავლობაში ჯენსონი უკეთ გავიცანი, დიდი დრო გავატარეთ ერთად, ბევრი ვიმუშავეთ ტრასაზე და Vodafone-ის ღონისძიებებზე. ამის წყალობით სწრაფად გამოვნახეთ საერთო ენა. ბატონი სარბოლო უქმეების დროს ბევრ პოზიტიურ ენერგიას გვმატებს, მან ჩვენი გუნდი უფრო გააძლიერა - ეს დადებითი წვლილია.

წინ 12 გრან-პრი გველის და მალე ისევ მოგვიწევს ტრასაზე ბრძოლა. სხვანაირად ვერც იქნება. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ეს ბრძოლა სამართლიანი იქნება. ბატონთან კონკურენცია ყოველთვის საინტერესოა.

**- რა განწყობით გაემგზავრა გუნდი კანადაში?**

- გასულ წელს სეზონი ძალიან სუსტად დავიწყეთ და პელოტონის ბოლოში მოვექეცით, მაგრამ ჩემპიონატის შუაში ლიდერებს დავეწიეთ და ორი რბოლა მოვიგეთ. „მაკლარენი" - ეს არის ნამდვილი პროგრესის მანქანა, ის არასოდეს ჩერდება, ის ცხოვრობს და რბოლებით სუნთქავს. მზადდება ბევრი ტექნიკური სიახლე, მე არასოდეს მინახავს ასეთი დაძაბული მუშაობა - ამან ჩემპიონატში გამარჯვების შანსი უნდა მოგვცეს.

ჩემი აზრით, გუნდის პროგრესმა სასიამოვნოდ გააოცა ჯენსონი. თურქეთში ნაჩვენები შედეგი დამატებითი მოტივაციის წყარო უნდა გახდეს. ვიცი, ახლა ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ კანადის გრან-პრისთვის ტექნიკური სიახლეებით შევხვდეთ. კანადაში კარგი განწყობით გავემგზავრეთ - დაახლოებით ისეთით, როგორიც 2008 წელს გვქონდა. მე ვიცი, რომ ჩემპიონატის მომდევნო ნახევარში მაქსიმუმს მივაღწევთ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

